პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
20 მარტი **ოთხშაბათი** 2013
№065 (13 981) ფასი 80 თეთრი



გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ჭიდაობაში

# სპორტის სასახლეში კვარცხლბეკი დადგა
# ჯერჯერობით ზედ ქართველი ვერ



10

ევროპირველობაზე გუშინ ისე ამოვყირავდით, როგორც პოლონელი სკასკიევიჩი (ლურჯი) - ფინალში

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

## იმედია, ნავსი დღეს გატყდება: საქმეში ლონდონის ოლიმპიადის ვიცე ჩემპიონი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60) ერთვება

## იქნება პირველი მედალი?

ოპერაციის შემდეგ

## ერიკ აბიდალმა პირველად ითამაშა



9

## ინგლისის რეგრესი

რა სჭირს პრემიერლიგის ელიტას?



7

საფრანგეთი ემზადება და ფრთხილობს

# საქართველო საშიშია!



2-3

მაიკლ ოუენი:

## სეზონის ბოლოს მივდივარ!



8

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# ორი დღე მატჩამდე: პარიზში ყველა ჯანმრთელადაა

საქართველოს ეროვნული ნაკრები უკვე პარიზშია და საფრანგეთთან პარასკევს გასამართი საკვალიფიკაციო შეხვედრისთვის ემზადება. **თემურ ქეცბაიამ**, რომელიც საფრანგეთში პირდაპირ კვიპროსიდან ჩავიდა, გუნდი პარიზში მდებარე სტადიონ "სტად შარლეტზე" ავარჯიშა. რა თქმა უნდა, საორგანიზაციო მხარეზე საუბარიც კი ზედმეტია – მასპინძლებმა ქართველებს მაღალ დონეზე სავარჯიშოდ ყველა პირობა შეუქმნეს.

ნაკრების სამწვრთნელო შტაბის განკარგულებაში ერთის გარდა, ყველა გამოძახებული ფეხბურთელია – **აკაკი ხუბუტია** სავიზო პრობლემების მოსაგვარებლად რუსეთიდან თბილისში ჩამოვიდა და ეროვნულ გუნდს, სავარაუდოდ, დღეს შეუერთდება.

საბედნიეროდ, ქეცბაიას მიერ გამოძახებული ყველა ფეხბურთელი სრულ მზადყოფნაშია და მიკროტრავმაც კი არავის აწუხებს. იმედია, პარასკევამდე ეს მდგომარეობა არ შეიცვლება. თუმცა ჩვენი გუნდი "სამფეროვანთა" წინააღმდეგ ოპტიმალური შემადგენლობით მაინც ვერ ითამაშებს – დისკვალიფიკაციის გამო, პარასკევის მატჩს საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ჯაბა კანკავა** და ერთ-ერთი წამყვანი ნახევარმცველი **თორნიკე ოქრიაშვილი** დააკლდებიან.

ხვალ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა პარიზში ფრანგ კოლეგებს შეხვდება და მოახლოებული მატჩის გარდა, ორ ფედერაციას შორის სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობაზეც იმსჯელებს.

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური საფრანგეთის დედაქალაქიდან გვატყობინებს, ჩვენი გუნდის ბანაკში ოპტიმისტური განწყობაა და სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს აქვთ იმის იმედი, რომ ფავორიტ მასპინძლებს გამარჯვების საშუალებას არ მისცემენ.

საფრანგეთის ნაკრები ქეცბაიას გუნდს ქვეყნის მთავარ საფეხბურთო არენა "სტად დე ფრანსზე" უმასპინძლებს. 22 მარტს ეს მატჩი თბილისის დროით 23 საათსა და 59 წუთზე დაიწყება და მას ხორვატ მსაჯთა ბრიგადა განსჯის – არბიტრი **ივან ბებეკი** იქნება, რომელსაც **ტომისლავ პეტროვიჩი** და **მირო გრგიჩი** დაეხმარებიან, ხოლო სათადარიგო მსაჯის ფუნქციებს **დომაგოი ვუჩკოვი** შეასრულებს.

პარიზში საქართველოს ნაკრები ამ შემადგენლობით ჩავიდა:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **ნუკრი რევიშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **გიორგი მაკარიძე** (ლე მანი, საფრანგეთი)

მცველები: **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **გიორგი ფოფხაძე** (ბაქო, აზერბაიჯანი), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **დავით კვირკველია** (დილა, გორი), **საბა კვირკველია** (რუბინი, რუსეთი);

ნახევარმცველები: **ალექსანდრე კობახიძე** (არსენალი, უკრაინა), **დავით თარგამაძე** (ილიჩევეცი, უკრაინა), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი), **ელგუჯა გრიგალაშვილი** (ტორპედო, ქუთაისი), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), **ირაკლი მაისურაძე** (დილა, გორი), **მურთაზ დაუშვილი, ლევან ყენია** (ორივე - კარპატი, უკრაინა), **დავით დევდარიანი** (ორჰუსი, დანია);

თავდამსხმელები: **ვლადიმერ დვალიშვილი** (ლეგია, პოლონეთი), **მათე ვაწაძე** (ორჰუსი, დანია), **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია).

**ჩვენი ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა კი ასეთია:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 2. საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 3. საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |
| 4. ბელარუსი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-8 | 3 |
| 5. ფინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# ვინ გახდება ჩემპიონი?

## კონკურენტებს საკუთარი შანსების სჯერათ

„დინამოსა" და „დილას" დაპირისპირებამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა (0:0) - თბილისელები გორელებს კვლავ სამქულიანი სხვაობით უსწრებენ.

როგორ გაგრძელდება ჩემპიონობისთვის ბრძოლა და ვის რა შანსი აქვს? ამის შესახებ ორივე გუნდის მოთამაშეებს დავეკითხეთ.



**ლევან ხმალაძე,** თბილისის „დინამო": „საკუთარ მოედანზე ყველა შეხვედრის მოსაგებად გავდივართ. მაგრამ წინასწარ ყველა დაძაბული თამაშისთვის ვემზადებოდით. ყველაფერი ერთ გოლზე იყო დამოკიდებული და არსებობდა საჩემპიონო რბოლის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტის შესაძლებლობა. მაგრამ „დილაც" საკმაოდ სერიოზული გუნდია და ყოველთვის ვერ მოუგებ. ჩვენ ისევ სამი ქულით ვუსწრებთ და სანერვიულო არაფერი გვაქვს. ალბათ, ჩემპიონის ბედი გორის შეხვედრაში გადაწყდება. თუმცა, ალალად რომ გითხრათ, ვფიქრობ, რომ ჩემპიონები ჩვენ გავხდებით".



**გიორგი კახელიშვილი,** გორის „დილა": „კარგი იქნებოდა მოგვეგო, მაგრამ ჩვენთვის ფრეც არ იყო ცუდი შედეგი. მიმაჩნია, რომ ჩემპიონობის საკმაოდ დიდი შანსი გაგვაჩნია. არასწორი აღმოჩნდა ის ვარაუდი, რომ ზამთრის შემდეგ „დილა" დასუსტდებოდა – თავადაც დარწმუნდით, რომ ბევრზე ძლიერი გუნდი გვყავს. სამწუხაროდ, „დინამოსთან" შეტევაში თამაში არ გაგვივიდა, თუმცა არ მიმაჩნია, რომ ეს გადამწყვეტი შეხვედრა იყო. ჯერ კიდევ 8 ტურია დარჩენილი და „დინამოს" დაწევისა და გადასწრების შანსი კიდევ გვექნება".



**ლაშა თოთაძე,** გორის „დილა": „მიმაჩნია, რომ მოგების მეტი შანსი გვქონდა, საეჭვო იყო ორი არდანიშნული პენალტიც. ტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობთ და, ალბათ, წვიმამ ხელი ჩვენ უფრო შეგვიშალა. მინიმუმ ქულის აღება გვსურდა და მთავარია, ეს ამოცანა შევასრულეთ. ჩამორჩენა არსებობს, მაგრამ კიდევ ერთი საჩემპიონო შეხვედრა გორში გველის და საკუთარ სტადიონზე, ჩვენი მაყურებლის წინაშე გამარჯვების გაცილებით დიდი შანსი გვექნება. ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ქუთაისის „ტორპედოც" ჩაერთვება და მიმაჩნია, რომ ჩემპიონატში ვითარება უფრო და უფრო დაიძაბება. წლეულს საკმაოდ კარგი დონის თამაშებია, რაც პირდაპირ კავშირშია სტადიონებისა და მოედნების ხარისხის გაუმჯობესებასთან. ადრინდელთან შედარებაც არ შეიძლება, იმდენად კარგ საფარზე ვთამაშობთ. სამწუხარო ისაა, რომ მატჩს ცოტა მაყურებელი ჰყავდა".



**გიორგი ილურიძე,** გორის „დილა": „პირადად მე შედეგით კმაყოფილი ვარ. გამორიცხული არ არის, ამ ქულას ოქროს ფასი დაედოს. დარჩენილ ტურებში მძიმე შეხვედრები გველის, ყველა მატჩი ფინალის ტოლფასი იქნება და დარწმუნებული ვარ, მაყურებელიც დაინტერესდება. ვფიქრობ, „დინამო" და „დილა" დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები არიან და ფრედ ამიტომაც ვითამაშეთ".

**მერაბ მამულაშვილი**

საფრანგეთი-საქართველოს წინ



თემურ ქეცბაია



2007 წლის 6 ივნისის საფრანგეთი-საქართველო




დიდიე დეშამი

# საქართველო: ფრთხილად, საშიშია!

**ახლოვდება 2014 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩი საფრანგეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის, რომელიც 22 მარტს პარიზში გაიმართება. ფრანგული მედია უკვე დიდ ყურადღებას უთმობს მომავალ თამაშს. გთავაზობთ სტატიას, რომელიც „ფრანს ტვ-მ" შემოგვთავაზა: „საქართველო: ფრთხილად, საშიშია!"**

„საქართველოს ეროვნული ნაკრები, რომელიც პარასკევს, „სტად დე ფრანსზე" ჩვენ ეროვნულ გუნდს შეეჯიბრება, არასოდეს ყოფილა დიდი გუნდი, თუმცა, როგორც **დიდიე დეშამი** ამბობს, მოედანზე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩვენი მხრიდან დავამატებთ - განსაკუთრებით თუ ეს საფრანგეთის ნაკრებს ეხება.

საქართველოს ნაკრები ფიფას რეიტინგში 69-ე ადგილზეა და ეს გუნდი კლასიფიკაციაში 42-ე ადგილზე მაღლა არ ყოფილა. ეს მოხდა 1998 წლის სექტემბერში, მაშინ საფრანგეთი მსოფლიოში მეორე იყო ბრაზილიის შემდეგ, საქართველო თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდში თუნდაც ერთი ვარსკვლავის პოვნა ძნელია. ამ ნაკრებში უთამაშია **შოთა არველაძეს**, რომელიც „რეინჯერსიდან" და „აიაქსიდან" გვახსოვს, ბოლოს თამაშობდა **ლევან კობიაშვილი**, რომელიც ახლა „ჰერტაშია", მაგრამ დიდი ვარსკვლავი საქართველოს ნაკრებს არასოდეს ჰყოლია.

საქართველოს ნაკრები შედარებით ახალგაზრდაა, ის საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოვიდა ასპარეზზე, ამიტომაც გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ გუნდს მსხვილი ტურნირების ფინალურ სტადიაზე არასოდეს უასპარეზია.

მართალია, საქართველოს ნაკრებს სერიოზული შედეგები არ ჰქონია, მაგრამ არცთუ დიდი ხნის წინათ **თემურ ქეცბაიას** გუნდმა ხორვატია 1:0 დაამარცხა, საბერძნეთს კი სტუმრად 1:1 ეთამაშა. მათ ამ შესარჩევი ციკლის პირველ მატჩშიც ფურორი მოახდინეს.

### ლა როხას სერიოზული გამოცდა

ოთხ მატჩში საქართველოს ნაკრების ბალანსი ასეთია: 1 მოგება, 1 ფრე და 2 წაგება. გუნდმა წააგო ესპანეთის ნაკრებთან, მაგრამ მხოლოდ ბოლო წუთებზე. თბილისში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონებს სოლდადოს გოლამდე 86 წუთი ცდამ მოუწიათ, რათა 3 ქულა მოეპოვებინათ. ის კი არა, **იკერ კასილიასმა** მხოლოდ მზერა გააყოლა **ამისულაშვილის** დარტყმულს, ესპანეთის ნაკრები მხოლოდ ძელმა იხსნა. ათი კაცით დაცვაში მოთამაშე კობიაშვილის თანამემამულეებმა, მეკარე **ლორიას** ბრწყინვალე თამაშით თითქმის მთელი მატჩი გაძლეს. თუკი საქართველოს ნაკრებს შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო გუნდს 86 წუთი გაუძლოს. მაშინ ამ გუნდს ნამდვილად ძალუძს საფრანგეთის ნაკრებს 90 წუთი თანაბრად ეთამაშოს.

დეშამის გუნდს დიდი ამოცანა აქვს, მან უნდა დაამარცხოს „კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული" (როგორც მწვრთნელმა თქვა) საქართველოს ნაკრები და სამშაბათის დიდი მატჩისთვისაც მზად იყოს „ლა როხას" წინააღმდეგ. არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრები სულ სამი ქულით ჩამორჩება ლიდერებს. საფრანგეთის ნაკრებისთვის ძალიან მძიმე იქნება ესპანეთთან თამაში, თუკი მანამდე საქართველოსთან შეხვედრა წარუმატებლად დასრულდება.

საფრანგეთის ნაკრები უცნაური გუნდია, მას შეუძლია მსოფლიოში საუკეთესო გუნდს აჯობოს, მაგრამ ასევე შეუძლია ზურგით დაეცეს ხალიჩაზე სუსტ მეტოქესთან ბრძოლაში.

შეუძლებელია - არ არის ფრანგული სიტყვა. ჩვენ, ფრანგებს ეს ასე გვესმის: ყველაფერი შესაძლებელია...

### კარიმ ბენზემა: ჰიმნს საქართველოსთანაც არ ვიმღერებ!

მადრიდის „რეალის" ფორვარდმა **კარიმ ბენზემამ** ფრანგულ ტელევიზიასთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ ვერანაირი ძალა ვერ აიძულებს იმღეროს საფრანგეთის ჰიმნი. შეგახსენებთ, რომ ბენზემა საფრანგეთის ნაკრებში შეკრებაზეა და საქართველოს ნაკრებთან მატჩისთვის ემზადება, რომელიც პარიზში 22 მარტს გაიმართება.

აი, რა განუცხადა ბენზემამ RMC-ს ინტერვიუში: „ჰიმნს არასოდეს ვიმღერებ. ვიმეორებ, ვერანაირი ძალა ვერ მაიძულებს ვიმღერო „მარსელიეზა", გამორიცხულია. ფანების ვერც ერთი დაჯგუფება ამას ვერ ელირსება ჩემგან. უბრალოდ არ ვმღერი და მორჩა. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ზიდანიც არ მღეროდა ხშირად ჰიმნს. არიან სხვებიც, ფანების მოზრდილი ნაწილიც არასოდეს მღერის ჰიმნს. რა მოხდა მერე".

სხვათა შორის, ფრანგული პრესა უფრო იმის გამო აკრიტიკებს „რეალის" ფორვარდს, რომ ნაკრებში 839 წუთია, გოლი არ გაუტანია.

ისე, ბენზემა რომ სერბი იყოს, ჰიმნზე უარისთვის ნაკრებიდან გაძევება დაემუქრებოდა - სერბეთის ნაკრების თავკაცმა **სინიშა მიხაილოვიჩმა** სწორედ ამის გამო „ფიორენტინას" ფორვარდი **ადემ ლიაიჩი** ნაკრებიდან გარიცხა.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჰიმნის დროს ასრულებენ „მარსელიეზს" (მარსელური) საფრანგეთის რევოლუციის სიმღერას, რომელიც 1792 წელს **რუჟ დე ლილმა** შექმნა.

### ლასანა დიარა: საფრანგეთის ნაკრებში აღარასოდეს ვითამაშებ

მადრიდის „რეალის" ყოფილმა ნახევარმცველმა **ლასანა დიარამ** განაცხადა, რომ საფრანგეთის ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებს. ლასანა დიარა ზაფხულში „რეალიდან" „ანჟიში" 5,2 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა.

> **თუკი საქართველოს ნაკრებს შეუძლია მსოფლიოს საუკეთესო გუნდს 86 წუთი გაუძლოს. მაშინ ამ გუნდს ნამდვილად ძალუძს საფრანგეთის ნაკრებს 90 წუთი თანაბრად ეთამაშოს.**

დიარა გაბრაზებულია, რომ ფრანგთა ახალი თავკაცი **დიდიე დეშამი** მის კანდიდატურას იგნორირებას უწევს.

ფრანგულ პრესასთან ინტერვიუში დიარამ განაცხადა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და 28 წლის ასაკში საერთაშორისო კარიერაზე უარი თქვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

U-19. მოსამზადებელი ეტაპი

# საფრანგეთში ფანცულაიას გარეშე

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდისთვის თბილისში ემზადება. მთავარი მწვრთნელის, **გია ცეცაძის** ხელმძღვანელობით გუნდი საგურამოში და ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" ვარჯიშობს.

ჩვენი დელეგაცია 21 მარტს გამთენიისას, პოლონეთში გაემგზავრება, სადაც ამ ქვეყნის 19-წლამდელთან გუნდთან 22 და 24 მარტს ორი ამხანაგური მატჩი დაიგეგმა.

ნაკრებში გამოძახებული მოთამაშეებიდან შეკრებაზე ორი არ იმყოფება — გერმანული "უნტერხაჰინგის" ცენტრალური ნახევარმცველი **ლუკა ჰუფნაგელი** და პოლონური "რუხის" მცველი **ნიკა ნარმანია** გუნდს პოლონეთში შეუერთდებიან.

სამწუხაროდ, ამ სპარინგებს გამოტოვებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ფანცულაია** – ქუთაისის "ტორპედოს" თავდამსხმელს 18 მარტს, ვარჯიშის ბოლო წუთზე კოჭი გადაუტრიალდა და მკურნალობა დასჭირდა. გიორგის თქმით, ვარჯიშს ერთ კვირაში განაახლებს, მაგრამ ასეთ მდგომარეობაში პოლონეთში მის გამგზავრებას აზრი არ ექნებოდა.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, **გია ცეცაძემ** გვითხრა, რომ ფანცულაიას ნაცვლად ნაკრებში თბილისის "დინამო 2"-ის ცენტრალური ნახევარმცველი, ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი **გიორგი პაპუნაშვილი** მიიწვია.



გიორგი ფანცულაია

**მერაბ მამულაშვილი**

მეტოქე. პრესკონფერენცია

## დიდიე დეშამი:

# ესპანეთზე ჯერ არ ვფიქრობთ

22 მარტს საქართველოსთან გასამართი საშინაო მატჩის წინ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების თავკაცმა **დიდიე დეშამმა** პრესკონფერენცია გამართა. "სამფეროვანთა" დამრიგებელმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი მისი გუნდი ქართველებთან დაპირისპირებაზეა კონცენტრირებული და მხოლოდ ამის შემდეგ გადაერთვება ესპანეთთან მატჩზე.

26 მარტს ფრანგები უკვე ესპანელებს უმასპინძლებენ და ეს შეხვედრა ჯგუფის გამარჯვებულის ბედს გაარკვევს. თუ ესპანელებმა და ფრანგებმა ჯგუფში ყველა მატჩი უდანაკარგოდ განვლეს, დეშამის გუნდი მსოფლიოსა და ევროპის მოქმედი ჩემპიონის დამარცხების შემთხვევაში პირდაპირ გავა ბრაზილიურ მუნდიალზე, ესპანელებს კი პლეი ოფში გაისტუმრებს. საამისოდ ფრანგებს საშინაო 0:0-იც კი აძლევთ ხელს, რადგან ესპანეთში 1:1-ს მიაღწიეს.

"ჩვენი გულშემატკივრები ყველაზე მეტად ესპანეთთან მატჩზე ფიქრობენ, მაგრამ ქულების მოპოვება ნებისმიერ შეხვედრაში რთულია. აუცილებელია, საქართველოსთან შეხვედრაზე სრული კონცენტრაცია მოვახდინოთ, რათა ესპანეთთან დაპირისპირებას 10 ქულით შევხვდეთ", - განაცხადა დეშამმა.

მან ნაკრების ახალწვეულებზეც ისაუბრა. გულშემატკივრებში ყველაზე დიდ ინტერესს ის ფაქტი იწვევს, მიეცემა თუ არა საქართველოსთან თამაშის საშუალება მადრიდის "რეალის" მცველ **რაფაელ ვარანს**. სამეფო კლუბის 19 წლის უკანახაზელს რომ სანაკრებო დებიუტი ძალიან მალე ექნება, ცხადზე უცხადესია, მაგრამ საინტერესოა, მოხდება თუ არა ეს საფრანგეთ-საქართველოს მატჩში. ვარანს ბოლო დროს მართლაც გასაოცარი პროგრესი აქვს – "რეალის" ვარსკვლავურ შემადგენლობაშიც კი ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა, მადრიდელთა სასტარტო შემადგენლობიდან კი ისეთი დონის ვარსკვლავი ამოაგდო, როგორიც პორტუგალიელი **პეპეა**.

"რა თქმა უნდა, ახლა არ გავამხელ, მოვიაზრებ თუ არა რაფაელს ძირითად შემადგენლობაში. რაც შეეხება მის ნაკრებში გამოძახებას, არა მგონია, ჩემი ამ ნაბიჯის მიზანშეწონილობაში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს. ვარანმა "რეალის" შემადგენლობაში ჩატარებული საუცხოო მატჩებით ეს დაიმსახურა", - ამბობს საფრანგეთის ნაკრების თავკაცი.

"სამფეროვანთა" კიდევ ერთი დებიუტანტი ტურინის "იუვენტუსის" 20 წლის ნახევარმცველი **პოლ პოგბაა**. რასაკვირველია, დეშამი მასაც დადებითად ახასიათებს: "პოგბას დიდი ხანია, ვაკვირდები. იგი ფართო პროფილის ნახევარმცველია, ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში შეტევაშიც და არის კარგი ჩამშლელიც. ასევე, გამოირჩევა კარგი დარტყმით. მას აქვს იმის პოტენციალი, რომ ახლო მომავალში ნაკრებისთვის მნიშვნელოვან ფეხბურთელად ჩამოყალიბდეს".

საფრანგეთის ნაკრები ქართველთა სამასპინძლოდ ამ შემადგენლობით ემზადება:

მეკარეები: მიკელ ლანდრო (ბასტია), უგო ლორისი (ტოტენჰემი), სტივ მანდანდა (მარსელი);

მცველები: გაელ კლიში (მანჩესტერ სიტი), მატიო დებუში (ნიუკასლი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), კრისტოფ ჟალე (პარი სენ ჟერმენი), ლორან კოშიელნი (არსენალი), მამადუ სახო (პარი სენ ჟერმენი), რაფაელ ვარანი (რეალი), მაპუ იანგა-მბივა (ნიუკასლი);

ნახევარმცველები: იოან კაბაი (ნიუკასლი), მაქსიმ გონალონი (ლიონი), ბლეზ მატუიდი (პარი სენ ჟერმენი), დიმიტრი პაიე (ლილი), პოლ პოგბა (იუვენტუსი), მუსა სისოკო (ნიუკასლი), მატიო ვალბუენა (მარსელი);

თავდამსხმელები: ქარიმ ბენზემა (რეალი), ოლივიე ჟირუ (არსენალი), ბაფეტიმბი გომისი (ლიონი), ჟერემი მენეზი (პარი სენ ჟერმენი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი), ლოიკ რემი (ქუინზ პარკ რეინჯერსი).

**ლევან ჯანეზაშვილი**

გამოხმაურება




„ლელოს" გუშინდელ ნომერში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის XXIV ტურის მიმოხილვა შემოგთავაზეთ; ერთ-ერთ ქვეთავში („ძველები, ახლები და დაანონსებული პრობლემა") გულისტკივილი გამოვთქვით ჩვენი უპირველესი საფეხბურთო სარბიელის, „დინამო-არენას" სტადიონთან, უფრო ზუსტად, ტრიბუნებზე შეღწევასა და იქიდან გამოსვლასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. აი, ციტატაც: „დაბოლოს, იმ არასასიამოვნო ფაქტ(ებ)ზეც, მართლაც გაკოხტავებულ-გალამაზებულ „დინამო-არენაზე" შესვლა-გამოსვლისას რომ აწყდება გულშემატკივარი თუ ჟურნალისტი (უფრო ზუსტად, მანქანების სადგომიდან ტრიბუნებამდე მისვლასა და საპირისპირო მიმართულებით „მოძრაობას" ვგულისხმობთ). თუმცა, ამ მეტად უსიამოვნო „მარშრუტზე" სჯობს ხვალ ვისაუბროთ: „ტურის მიმოხილვაში" ეს მართლაც აქტუალური საკითხი ჩაიკარგებოდა".

არ დავმალავთ: მართლაც არასასიამოვნო სიტუაციაში აღმოვჩნდით ტურის ცენტრალური მატჩის („დინამო" — „დილა") დაწყებამდეც და შეხვედრის დამთავრების შემდეგაც. ბევრს არ გავაგრძელებთ: იმ კოკისპირულ წვიმაში ავტოსადგომიდან პრესლოჟამდე როგორღაც მივაღწიეთ (რამდენიმე „კორდონის" გავლით), თანაც სტადიონის დაცვის თანამშრომლები წამდაუწუმ სპეციალურ აკრედიტაციას გვთხოვდნენ. თუმცა, პრესლოჟიდან (სადაც, წვიმის დროს დაჯდომა, ფაქტობრივად, შეუძლებელია) უკან დაბრუნებისას თურმე უარესი პრობლემა გველოდა (არა მხოლოდ ჩვენ): ტრიბუნებიდან მანქანების იმ სადგომზე (რომელიც გასახდელებსა და ვიპ-ზონას ესაზღვრება) შეღწევა გამორიცხული იყო! არადა, წვიმისგან გალუმპული რამდენიმე გულშემატკივარი ამ სტრიქონების ავტორთან ერთად, სტადიონის დაცვის წევრებს ამაოდ ვემუდარებოდით იმ „ჯადოსნური კარის" გაღებას, მანქანების სადგომამდე რომ მიგვიყვანდა! „ნაბრძანებია, რომ ამ ტერიტორიაზე არავინ შემოუშვათ", — ასეთ პასუხს რომ მიიღებ, რა თქმა უნდა, ალტერნატიულ ვარიანტზეც უნდა იფიქრო. ეს „ალტერნატიული ვარიანტი" კი, გარკვეული მანძილის დაფარვაა, ანუ, უნდა გახვიდე სტადიონის ტერიტორიიდან, 200-300 მეტრი ფეხით გაიარო და „მუშთაიდის" მხრიდან აღმოჩნდე ავტოსადგომზე. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, „როგორღაც" ის პრობლემა გადავჭერით, მაგრამ, როცა „დინამო-არენაზე" რამდენიმე ათასი გულშემატკივარი მოვა, ვფიქრობთ, ეს პრობლემა ბევრად უფრო აქტუალურიც გახდება და არა მხოლოდ ჟურნალისტებისათვის. თუმცა არც იმას დავმალავთ, რომ გუშინდელ „ლელოში" დაბეჭდილ „დაანონსებულ რეპლიკას" ოპერატიულად გამოეხმაურა „დინამო-არენას" დირექტორი **ნიკა ჯღარკავა.** კარგია, როცა ესა თუ ის თანამდებობის პირი გულგრილად არ ეკიდება თავჩენილ პრობლემას. ნიკა ჯღარკავამ ყურადღებით მოგვისმინა, რამდენიმე სპეციფიკური ნიუანსიც აგვიხსნა (უეფას მოთხოვნებთან დაკავშირებით) და საბოლოოდ იმაზე შევთანხმდით, რომ მსგავსი გაუგებრობები მომავალშიც აღარ განმეორდება და საერთოდაც, „დინამო-არენას" ხელმძღვანელობა მაქსიმალურად შეეცდება, რაც შეიძლება კომფორტული სამუშაო პირობები შექმნას მასმედიისათვის. სხვათა შორის, „დინამო-არენას" დირექტორი იმასაც დაგვპირდა, რომ სამომავლოდ მაქსიმალურად გამარტივდება ავტოსადგომიდან პრესლოჟაში მოხვედრა. თანაც, „დინამო-არენაზე" უკვე დასრულებული სამუშაოების საკუთარი თვალით ნახვაც შემოგვთავაზა, — ჩვენც სიამოვნებით ვესტუმრებით...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● ამხანაგური მატჩი

# გიორგი ჩიხრაძე
# სამეულისთვის ვიბრძოლებთ

## 23 მარტს გორში: დილა VS სიმურგი



"ლელო" წერდა, რომ თბილისში იმყოფებოდა ზაქათალის "სიმურგის" მთავარი მწვრთნელი, გიორგი ჩიხრაძე და სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის გორის "დილასთან" საკონტროლო შეხვედრით შევსებას აპირებდა.

თუმცა, მატჩის ადგილი და თარიღი დაუზუსტებელი იყო: "დილას" თავკაცები ზაქათალელებს თამაშს 22 მარტს გორში სთავაზობდნენ, "სიმურგს" კი სპარინგი 23 მარტს თბილისში ერჩივნა, რადგან აზერბაიჯანში დროულად დაბრუნდებოდნენ და ნაკლებ გზას გაივლიდნენ.

საბოლოოდ, კომპრომისულ ვარიანტზე შეთანხმდნენ - საქართველოს თასის მფლობელი და აზერბაიჯანის პრემიერლიგის ერთ-ერთ ლიდერი ერთმანეთს 23 მარტს გორში თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე დაუპირისპირდებიან - შეხვედრა 16:00 საათზე დაიწყება.

ზაქათალელები თბილისში 22 მარტს გვესტუმრებიან, ხოლო სამშობლოში მატჩის დასრულებისთანავე დაბრუნდებიან.

**ვისარგებლეთ შემთხვევით და "სიმურგის" ქართველ დამრიგებელს ინტერვიუ ჩამოვართვით:**

- სანაკრებო პაუზის დროს ასეთი შეხვედრები ყოველთვის სასურველია. გორის "დილა" ძლიერი გუნდია და მიმაჩნია, რომ მასთან თამაში წაგვადგება.

**- მიმდინარე სეზონში, "სიმურგი" საკმაოდ კარგად თამაშობს და პირადად თქვენც კარგი პრესა გაქვთ – ამით აზერბაიჯანში უცხოელი სპეციალისტები განებივრებულები არ არიან.**

- ამას განსაკუთრებული მოხერხება არც სჭირდება. მე ჩემს საქმეს ყოველთვის გულით ვაკეთებდი, მედიასთანაც გახსნილი ვარ და მასთან პრობლემა არასოდეს მქონია. გუნდი შარშან ლიგაში დავტოვეთ, ახლა კი მესამე ადგილზე მივდივართ. ეტყობა, შრომას ხედავენ და აფასებენ, რაც ძალიან მახარებს.

**- მართალია, თითქოს თქვენი გადაბირება ლენქორანის "ხაზარს" (ჯონ ტოშაკის დანიშვნამდე) და "ბაკის" სურდათ?**

- კონკრეტული, საფუძვლიანი ლაპარაკი არც ერთთან არ მქონია. ახლა მთლიანად "სიმურგში" მუშაობაზე ვარ კონცენტრირებული და ვერ გეტყვით, რომ გუნდს შევიცვლი.

**- თქვენი და "ინტერის" მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის მეგობრობა ცნობილი ამბავია. მაგრამ ახლა კონკურენტები ხართ - ალბათ, ერთმანეთის წინააღმდეგ თამაში რთული იქნება.**

- ადამიანურად, რა თქმა უნდა, რთულია. მაგრამ საკითხს ორივე პროფესიონალურად ვუდგებით და საკუთარი გუნდების წარმატებაზე ვფიქრობთ. საქმე საქმეა, ყველანაირ შედეგს ღირსეულად მივიღებთ და მოგება-წაგება ჩვენს ურთიერთობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

სხვათა შორის, არ შემიძლია, წმინდა პროფესიონალურადაც კახას მიმართ პატივისცემით არ განვეწყო, რადგან "ინტერი" კარგად ორგანიზებულ კოლექტივად ჩამოაყალიბა. აზერბაიჯანში რამდენიმე გუნდია, რომელსაც უკეთესი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ კახა მათ კოლექტიურ, მკაცრად დისციპლინირებულ და კარგად ორგანიზებულ ფეხბურთს უპირისპირებს. ეს ყველასათვის თვალში საცემია.

**- აზერბაიჯანული "წყალქვეშა დინებების" გათვალისწინებით, "ინტერის" ჩემპიონობა რამდენად რეალურია?**

- ამ თემაზე ლაპარაკი გამიძნელდება, წმინდა საფეხბურთო საკითხებზე კი რამდენიც გნებავდეთ, მკითხეთ. მიმაჩნია, რომ კახას გუნდს ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს. თუმცა, "ნეფთჩისთან" და "ყარაბახთან" სერიოზული ბრძოლები ელის. ჩვენც და "გაბალაც" ვიბრძვით, მაგრამ უფრო - სამეულისთვის.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფუტსალი.



## აზერბაიჯანმა რევანში აიღო

გუშინ საქართველოს ნაკრებმა აზერბაიჯანის ეროვნულ გუნდთან მეორე სპარინგ-მატჩი გამართა. პირველი 18 მარტს **ავთანდილ ასათიანისა** და **ბესიკ არველაძის** შეგირდების გამარჯვებით 2:1 დასრულდა.

ამჯერად, ჩვენდა სამწუხაროდ, მასპინძლებმა რევანში აიღეს და საკმაოდ დამაჯერებლად – **ჟოზე ალეზიოს** განკარგულებაში მყოფმა ნატურალიზებულმა ბრაზილიელებმა ქართველებს შანსი არ დაუტოვეს და 4:0 გაიმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის ჩათვლით, ასათიანისა და არველაძის ფორმაციის ეროვნულმა ნაკრებმა 7 ამხანაგური შეხვედრიდან 3 მოიგო (მათ შორის, გრანდ პორტუგალიასთან და ტოპგუნდების ოცეულში შემავალ აზერბაიჯანთან გასვლებზე), 2 წააგო და 1 ფრედ დაასრულა.

გუნდი დღეს საქართველოში დაბრუნდება და უეფას ელიტრაუნდისთვის მზადებას თბილისში გააგრძელებს.

დაბოლოს: ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის, **ბექა კვიციანის** თქმით, 14 მარტს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, ეროვნული ნაკრების წევრს, **ზურაბ ლუკავას** სავალდებულო სამხედრო სამსახური ერთი წლით გადაუვადდა.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# ლონლაძის ისტორია გრძელდება

## დაუგავას პრეზიდენტი აქეთ მედავება

ლატვიის ჩემპიონ დაუგავპილსის "დაუგავაში" დაბრუნებული **მამუკა ლონლაძის** ისტორია რაღაცით, ლათინოამერიკულ სერიალს ჰგავს. ეგაა, ჰეფი-ენდის ნიშნები ჯერ არ ჩანს.

27 წლის თავდამსხმელს კლუბის პრეზიდენტმა **ოლეგ გავრილოვმა** მორიგი სიურპრიზები დაახვედრა.

"ლატვიაში ჩამოვედი და უკვე დაუგავპილსის კლუბში ვვარჯიშობ. სეზონი 30 მარტს იწყება და ფორმაში ნელ-ნელა შევდივარ. ამას როგორმე მოვევლება, მაგრამ "დაუგავას" პრეზიდენტი ძალიან ცუდად დამხვდა. გუშინ მითხრა, ახალ ერთწლიან კონტრაქტს ხელი მოაწერე, საკონტრაქტო თანხას მხოლოდ ასე მოგცემ და კიდევ ერთ ამდენს დაგიმატებო. მისმა უტიფრობამ ისე გამამწარა, პასუხი არც გავეცი. თურმე, რა ჰქონია ჩაფიქრებული. ძველ საკონტრაქტო თანხასაც არ მაძლევს. აქეთ მედავება, 2 თვეა, გუნდი შეიკრიბა და სად ხარ, შემიძლია ამის გამო დაგაჯარიმოო. ამან კიდევ უფრო გამაოგნა, "ალანიაში" რომ მივდიოდი, ნებართვა ავიღე, მაგრამ ამის თაობაზე კლუბიდან ოფიციალური წერილი არ მოუცია და ამას ჩემს საწინააღმდეგოდ იყენებს. იძახის, პოლონეთის გუნდს გიკეთებდი და რადგან არ წამომყევი, ფული დავკარგე და თანხა რატომ უნდა მოგცეო. სხვა რა დამრჩენია, 7 თვე უნდა გავძლო და მერე ჩემს გზას დავადგები" – გვითხრა ლონლაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

● საქართველოს სტუდენტური ლიგა ფუტსალში 2013

# ორი ტურის შემდეგ

A ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს.ტ.უ | 2 | 2 | 0 | 0 | 27-1 | 6 |
| ბიომედი | 2 | 1 | 0 | 1 | 7-10 | 3 |
| კავკასიის უნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 9-10 | 3 |
| ქართ. ამერიკ. | 2 | 0 | 0 | 2 | 4-26 | 0 |

B ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართ. უნ | 2 | 2 | 0 | 0 | 20-4 | 6 |
| რობაქიძის უნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 6-11 | 3 |
| სამხატვრო აკად | 2 | 1 | 0 | 1 | 7-16 | 3 |
| ჯიპა | 2 | 0 | 0 | 2 | 7-9 | 0 |

C ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| თ.ს.უ | 1 | 1 | 0 | 0 | 3-1 | 3 |
| თავართქილაძის უნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 6-6 | 3 |
| სუხიშვილის უნ | 1 | 0 | 0 | 1 | 3-5 | 0 |

D ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| აგრარული უნი. | 1 | 1 | 0 | 0 | 11-4 | 3 |
| შავი ზღვის უნ. | 1 | 1 | 0 | 0 | 5-4 | 3 |
| ღია უნივერს. | 2 | 0 | 0 | 2 | 8-16 | 0 |

E ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქუთ. წერეთ. უნ. | 2 | 2 | 0 | 0 | 11-5 | 6 |
| ბათ. რუსთ. უნი. | 2 | 2 | 0 | 0 | 9-4 | 6 |
| ზუგდ. შოთ. უნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 5-8 | 0 |
| ბათ. ნავიგ. უნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 4-12 | 0 |

F ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამედიცინო უნ. | 2 | 2 | 0 | 0 | 22-8 | 6 |
| სოხუმის უნი. | 2 | 2 | 0 | 0 | 15-5 | 6 |
| თავისუფალი უნ | 2 | 0 | 0 | 2 | 11-17 | 0 |
| გორგასლის უნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 2-20 | 0 |

G ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერიკ. ჰუმ. უნი. | 2 | 2 | 0 | 0 | 22-10 | 6 |
| საავიაციო უნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 10-11 | 3 |
| ილიას უნ. | 2 | 1 | 0 | 1 | 8-7 | 3 |
| თეატრალური უნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 7-19 | 0 |

H ჯგუფი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გორის უნ. | 2 | 2 | 0 | 0 | 16-5 | 6 |
| ს.ი.უ. | 2 | 2 | 0 | 0 | 12-4 | 6 |
| კავკ. საერთ. უნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 3-11 | 0 |
| ქართული უნ. | 2 | 0 | 0 | 2 | 6-17 | 0 |

● I ლიგა, XX ტური

A ჯგუფი

**იმერეთი – მეშახტე 0:1**

15.03. ხონი. „ცენტრალური". 300 მაყურებელი

0:1 ვ. გიორგაშვილი (77)

იმერეთი: ს. მეძველია, გ. ხელაძე, ლ. გაჩეჩილაძე, დ. ხაბურძანია (80. დ. სულაბერიძე), გ. ცაგარეიშვილი, ა. ტყეშელაშვილი, გ. გოდერიძე, გ. გენძეხაძე, იაგო დეისაძე, დ. კუხალაშვილი (83. გ. ხვიჩია), ბ. ჩხეტიანი (73. იაკობ დეისაძე)

*სათადარიგოები:* გ. გოდერიძე, გ. ნიქაბაძე, მ. აშვეთია, თ. ვაშაკიძე

მწვრთნელი: გ. ხაზარაძე

მეშახტე: ი კუჭუხიძე, გ. გვენეტაძე, დ. ბაქრაძე, ც. ხარაბაძე, ა. ქაშაკაშვილი, ი. ჭანკვეტაძე, ი. კილაძე, გ. ხეცურიანი, ვ. გიორგაშვილი (89. ბ. ჯიშიაშვილი), მ. ყლენტი (80. ბ. კოლუაშვილი), ო. გიორგობიანი

*სათადარიგოები:* ნ. ჯოხაძე, თ. გოგიჩაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

გაფრთხილება: დ. ხაბურძანია, დ. კუხალაშვილი, იაგო დეისაძე, გ. გენძეხაძე, იაკობ დეისაძე; ო. გიორგობიანი, ც. ხარაბაძე, გ. გვენეტაძე

არბიტრი მ. ურუშაძე

**დინამო-2 – სტუ 0:0**

15.03. თბილისი. დილმის საწვრთნელი ბაზა. 200 მაყურებელი

დინამო-2: თ. ზარქუა ა. ტვილდიანი, გ. სამხარაძე, ს. გურეშიძე, ბ. მახარობლიძე, ნ. კვეკვესკირი, ლ. პარუნაშვილ, ა. რეხვიაშვილი, ბ. რუხაძე (46. გ. თექთურმანიძე), გ. არახამია (61. ვ. ფოცხვერია), ბ. ზივზივაძე (30. ლ. ჩაფიძე).

*სათადარიგოები:* ტ. ხაინდრავა, თ. კაკულია, მ. ჯიშკარიანი, ა. სარიშვილი

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

სტუ: მ. ძიძიგური, ა. ლალაძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, გ. ჯიშკარიანი, გ. ვაშაკიძე (81. დ. კოხრეიძე), შ. გვაზავა, გ. თვალავაძე (65. ჯ. კოლუა), კ. კახაბრიშვილი (88. ვ. რობაქიძე), ა. გოდუაძე

*სათადარიგოები:* დ. ყაველაშვილი, გ. არახამია, მ. ბაბაიანი, მ. გოგატიშვილი

მწვრთნელი: გ. ჟორჟოლიანი

გაფრთხილება: ლ. პარუნაშვილი, ა. რეხვიაშვილი; ა. ლალაძე

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**სულორი – გაგრა 2:0**

16.03. ვანი. „გრიგოლ ნიკოლეიშვილი". 200 მაყურებელი

1:0 გ. ბრეგვაძე (11), 2:0 გ. ფირანაშვილი (17)

სულორი: დ. ხურციძე, გ. ბერიშვილი, ლ. გაბუნია, გ. ბრეგვაძე, ა. როხვაძე, თ. სანიკიძე, თ. ძაგნიძე (81. ნოდარ გიორგაძე), გ. ფირანაშვილი, თ. ბახტაძე (62. თ. მალლაკელიძე), ბ. ბელექანია, ბ. სულაბერიძე (69. დ. ივანიაძე)

*სათადარიგოები:* გ. ნიკოლეიშვილი, ო. ჩინჩალაძე, შ. ბაბუნაშვილი, შ. ლვინიანიძე

მწვრთნელი: რ. ბურკაძე

გაგრა: გ. ბეგაშვილი, კ. ზარნაძე, ლ. კალანდაძე, ნ. ხოჯაშვილი (50. გ. ერისთავი), გ. გადრანი, ნ. ჭკუასელი, თ. ჟიშკარიანი (83. მ. გოგუაძე), ბ. ტეიდი, ა. ივანიშვილი (75. რ. ნანკრიალაშვილი), ჯ. ჯერემია, ი. ფიფია

*სათადარიგოები:* ა. ადამია, გ. ალავიძე, გ.ბ. თურმანიძე, თ. ჯანაშია

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

გაფრთხილება: ლ. გაბუნია; ჯ ჯერემია, გ. გადრანი

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**გურია – სქური 4:0**

17.03. ლანჩხუთი. „ევ. შევარდნაძე". 200 მაყურებელი

1:0 გ. კვერენჩხილაძე (5), 2:0 მ. კაკალაძე (34), 3:0 ა. შენგელია (52), 4:0 გ. სალარიძე (90)

გურია: მ. გოგუაძე, ა. ჩუენსუ, ს. თოდუა, დ. მაისაშვილი, ლ. ვართაგავა (68. გ. მაჩაიძე), ა. შენგელია, ა. გოგობერიშვილი, ლ. ჯანგიძე, ე. კილაძე, მ. კაკალაძე (60. გ. სალარიძე), გ. კვერენჩხილაძე (56. ტ. კუკულაძე)

*სათადარიგოები:* კ. შალამბერიძე, ლ. ჩალაძე, რ. იმერლიშვილი, ვ. დარჩიძე

მწვრთნელი: თ. ლორია

სქური: ტ. ხარჩილავა, დ. რაფავა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, ა. ლარიბაშვილი (55. ვ. შეროზია), ლ. მორგოშია (37. გ. სორდია), ლ. გაბუნია, ზ. ქვარცხავა, ლ. ბოჯგუა (46. გ. კვირკვია), გ. სართანია

სათადარიგოები: ი. ქარდავა, ი. მოლაშხია, ნ. არახამია, დ. ლვინჯილია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

არბიტრი: ხ გაგნიძე

| | |
|---|---|
| რაჭა – ბეთლემი | 2:1 |
| ჭიათურა – სასკო | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 19 | 16 | 2 | 1 | 54-12 | 50 |
| 2. სასკო | 19 | 14 | 2 | 3 | 59-19 | 44 |
| 3. დინამო-2 | 20 | 12 | 4 | 4 | 64-30 | 40 |
| 4. გაგრა | 20 | 13 | 1 | 6 | 40-20 | 40 |
| 5. სტუ | 20 | 8 | 2 | 10 | 41-50 | 26 |
| 6. ბეთლემი | 20 | 8 | 2 | 10 | 26-40 | 26 |
| 7. მეშახტე | 20 | 7 | 4 | 9 | 24-45 | 25 |
| 8. სქური | 20 | 6 | 6 | 8 | 22-34 | 24 |
| 9. იმერეთი | 20 | 6 | 4 | 10 | 19-28 | 22 |
| 10. ჭიათურა | 20 | 4 | 4 | 12 | 19-37 | 16 |
| 11. სულორი | 20 | 4 | 3 | 13 | 18-47 | 15 |
| 12. რაჭა | 20 | 3 | 2 | 15 | 21-45 | 11 |

მომდევნო ტური

21 მარტი

სულორი – ჭიათურა
მეშახტე – დინამო-2
სტუ – რაჭა
გაგრა – იმერეთი
ბეთლემი – გურია
სქური – სასკო

B ჯგუფი

**კოლხეთი – მერცხალი 3:1**

16.03. ხობი. „ცენტრალური". 500 მაყურებელი

1:0 ლ. ქაშიბაძე (37), 2:0 ლ. ჯიქიძე (41), 3:0 თ. ღლონტი (69), 3:1 ნ. მაჭავარიანი (85)

კოლხეთი: ზ. გელაშვილი, გ. გოგენია, გ. ლომაია, დ. ქითანავა, ლ. გოგენია, კ. გოგენია, ვ. ფირცხელავა (74. რ. ჩიტაია), პ. გაბრავა, ლ. მეფიშვილი, ლ. ჯიქიძე (68. კ. ალანია), ლ. ქაშიბაძე (61. თ. ღლონტი)

*სათადარიგოები:* გ. ხუნწუა, გ. პაჭკორია, ზ. ჭანტურიძე, დ. [illegible]

მწვრთნელი: ლ. [illegible]

მერცხალი: ი. მურუსიძე, თ. ჩხატარაშვილი (46. გ. ხამაშურიძე), ს. გ. ჩიგოგიძე (46. ლ. კოტრიკაძე), ზ. ხურციძე, გ. მექვაბიშვილი. ს.ვ. ჩიგოგიძე, ნ. მაჭავარიანი, გ. მალაზონია, გ. ყლენტი (58. გ. კაშია), ვ. ჯაყელი, ი. ბაჯელიძე

*სათადარიგოები:* გიორგი გოგუა, ლ. კალაჯიშვილი

მწვრთნელი: ხ. ჩხატარაშვილი

გაფრთხილება თ. ჩხატარაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ი. ბაჯელიძე, ზ. ხურციძე

არბიტრი: მ. დოგრაშვილი

**სამტრედია – სამგურალი 1:2**

16.03. სამტრედია. „ე. მანჯგალაძე". 300 მაყურებელი

0:1 ხ. უგრეხელიძე (10), 1:1 ლ. ხაჭაპურიძე (12), 1:2 მ. ჩხარტიშვილი (45)

სამტრედია: დ. კეკელიძე, ბ. გედენიძე, ს. გოგია, ა. დვალიშვილი, მ. ჟვანია (46. დ. სამსეიშვილი), ლ. ხაჭაპურიძე, გ. მელქაძე, შ. კერძევაძე, ზ. ხაჭიპერაძე, რ. ნინუა (67. თ. კიკაბიძე), გ. ბოხუა (74. ბ. ნიკურაძე)

*სათადარიგოები:* ბ. ახობაძე, დ. ჩხიკვაძე, გ. რუხაძე, ნ. ბანძავა

მწვრთნელი: დ. ჭელიძე

სამგურალი: დ. მემარნიშვილი, ბ. ხაჭიპერაძე, ბ. ბიბილაშვილი, მ. ჩხარტიშვილი, უ. ბანძელაძე, ხ. უგრეხელიძე, ი. ხვადაგიანი, ლ. ყიფიანი (82. ლ. კირკიტაძე), გ. თევდორაძე, ლ. ნავერიანი (55. ა. მეტონიძე), კ. ფანცხავა (71. ზ. კუხალაშვილი)

*სათადარიგოები:* ლ. გორდეზიანი, ნ. ბაბუნიძე, ო. ტორაძე, ზ. ჩიხლაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფრთხილება: მ. ჟვანია, ზ. ხაჭიპერაძე

არბიტრი: ო. ხეცაძე

**ადელი – შუქურა 0:2**

16.03. ბათუმი. „ადელი". 300 მაყურებელი

0:1 გ. ჩელებაძე (17, პენალტით), 0:2 ვ. ცენტერაძე

ადელი: გ. რომანაძე, ნ. წულუკიძე, კ. ბაგალიშვილი, მ. მამულაძე, ლ. სიხარულიძე, ა. ფარტენაძე, ბ. ჯუგაშვილი, თ. ხაბელაშვილი (83. დ. რუხაია), გ. სირაბიძე, ი. ლოლობერიძე (55. თ. გიორგაძე), გ. ქოქოლაძე (83. ლ. მიქაძე)

*სათადარიგოები:* გ. თურმანიძე, ნ. ყიფიანი, თ. მჟავანაძე, ზ. კონცელიძე

მწვრთნელი: ო. ნაგერვაძე

შუქურა: თ. კაკალაძე, ზ. ტულუში, მ. ფუტკარაძე, ა. ბრაჭული ი. ხუჭუა, ლ. მახარაძე, გ. ზოიძე (90. ნ, გოგიტიძე), ლ. გაბელია, გ. ჩელებაძე, ი. ტაკიძე (85. ა. გოგიტიძე) ვ. ცენტერაძე (67. შ. ართმელაძე)

*სათადარიგოები:* გ. დევაძე, გ. შერვაშიძე, მ. კოპალიანი, ლ. ელიზბარაშვილი

მწვრთნელი: ა. ბალაძე

არბიტრი: კ. ჭაჭუა

**ჩხერიმელა – ლოკომოტივი 0:1**

16.03. ხარაგაული. „სოსო აბაშიძე". 300 მაყურებელი

0:1 ნ. ჭანტურია (83)

ჩხერიმელა: გივი კიკნაძე, ი. გვეტაძე, გ. ლობჟანიძე, დ. ხარჩილავა (88. ჯ. არევაძე), გ. მეტრეველი, ვ. აფციაური, მ. მაკარაშვილი, დ. კოსტავა, ი. ჩუბინიძე, გიორგი კიკნაძე, ჯ. ავალიშვილი

*სათადარიგოები:* გ. არევაძე, ჯ. მამუდოვი, ნ. ბერაძე, შ. სვანიძე, თ. კიკნაძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

**ლოკომოტივი:** ბ. მიქავა, დ. მთივლიშვილი, გ. გოროზია (77. გ. მაკასარაშვილი), ნ. ჭანტურია, რ. ჩიტეიშვილი, ენდიკა ბორდასი, მ. ცინცაძე, ლ. კიკაბიძე, დ. ქირია (46. გ. ბაქრაძე), დ. დარციმელია, ა. მზევაშვილი

სათადარიგოები: ბ. საჯაია, დ. მიქავა, გ. გაბაძე

მწვრთნელი: ხერარდ სარაგოსა

გაფრთხილება: დ. ხარჩილავა, მ. მაკარაშვილი, დ. კოსტავა, ჯ. ავალიშვილი; გ. ბაქრაძე

**ალგეთი – ლიახვი 5:0**

15.03. თბილისი. სპორტის აკადემიის სტადიონი. 50 მაყურებელი

1:0 გ. ტუხაშვილი (49), 2:0 გ. ტუხაშვილი (54), 3:0, გ. ტუხაშვილი (61), 4:0 გ. ტუხაშვილი (67), 5:0 გ. ტუხაშვილი (75)

ალგეთი: ზ. გოგრიჭიანი, რ. კიკალიშვილი. შ. გალეგაშვილი, ი. ალასანია, გ. ჭოველიძე, თ. მოსიაშვილი (73. შ. პილიევი), გ. ტუხაშვილი, ი. ჯოჯიშვილი, ი. სვანიძე (73. ლ. ჯოხაძე), გ. ჯოხაძე, ს. ჭიკაიძე

*სათადარიგოები:* გ. ხარშილაძე, მ. მალლაკელიძე, თ. ბახტურიძე, უ. მამულაშვილი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

ლიახვი: ა. ბარნაბიშვილი, გ. ჩიხრაძე, გ. მინდორაშვილი (46. თ. შუბითიძე), ვ. კეკელია, გ. ქურდაძე, ლ. ქანთარია (70. ი. ჯველაური), მ. ჯიქია, ს. ხაზალია, გ. ლობჟანიძე, გ. თოლორდავა, თ. აზიკური

*სათადარიგოები:* ა. ქელიხაშვილი, დ. ბარნაბიშვილი, გ. აზნიაშვილი, ლ. კომლაძე, ო. ცანავა

მწვრთნელი: უ. ქანთარია

გაფრთხილება: გ. ქურდაძე

არბიტრი: გ. ყრუაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 17 | 15 | 1 | 1 | 46-8 | 46 |
| 2. შუქურა | 19 | 12 | 3 | 4 | 33-13 | 39 |
| 3. კოლხეთი (ხბ) | 18 | 12 | 2 | 4 | 28-18 | 38 |
| 4. ლოკომოტივი | 19 | 10 | 4 | 5 | 46-23 | 34 |
| 5. სამგურალი | 18 | 8 | 5 | 5 | 38-28 | 29 |
| 6. სამტრედია | 18 | 9 | 2 | 7 | 26-24 | 29 |
| 7. ალგეთი | 18 | 7 | 3 | 8 | 28-27 | 24 |
| 8. მერცხალი | 18 | 3 | 6 | 9 | 24-30 | 15 |
| 9. ლიახვი | 18 | 3 | 4 | 11 | 16-41 | 13 |
| 10. ადელი | 17 | 3 | 0 | 14 | 20-50 | 9 |
| 11. ჩხერიმელა | 18 | 2 | 0 | 16 | 15-58 | 6 |

მომდევნო ტური

20 მარტი

სპარტაკი – ალგეთი
კოლხეთი (ხ) – სამტრედია
მერცხალი – ჩხერიმელა
ლოკომოტივი – ადელი
ლიახვი – სამგურალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი ქართველები

# უკრაინელები ახალი კალაძის ძიებაში


ამბერკი ინჯიბაშვილი

12 წლის წინათ, **კახა კალაძემ** კიევის "დინამო" დატოვა და "მილანში" გადავიდა. დიდი დროა საიმისოდ, ადამიანი რომ დაივიწყო, მაგრამ კახამ უკრაინაში იმხელა სახელი დატოვა, ამ ქვეყნის მედიაში დღესაც ხშირად ახსენებენ.

საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტანი უკრაინელებისთვის არის კრიტერიუმი, რომლის პრიზმიდანაც აფასებენ აბსოლუტურად ყველა ქართველს – არ აქვს მნიშვნელობა, ის მცველია, მეკარე თუ შემტევი. ამის მაგალითს ადრეც ბევრჯერ ვაწყდებოდით და ახლაც ასე გრძელდება.

წლეულს თებერვალში კიევის "ობოლონ-ბროვარში" **ამბერკი ინჯიბაშვილი** აიყვანეს. მას საქართველოში არ ვიცნობთ, უკრაინელებს კი ისეთი დიდი სურვილი აქვთ, ახალგაზრდა ქართველში მომავალი კალაძე შეიცნონ, რომ გარეგნულადაც მიამსგავსეს და წერილიც უძღვნეს. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ ინჯიბაშვილი პოპულარულ თანამემამულეს დიდად ჰგავს.

*"როდესაც კიევის "ობოლონის" ერთ-ერთ შეკრებაზე მივედი, თვალში მომხვდა ახალგაზრდა, რომელიც ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა. ის თანაგუნდელებისგან გამოირჩეოდა არა მხოლოდ ტექნიკით, არამედ კახა კალაძესთან გარეგნული მსგავსებით. "ტყუპისცალი" ქართული წარმომავლობის უკრაინელი ფეხბურთელი, ამბერკი ინჯიბაშვილი აღმოჩნდა.*

*ის საქართველოში, ქალაქ ოზურგეთში 1991 წელს დაიბადა, ცხოვრობდა ფოთში. ადრეულ ასაკში, 2002 წელს მშობლებმა ბებიასთან და ბაბუასთან დნეპროპეტროვსკში წაიყვანეს. ფეხბურთს საქართველოში ეზიარა, უკრაინაში კი პირველი ღონიერი ნაბიჯები გადადგა. მოზარდი შემდეგ მარიუპოლის "ილიჩიველის" საფეხბურთო სკოლა "ოლიმპიკში" მოხვდა, რომლის დამთავრების შემდეგ დაბალი ლიგის მუზიჩის "კოლოსსა" და პლისკის "ედნისტში" თამაშობდა. ეს უკანასკნელი თებერვალში დაიშალა და ამბერკი "ობოლონში" წავიდა. მან თავი ძალიან კარგად წარმოაჩინა და კონტრაქტი სწრაფად გაუფორმეს.*

*"ინჯის" თანაგუნდელები და ხალხი კალაძეს ამსგავსებს და ერთხელ ქუჩაში ჰკითხეს კიდეც, სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელის ნათესავი ხომ არ იყო. მეტიც, წინა გუნდში, "ედნისტში" ხუმრობით კახას ეძახდნენ.*

*ამბერკი პირადად კალაძეს არ იცნობს, თუმცა ამის დიდი სურვილი აქვს და მისით ამაყობს. ამის მიუხედავად, ინჯიბაშვილის საყვარელი ფეხბურთელი ფრანჩესკო ტოტია - ამბობს, რომ იტალიელი მისი იდეალია. აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ კალაძემ საქართველოს ახალ მთავრობაში ენერგეტიკის მინისტრის პოსტი დაიკავა. ამბერკი ჯერ პოლიტიკურ კარიერაზე არ ფიქრობს, მაგრამ ხუმრობს, რომ ბავშვობაში პრეზიდენტობაზე ოცნებობდა.*

*ის საკმაოდ ტექნიკური პლეიმეიკერია. მისი ბავშვობის მწვრთნელი ამბობს, რომ გუნდის მიხეილ მესხია.*

*ინჯიბაშვილი ამ შეფასებებზეც მოკრძალებით ლაპარაკობს: "მე ჯერ კიდევ ბევრი შრომა დამჭირდება, ჩემს სახელოვან თანამემამულეებთან, კალაძესთან და მესხთან მსგავსება რომ დავიმსახურო. თუმცა, ვცდილობ, ვარჯიშებს კალაძის მონდომებით მოვეკიდო და მესხის ფინტები და ტოტის ეშმაკობები ავითვისო" - წერს უკრაინული გაზეთი "ვზგლიადი".*

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები უცხოეთში

# ოთხი ქართველი პალანგაში

ლიტვაში ქართველების მორიგი "ბუდე" აღმოვაჩინეთ. ეს არის ლიტვის პირველი ლიგის "პალანგა", სადაც ოთხი ჩვენებური თამაშობს. ამბავი კი საკურორტო ქალაქ პალანგაში ზამთრის ტურნირის შედეგების გაცნობის დროს შევიტყვეთ.

"პალანგის ზამთრის თასს" ლიტვის ფეხბურთის ფედერაცია ყოველწლიურად ატარებს. მისი მიზანია, მომზადებაში ხელი შეეწყოთ გუნდებსა და ლიტვის 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებს.

ტურნირზე შედეგიანად ითამაშა "ზუგდიდის" ყოფილმა ფეხბურთელმა, 20 წლის **მურთაზ ჩანგელიამ**. საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი "პალანგაში" უკვე ჩაირიცხა.

*"ერთი თვეა, რაც ლიტვაში ჩამოვედი. ჯერ "ბანგაში" ვემზადებოდი, მაგრამ შემდეგ "პალანგაში" გადავედი და კონტრაქტი ოფციონით (1+1) გავაფორმე. გუნდმა ახალი ფეხბურთელები დაიმატა და მიზნად უმაღლეს ლიგაში გადასვლა დაგვისახეს. რომ ვთქვა, მაღალი დონის კლუბში ჩავირიცხეო, ტყუილი იქნება. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ლიტვაში გაცილებით მეტი პერსპექტივა დავინახე, ვიდრე საქართველოში – ევროპელები აქაურ თამაშებზე ხშირად ჩამოდიან და ფეხბურთელებს აკვირდებიან. თანაც, პალანგელები საკმაოდ პერსპექტიულ გუნდს აყალიბებენ. აქაური ფეხბურთი ძალისმიერ თამაშზეა აწყობილი და ფიზიკურად კარგად გვამზადებენ. მე კი ეს ძალიან მჭირდებოდა. პირველი ლიგის გუნდის კვალობაზე საკმაოდ კარგი მოსამზადებელი პირობებია და მიმაჩნია, რომ ტრამპლინად გამომადგება. სამი კვირაა, რაც გუნდში ვარ და მითხრეს კიდეც, თუ ასე გააგრძელებ, უმაღლესი ლიგის ამბიციურ კლუბში გადაგიყვანენო. არ ვტრაბახობ, თავად თქვეს, ლიტვაში თავდამსხმელების დეფიციტია და ძლივს გველირსა ნორმალური ფორვარდიო. ვნახოთ, რა იქნება, მე კი იმედიანად ვარ. გუნდში კიდევ სამი ქართველია - ცოტნე ჩანგსელიანი, ლაშა ქებაძე და გიორგი გიორგაძე. ეს სხვა ლაშა ქებაძეა. ჩვენ პალანგის თასის ნახევარფინალამდე გავაღწიეთ და მიმაჩნია, რომ ურიგოდ არ მითამაშია, გოლებიც გავიტანე და საგოლე გადაცემებიც ჩავიწერე. ამ ტურნირით მოსამზადებელი ეტაპი დავასრულეთ და მალე ჩემპიონატიც დაიწყება"* – ამბობს ჩანგელია.

ვფიქრობთ, ამ ახალგაზრდა მოთამაშის მონათხრობი დასაფიქრებელი უნდა იყოს. რა აიძულებს ქართველ ფეხბურთელებს, წავიდნენ იმ ქვეყნის გუნდებში, სადაც საკმაოდ დაბალ ხელფასებს იღებენ და მაღალი დონეც არ არის? მხოლოდ ლიტვაში (თუ სხვა ქვეყნებში) არსებული უკეთესი მოსამზადებელი პირობები თუ ისიც, რომ საქართველოში საკლუბო ფეხბურთის პერსპექტივას ვერ ხედავენ?

არ გვინდა მომავალი შავ-ბნელ ფერებში წარმოგიდგინოთ, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, საქართველოში თამაშს მალე აღარავინ მოინდომებს.

**მერაბ მამულაშვილი**


მურთაზ ჩანგელია (მარცხნივ)

ინტერვიუ ჯუზეპე როსი

# სპორტსმენი ტიტულებით იზომება

## ჯუზეპე ფლორენციაში დაბრუნდა

26 წლის თავდამსხმელი ჯუზეპე როსი თითქმის ერთი წელია, რაც ტრავმას იმუშებს და შესაბამისად, მთელი ეს პერიოდი საყვარელ საქმეს ჩამოშორებულია. უმძიმესი ტრავმის გამო, ჯუზეპემ ევროპის ჩემპიონატი გამოტოვა და ერთ დროს 25 მილიონ ევროდ შეფასებული მოთამაშე, „ვილიარეალიდან“ „ფიორენტინაში“ ამის მესამედ ფასად გადავიდა. მკურნალობის პროცესს როსი ამერიკაში გადიოდა, გუშინ კი ფლორენციაში დაბრუნდა, რამაც იტალიელ ჟურნალისტთა დიდი ინტერესი დაიმსახურა. ჯუზეპეს უკვე შეუძლია დატვირთვით ვარჯიში, მაგრამ მისი მოედანზე დაბრუნების დრო ჯერ კიდევ ვერ სახელდება.

მართალია, როსი უკვე იტალიაშია, მაგრამ „გაძეტა დელო სპორტის“ ჟურნალისტი ფეხბურთელს ამერიკაში ესაუბრა. შეხვედრა ნიუ იორკში, მანჰეტენის ცენტრში, ვარსკვლავთათვის განკუთვნილ სატრენაჟორო დარბაზში შედგა, სადაც თურმე ხშირად ნახავთ ტომ კრუზს და დევიდ ბექჰემს... ინტერვიუს დაწყებამდე როსიმ „გაძეტას“ ახალი ნომერი ყურადღებით გადაათვალიერა, „იუვენტუსის“ მორიგ გამარჯვებაზე გაამახვილა ყურადღება და დასძინა, დედაჩემი გახარებული იქნებაო...


ჯუზეპე როსის ოცნება იტალიის ნაკრებში დაბრუნებაა

**- დედათქვენი „იუვენტუსის“ გულშემატკივარია?**

- დიახ, ბავშვობიდან „იუვენტუსს“ ქომაგობდა და ასეა დღემდე. არადა, მამაჩემი „მილანის“ თავგადაკლული ტიფოზია და ამის ნიადაგზე, ოჯახში ყოველთვის განხეთქილება გვქონდა.

**- თქვენ ვის გულშემატკივრობთ?**

- მამამ გადამიბირა და ბავშვობაში „მილანის“ გულანთებული გულშემატკივარი ვიყავი. დღეს ფეხბურთი ჩემი პროფესიაა და ბუნებრივია, ეს ემოციები განელებული მაქვს. თუმცა, ვაღიარებ, რომ „როსონერის“ მიმართ სიმპათია დღემდე შემომრჩა. ჩემს ოთახში მარკო ვან ბასტენის და რუდ გულიტის პოსტერები მქონდა გაკრული, შემდეგ ჯორჯ ვეას ვეთაყვანებოდი, ბოლო პერიოდში კი ანდრეი შევჩენკოს თამაში მხიბლავდა.

**- ალბათ ძალიან გეწყინათ, როდესაც ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რომ „მილანის“ გეგმებში არ ჯდებოდით...**

- ეს არც გამკვირვებია, რადგან ბევრს არ სჭირდება ისეთი მოთამაშე, რომელსაც ტრავმის გამო თითქმის ერთი წელი გაუცდა. ასეთი ფეხბურთელის დამატება სერიოზული რისკია და ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული. სწორედ ამიტომ, „ფიორენტინას“ მესვეურებს ვემადლიერები და მსურს, მათ მიერ გაცემული ავანსები სრულად გავამართლო. ძალიან მომწონს ვინჩენცო მონტელას საფეხბურთო ხედვა და ვფიქრობ, რომ ახალ გუნდს კარგად შევეწყობი.

**- „ფიორენტინაში“ ძველ მეგობარს შეხვდით, რომელიც გრანდებმა უყურადღებოდ დატოვეს და ისიც „ფიორენტინაში“ მოხვდა...**

- ბორხა ვალერო გყავთ მხედველობაში, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა მაქვს. შესანიშნავი ფეხბურთელია, მოედნის იდეალური ხედვით და პასის უმაღლესი კულტურით. ვიცოდი, რომ ბორხა „ვიოლას“ წაადგებოდა და ასეც არის. მის მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნებაა და მიხარია, რომ ამის საშუალება მომეცემა.

**- როგორ ფიქრობ, უახლოეს მომავალში „ფიორენტინას“ სკუდეტოს მოგება თუ შეუძლია?**

- კი, შეუძლია და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მაგალითად, ესპანეთის ჩემპიონატში პირველობისთვის ორი გუნდი იბრძვის და მათთვის კონკურენციის გაწევა წარმოუდგენელია, ჩვენთან კი ყველაფერი სხვაგვარადაა. პოტენციურად, სკუდეტოსთვის ხუთ-ექვს გუნდს მაინც შეუძლია ბრძოლა და მათ შორის „ფიორენტინასაც“.

**- რა მიზნები გაქვთ „ფიორენტინაში“?**

- მსურს, გაცემული ავანსები გავამართლო და „ფიორენტინას“ წარმატებებში ჩემი წვლილი შევიტანო. ძალიან მინდა ფლორენციულ გუნდთან ერთად ტიტულები მოვიგო, რადგან სპორტსმენის კარიერა სწორედ ამით იზომება.

**- ანუ, თქვენ მაიკლ ჯორდანის მოსაზრებას იზიარებთ... მისი თქმით, სპორტსმენი ტროფეების რაოდენობით უნდა შეფასდეს.**

- კი, ვეთანხმები. მაგალითად, ალან შირერმა კარიერაში 300-ზე მეტი გოლი გაიტანა, თავის საქმეს იდეალურად აკეთებდა, მაგრამ ლეგენდების გვერდით მაინც არავინ იხსენიებს. დარწმუნებული ვარ, შირერს მსოფლიოს ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა რომ მოეგო, დღეს მას გერდ მიულერის გვერდით დააყენებდნენ.

> **ესპანეთში ორი გრანდია და მათთვის კონკურენციის გაწევა შეუძლებელია, აქ კი ყველაფერი სხვაგვარადაა**

**- კარიერის საწყის წლებში „მანჩესტერ იუნაიტედში“ ირიცხებოდით, როგორ გაიხსენებთ ინგლისურ პერიოდს?**

- იქ ორი უდიდესი ადამიანი გავიცანი, რომლებმაც ძალიან ბევრი რამ მასწავლეს. პოლ სქოულზი და რაიან გიგზი მყავს მხედველობაში, ფეხბურთელები, რომლებსაც დღემდე ვეთაყვანები. არასდროს იშურებდნენ რჩევებს და ყოველთვის მპატიობდნენ შეცდომებს. ალექს ფერგიუსონს თავისებური ხასიათი აქვს, მოედნის მიღმა მამასავით მექცეოდა, თამაშების და ვარჯიშების დროს კი ხშირად ზედმეტად უხეშია. თუმცა, ფერგიუსონს ყველა პატივს სცემს და მისგან არც უხეშობა სწყინთ.

**- როდის ესაუბრეთ ბოლოს ჩეზარე პრანდელის?**

- თუ არ ვცდები, ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე. ეროვნულ ნაკრებში დაბრუნება ჩემი ოცნებაა და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ. საამისოდ გუნდში სტაბილურად და მაღალ დონეზე ასპარეზობაა აუცილებელი. „სკუადრა აძურაში“ დიდი კონკურენციაა და ისეთი ფორვარდები ხვდებიან განაცხადს მიღმა, რომლებსაც არაერთი მწვრთნელი ისურვებდა თავისი გუნდის რიგებში.

**- აშშ-ში დაიბადეთ და გაიზარდეთ, არასდროს გიფიქრიათ ამერიკის ნაკრებში თამაშზე? შტატებში მოღალატედაც კი გთვლიან...**

- რა სისულელეა... მე იტალიურ კვარტალში გავიზარდე, სადაც გამართული ინგლისურით თითქმის ვერავინ ლაპარაკობდა. ყოველთვის იტალიელად ვთვლიდი თავს და შესაბამისად, ვერც მოღალატედ ჩავითვლები. კობი ჯონსისა და ტონი მეოლასადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ამერიკის ნაკრების მიმართ სიმპათიაც კი არასდროს მქონია.

**- თქვენი მეგობარი გოგონა ამბობს, რომ ფულმა საერთოდ არ შეგცვალათ...**

- რაფი ლორეტაც ნიუ ჯერსის იტალიურ კვარტალში გაიზარდა და მას ბავშვობიდან ვიცნობ. იცის როგორი ვიყავი მაშინ და როგორი ვარ დღეს. არასდროს უნდა დაივიწყო, საიდან მოდიხარ და ვინ იდგა გაჭირვების დროს შენ გვერდით. არ შეიძლება ვინმეს ზემოდან დახედო მხოლოდ იმიტომ, რომ ბურთს მასზე უკეთ აგორებ. ვინც ასე იქცევა, სასაცილოა და მეტი არაფერი.

**- თუ გყავთ კერპი?**

- კობი ბრაიანტი, რომლის თამაშის ყურებაც უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. მისი მიზანსწრაფულობა ჩემში აღფრთოვანებას იწვევს და ამაში ვბაძავ კიდეც. დაახლოებით ერთი თვის წინ მასთან ერთად წვეულებაზე აღმოვჩნდი და გაცნობაც დავაპირე... თავიდან ცოტა მომერიდა, შემდეგ კი გავბედე და გამოველაპარაკე. ერთად ფოტოც გადავიღეთ და როგორც მოველოდი, ჩემ შესახებ არაფერი სმენოდა. კობი ფენომენალურია.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

არგენტინა. ტორნეო ფინალი. VI ტური.

# ბოკამ და ველესმა ისევ ვერ მოიგეს

**ტიგრე-უნიონი 1:2**

**გოლები:** 0:1 ფრანსოია (42), 0:2 ფრანსოია (53), 1:2 პერეს გარსია (59-პენ).

**კოლონი-სან ლორენსო 0:1**

**გოლი:** 0:1 რ. რამირესი (75-საკ. კარში).
**გაძევება:** სეტო (33. სან ლორენსო)

**გოდოი კრუსი-ლანუსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ისკიერდოსი (27).

**ნიუელსი-რივერი 1:0**

**გოლი:** 1:0 სკოკო (36).

**რასინგი-ბელგრანო 1:1**

**გოლები:** 1:0 კამორანეზი (12), 1:1 ხ. ველასკესი (50).

**ველესი-ესტუდიანტესი 1:1**

**გოლები:** 1:0 ფ. ინსუა (77), 1:1 ლ. ბენიტესი (78).
**გაძევება:** კუბერო (90. ველესი).

**ბოკა-არ. ხუნიორსი 1:1**

**გოლები:** 1:0 ს. სილვა (13-პენ), 1:1 მ. მარტინესი (45).

**არსენალი-სან მარტინი 3:2**

**გოლები:** 1:0 კუესტა (8), 2:0 ფურჩი (42), 2:1 კ. ალვარესი (48-პენ), 2:2 ოსორიო ბოტელიო (51), 3:2 ლისანდრო ლოპესი (90).

**ოლ ბოისი-ატლ. რაფაელა 2:1**

**გოლები:** 1:0 ვილდოსო (38), 2:0 ბორგელიო (39), 2:1 ელუჩანსი (71-პენ).
**გაძევება:** ფ. სანჩესი (70. ოლ ბოისი).

**კილმესი-ინდეპენდიენტე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლანუსი | 6 | 5 | 1 | 0 | 11-1 | 16 |
| 2. ნიუელსი | 6 | 4 | 1 | 1 | 11-7 | 13 |
| 3. რივერი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-7 | 12 |
| 4. კილმესი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-8 | 11 |
| 5. არსენალი | 6 | 3 | 2 | 1 | 8-6 | 11 |
| 6. გოდოი კრუსი | 6 | 3 | 2 | 1 | 6-4 | 11 |
| 7. ტიგრე | 6 | 3 | 1 | 2 | 9-7 | 10 |
| 8. სან ლორენსო | 6 | 2 | 3 | 1 | 4-2 | 9 |
| 9. ოლ ბოისი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 10. რასინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 11. უნიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-9 | 8 |
| 12. ბელგრანო | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| 13. ველესი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-4 | 7 |
| 14. ინდეპენდიენ. | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 7 |
| 15. ატლ. რაფაელა | 6 | 1 | 3 | 2 | 9-8 | 6 |
| 16. ბოკა | 6 | 1 | 3 | 2 | 6-9 | 6 |
| 17. ესტუდიანტესი | 6 | 0 | 3 | 3 | 8-13 | 3 |
| 18. სან მარტინი | 6 | 0 | 3 | 3 | 4-11 | 3 |
| 19. არ. ხუნიორსი | 6 | 0 | 2 | 4 | 3-9 | 2 |
| 20. კოლონი | 6 | 0 | 2 | 4 | 6-13 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 – სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 4 – ჟიგლიოტი (კოლონი), პერეს გარსია (ტიგრე), სილვიო რომერო (ლანუსი), დ. საპატა (ესტუდიანტესი).

**საკლასიფიკაციო ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 14. სან ლორენსო | 101 | 126 | 1.248 |
| 15. არ. ხუნიორსი | 101 | 124 | 1.228 |
| 16. ატლ. რაფაელა | 62 | 76 | 1.226 |
| 17. კილმესი | 25 | 30 | 1.200 |
| 18. ინდეპენდიენტე | 101 | 114 | 1.129 |
| 19. სან მარტინი | 62 | 68 | 1.097 |
| 20. უნიონი | 63 | 65 | 1.032 |

ტორნეო ფინალის მეექვსე ტურში ცოტა გოლი გავიდა და ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა. მაგალითად: სტუმრად ზედიზედ მეორე გამარჯვება მოიპოვა „უნიონმა", „ველესმა" „ესტუდიანტესს" ვერ სძლია, ხოლო „ბოკა ხუნიორსმა" „არხენტინოს ხუნიორსს" ვერ მოუგო.

ტურის მთავარი მატჩები კი „ნიუელს ოლდ ბოისი"-"რივერ პლეიტი" და „გოდოი კრუსი"-ლანუსი" იყო. **მარსელო ბიელსას** სახელობის სტადიონზე ჩასულ „რივერს" რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა, გარდა ამისა, თადარიგში იყო **დავიდ ტრეზეგე**, რომელსაც ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. შეხვედრის ერთადერთი გოლი **იგნასიო სკოკომ** გაიტანა და ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა. სკოკოს გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა – 27 წლის ფეხბურთელმა შორეული პასი მიიღო, **ადალბერტო რომანს** ბურთი თავზე გადაუგო, საჯარიმოში თავით შეიგდო და კარიდან გამოსულ **მარსელო ბაროვეროს** დაასწრო. მეორე ტაიმში **კარლოს ლუნამ** კი გაიტანა, მაგრამ „რივერის" შემტევმა ეს ხელით გააკეთა, რის გამო ყვითელი ბარათიც მიიღო. საბოლოოდ, 1:0 და „რივერმა" სტუმრად ზედიზედ მეორე თამაში წააგო.



იგნასიო სკოკო ულამაზეს გოლს აღნიშნავს

მენდოსაში, სადაც სტადიონზე ცოტა მაყურებელი დადის (ამ ქალაქში ბევრად უფრო პოპულარული რაგბია), ერთმანეთს ორი დაუმარცხებელი გუნდი შეხვდა - „გოდოი კრუსმა" ლიდერ „ლანუსს" უმასპინძლა. გამარჯვების შემთხვევაში, მენდოსელები პირველ პოზიციაზე გადავიდოდნენ, მაგრამ **მარტინ პალერმოს** შეგირდებმა რეალური მომენტიც კი ვერ შექმნეს, პალერმოს ყოფილმა თანაგუნდელმა (ბოკაში) **გილერმო ბაროს შელოტომ** მორიგი გამარჯვება მოიპოვა და „ლანუსმა" პირველი პოზიცია გაიმყარა. დღევანდელი გადასახედიდან, ძნელი წარმოსადგენია, ძმები ბაროს შელოტოების გუნდმა ეს ადგილი დათმოს.

**კარლოს ბიანკის** წარუმატებლობები კი გრძელდება – „ბოკამ" ამჯერად „არხენტინოს ხუნიორსს" ვერ მოუგო, არადა მასპინძელი **სანტიაგო სილვას** გოლით მე-13 წუთიდან მოყოლებული იგებდა. საბოლოოდ, **დიეგო მარადონას** ორი ყოფილი გუნდის დაპირისპირება ფრედ დასრულდა, რაც „არხენტინოსისთვის" შესანიშნავი შედეგია, „ბოკა" კი უკვე მე-16 ადგილზეა და „ლანუსს" 10 ქულით ჩამორჩება.

ასევე მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა „ველეს სარსფილდისა" და „ესტუდიანტესის" შეხვედრაში, სადაც მასპინძლებმა **დიეგო კანიას** გუნდის დამარცხება ვერ შეძლეს. **ფედერიკო ინსუამ** 77-ე წუთზე ანგარიში კი გახსნა, მაგრამ სტუმრებმა წონასწორობა ზუსტად ერთ წუთში აღადგინეს.

ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები. პაულისტა და კარიოკა



ლუიშ ფაბიანომ ერთთვიანი პაუზის შემდეგ გაიტანა

# კარიოკა სენსაციებით განახლდა

**პაულისტა. XII ტური.**

**კორინთიანსი-უნ. ბარბარენსე 3:0**

**გოლები:** 1:0 დუგლასი (53), 2:0 ჟორჟე ენრიკე (88), 3:0 რენატო აუგუსტო (90).

**სან კაეტანო-პალმეირასი 1:1**

**გოლები:** 1:0 ედერი (42), 1:1 ლეანდრო (49).

**სან პაულო-ოესტე 3:2**

**გოლები:** 1:0 ედსონ სილვა (19), 2:0 რაფაელ ტოლოი (31), 2:1 ლიგერი (45), 3:1 ლუიშ ფაბიანო (70), 3:2 ვანდერსონი (77).

**სანტოსი-გუარანი 2:1**

**გოლები:** 1:0 მონტილიო (35), 2:0 ანდრე (49), 2:1 ტიაგო (59).

| | |
|---|---|
| იტუანო-XV დე პირასიკაბა | 2:1 |
| მოჟი მირიმი-ლინენსე | 2:3 |
| მირასოლი-სან ბერნარდო | 3:4 |
| ბრაგანტინო-პენაპოლენსე | 3:2 |
| პონტე პრეტა-ატლ. პირასიკაბა | 2:1 |
| პაულისტა-ბოტაფოგო სპ. | 1:1 |

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. სან პაულო (11 თამაში) – 26 ქულა, 2. პონტე პრეტა – 26, 3. სანტოსი – 24, 4. ბოტაფოგო სპ – 22, 5. კორინთიანსი – 21, 6. პალმეირასი – 21, 7. მოჟი მირიმი – 20, 8. ლინენსე – 20, 9. ბრაგანტინო – 17, 10. პენაპოლენსე – 16, 11. სან ბერნარდო – 15, 12. ოესტე – 14, 13. პაულისტა – 14, 14. იტუანო – 13, 15. მირასოლი – 12, 16. XV დე პირასიკაბა – 10, 17. ატლ. სოროკაბა – 9, 18. გუარანი – 9, 19. უნიაო ბარბარენსე (11 თ) – 6, 20. სან კაეტანო – 6.

**ბომბარდირები:** 7 – ლეო ჟაიმე (ბრაგანტინო), ფერნანდო ბაიანო (სან ბერნარდო), ლინკომი (ბრაგანტინო); 6 – ნეიმარი (სანტოსი), მარსელო მასედო (პაულისტა), ნუნიეში (ბოტაფოგო სპ), ვილიამი (პონტე პრეტა).

პაულისტას მე-20 ტურში ოთხი გრანდიდან სამმა მოიგო, ხოლო „პალმეირასმა" აუტსაიდერ „სან კაეტანოსთან" ქულები გაიყო. მასპინძელთა რიგებში 66 წუთი ითამაშა ლეგანდარულმა **რივალდომ**, თუმცა ყოფილ გუნდს გოლი ვერ გაუტანა.

მოიგეს „კორინთიანსმა", „სან პაულომ" და „სანტოსმა". **ნეი ფრანკოს** „სან პაულომ" „ოესტე" დაამარცხა და ლიდერობა შეინარჩუნა. მასპინძელთაგან მესამე გოლი **ლუიშ ფაბიანომ** გაიტანა, რომელისთვისაც ეს ბურთი მიმდინარე პაულისტაში მე-4 იყო.

ზედიზედ მეორე შეხვედრაში გაიტანა „სანტოსის" ახალწვეულმა **ვალტერ მონტილიომ**. მისმა გუნდმა საკუთარ მოედანზე „გუარანი" დაამარცხა და მესამე ადგილი შეინარჩუნა.

მეხუთეზეა „კორინთიანსი", რომლის რიგებშიც პირველი გოლი შეაგდო **რენატო აუგუსტომ** – ლევერკუზენის „ბაიერის" ყოფილმა მოთამაშემ 90-ე წუთზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

რეგულარული სეზონის დასრულებამდე 7 ტური დარჩა, შემდეგ კი პლეი ოფი დაიწყება, სადაც მონაწილეობას პირველი 8 გუნდი მიიღებს.

**ტაკა რიო. I ტური.**

**ფლამენგო-რესენდე 2:3**

**გოლები:** 1:0 ერნანი (22), 2:0 ელიაში (31), 2:1 რობერტი (48), 2:2 ელიაში (60), 2:3 მარსელი (68).

**ბოტაფოგო-კისამა 4:0**

**გოლები:** 1:0 ჟულიო სეზარი (31), 2:0 ლოდეირო (68), 3:0 ფელიპე გაბრიელი (73), 4:0 რაფაელ მარკეში (80).

**ვასკო-ვოლტა რედონდა 0:1**

**გოლი:** 0:1 ანდრე ალვეში (11).

**ფლუმინენსე-აუდაქს რიო 1:0**

**გოლი:** 1:0 ველინგტონ ნემი (52).

| | |
|---|---|
| ოლარია-მადურეირა | 1:0 |
| ფრიბურგენსე-ნოვა იგუასუ | 2:0 |
| ბანგუ-დუკე დე კაშიასი | 2:2 |
| მაკაე-ბოავიშტა | 3:2 |

დაიწყო „ტაკა რიო", კარიოკას ჩემპიონატის მეორე ეტაპი. შეგახსენებთ, რომ „ტაკა გუანაბარა" „ბოტაფოგოს" გამარჯვებით დასრულდა, რომელიც კარიოკას ფინალში „ტაკა რიოს" გამარჯვებულს უნდა შეხვდეს. განსხვავებით პირველი ეტაპისგან, ამჯერად გუნდები საკუთარი ჯგუფის წევრებს ხვდებიან, შესაბამისად სულ 7 ტური უნდა გაიმართოს.

პირველივე ტურში ორი სენსაციური შედეგი დაფიქსირდა: „ვასკო და გამამ" შინ „ვოლტა რედონდასთან" წააგო, ხოლო „ფლამენგო", ასევე შინ, „რესენდესთან" დამარცხდა.

მინიმალური ანგარიშით მოიგო „ფლუმ", ხოლო „ტაკა გუანაბარას" გამარჯვებულმა „ბოტაფოგომ" „კისამა" გაანადგურა.

სენტ ეტიენი-პსჟ. გამოხმაურება

# 9 ლიდერის ამბავი და ბექჰემისთვის დანავსული სტადიონი

ლიგა 1-ის ამ ტურში პირველ 9 (!) ადგილზე მყოფი გუნდიდან, მოგება ვერავინ შეძლო და ამ ცხრა გუნდმა ჯამში 5 ქულა აიღო - „ლიონი", „ნიცა", „ლილი" და „რენი" დამარცხდნენ, „მარსელმა", „მონპელიემ" და ბორდომ", ისევე როგორც „პარი სენ ჟერმენმა" და „სენტ ეტიენმა", ფრედ ითამაშეს.

„ჟოფრუა გიშარზე" გამართულ შეხვედრას რაც შეეხება: „სენტ ეტიენსა" და პსჟ-ს მატჩმა მოლოდინი აშკარად გაამართლა და გულშემატკივარმა ლამაზი ფეხბურთის გარდა, დაძაბული თამაში და 4 გატანილი გოლი იხილა.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ, თანაც ორბურთიანი სხვაობით – ჯერ **ხავიერ პასტორემ** გაიტანა, შემდეგ კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**. იბრას გოლზე ორი სიტყვა ნამდვილად უნდა ვთქვათ: მიუხედავად იმისა, რომ შვედმა პენალტი გაიტანა, მორიგი „იბრაკადაბრობა" მაინც შემოგვთავაზა. პსჟ-ს ფორვარდმა 11-მეტრიანი პირველი დარტყმით კი გამოიყენა, მაგრამ შეხვედრის არბიტრმა, იმ მოტივით, რომ „სენტ ეტიენის" ფეხბურთელი საჯარიმოში ნაადრევად შევიდა, პენალტი თავიდან დაარტყმევინა... და რა გააკეთა ამ დროს იბრამ? იმავე კუთხეში დაარტყა, თუ კუთხე შეცვალა? არა! შვედმა გააკეთა ის, რაც მას ეკადრებოდა – ე.წ. **„პანენკას"** (ახალი თაობისთვის: **„პირლოს"**, შედარებით ძველი თაობისთვის: **„ტოტის"**) დარტყმა შეასრულა, ლიგა 1-ში თავისი 25-ე გოლი გაიტანა და ანგარიში 0:2 გახადა.

**კრისტოფ გალტიეს** და მის გუნდს შექება ნამდვილად ეკუთვნით – „მწვანეებმა" მოახერხეს და ორბურთიანი დეფიციტი აღმოფხვრეს. სხვაობა პირველივე ტაიმში შემცირდა, როდესაც **ალექსმა** ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა, მეორე ნახევარში კი ანგარიში **ფრანსუა კლერმა** გაათანაბრა. საბოლოოდ, 2:2 და „სენტ ეტიენი" კვლავ დაუმარცხებელია – საფრანგეთის 10-გზის ჩემპიონს 2013 წელს არ წაუგია და მისი დაუმარცხებელი სერია უკვე 10 მატჩია გრძელდება (6 მოგება და 4 ფრე). სამაგიეროდ, შეწყდა **პიერ-ემერიკ ობამეიანის** სერია – გაბონელ ფორვარდს გოლი ბოლო 8 შეხვედრაში (ყველა ტურნირზე - 7 ჩემპიონატში და ერთი თასზე) ჰქონდა გატანილი.



დევიდ ბექჰემის (მარცხნივ) და ბრანდაოს კინკლაობა

აღსანიშნავია მატჩის შემდეგ **დევიდ ბექჰემის** გაცხარება – 37 წლის ფეხბურთელი **ბრანდაოს** წაეკიდა და ბრაზილიელი უკანასკნელი სიტყვებით გამოლანძღა. შეგახსენებთ, რომ ინგლისელი იმ სტადიონზე თამაშობდა, სადაც 15 წლის წინ, არგენტინა-ინგლისის მატჩის დროს, **კიმ მილტონ-ნილსენისგან** წითელი ბარათი მიიღო. მოკლედ, „ბექზს" „ჟოფრუა გიშარზე" სკანდალის მოწყობის გარეშე არ შეუძლია...

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ჩემპიონთა ლიგა

# ინგლისის რეგრესი

## რა სჭირს პრემიერლიგის ელიტას?

**ჩემპიონთა ლიგას ლონდონის „არსენალიც“ გამოეთიშა და რა თქმა უნდა, ყველამ დააფიქსირა, რომ ჩემპიონთა ლიგა ინგლისური კლუბების გარეშე დარჩა, მაგრამ პრემიერლიგის ელიტა სერიოზულად მეოთხედფინალის ნილისყრაზე მოვისაკლისეთ.**



არც „მანჩესტერ იუნაიტედი“, არც ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებული „ჩელსი“, არც „მანჩესტერ სიტი“ და ალარც „არსენალი“ - ფაქტია, რომ ევროპის ელიტარულ საკლუბო ლიგას მეოთხედფინალიდან ინგლისური ფეხბურთი ძალიან დააკლდება. ცხადია ისიც, რომ ინგლისური საკლუბო ფეხბურთის კრიზისი (და ამას ნამდვილად კრიზისი უნდა ენოდოს) ამ სეზონში არ დაწყებულა - პრემიერლიგა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში შარშანაც მოკრძალებულად იყო წარმოდგენილი, თუმცა რეგრესი „ჩელსის“ სენსაციურმა ჩემპიონობამ მიჩქმალა. ახლა კი, 1996 წლის შემდეგ პირველად მოხდა ისე, რომ მეოთხედფინალში არცერთი ინგლისური კლუბი არ არის წარმოდგენილი. ფინალი კი „უემბლიზე“ უნდა გაიმართოს.

თითქოს ბედის ირონიაა ის, რომ ჩემპიონთა ლიგა ინგლისური კლუბების გარეშე სწორედ იმ სტადიონზე დარჩა, სადაც ლონდონის „ჩელსიმ“ შარშან ჩემპიონთა თასი აღმართა - მიუნხენში, „ალიანს არენაზე“. „მანჩესტერ იუნაიტედის“ გავარდნის შემდეგ ამ ტურნირზე „არსენალი“ ხომ უკანასკნელი პრემიერლიგელი იყო. 17 წლის წინათ ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ჩემპიონები ასპარეზობდნენ და ინგლისის სენსაციური ჩემპიონი „ბლექბერნ როვერსი“ სულაც ჯგუფში ჩარჩა...

### შარშან ჩელსიმ იმაჟაკაცა

როგორც შესავალშიც ვთქვით, ინგლისური საკლუბო ფეხბურთის რეგრესი ევროსარბიელზე ამ სეზონში არ დაწყებულა. შარშან მხოლოდ მომავალმა ჩემპიონმა „ჩელსიმ“ უზრუნველყო ის, რომ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მინიმუმ ერთი პრემიერლიგელი მაინც ყოფილიყო. სხვათა შორის, ლონდონური კლუბი მერვედფინალიდან გავარდნას მაშინ ძლივს გადაურჩა - ნეაპოლში 1:3-ზე წაგების შემდეგ, „არისტოკრატებმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ თამაში დამატებით დროში გადაიყვანეს და იტალიური ბარიერი მაინც დასძლიეს. მერე კი, ყველასათვის მოულოდნელად, ფინალამდე გააღწიეს და მიუნხენში „ბაიერნის“ დამარცხებაც მოახერხეს.

წელს კი ასეთი „ჰეფი ენდი“ აღარ დაფიქსირდა - მართალია, „არსენალმა“ მიუნხენში 2:0 მოიგო, მაგრამ **არსენ ვენგერის** გუნდს ეს მეოთხედფინალში გასვლისთვის არ ეყო. ინგლისური ბასტიონიდან ჩემპიონთა ლიგას ასევე მერვედფინალიდან გამოეთიშა „მანჩესტერ იუნაიტედიც“ (რეალმა გააგდო), „ჩელსი“ და „მანჩესტერ სიტი“ კი სულაც ჯგუფში ჩარჩნენ და აქვე იმასაც გაგახსენებთ, რომ „ჩელსი“ პირველი მოქმედი გამარჯვებულია ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში, რომელმაც მომდევნო სეზონში ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა.

### ვენგერი: პრემიერლიგა უნდა გამოფხიზლდეს!

*„ინგლისურმა საკლუბო ფეხბურთმა უდიდესი დარტყმა მიიღო. ასეთ წარუმატებლობას პრემიერლიგა არ იყო მიჩვეული, - აცხადებს ვენგერი, - ვფიქრობ, დროა, პრემიერლიგის ელიტა გამოფხიზლდეს, თორემ ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ ევროპაში პოზიციებს მნიშვნელოვნად დავთმობთ.“*

წლევანდელი ფიასკო ინგლისური ფეხბურთისთვის კატასტროფა ნამდვილად არ არის, მაგრამ თუ რეგრესი არ შეწყდა, კატასტროფა გარდაუვალი იქნება. პრემიერლიგა ძველებურად ბრწყინვალე სანახაობაა, მაგრამ ევროსარბიელზე ბოლო დროს აშკარად ჩანს, რომ გერმანული, ესპანური და იტალიური კლუბები პრემიერლიგელებს იმ კრიტერიუმშიც კი წამოეწივნენ, რომელიც ინგლისური ფეხბურთის სავიზიტო ბარათადაა ქცეული - ფიზიკურ სიძლიერეს და გამძლეობას ვგულისხმობთ. ამაში თავისი წვლილი ინგლისის ძალიან გადატვირთულ კალენდარსაც მიუძღვის. ფაქტია, რომ ინგლისურ საკლუბო ფეხბურთზე ფინანსური ფეარ პლეიც ცუდად იმოქმედებს - ამით „ჩელსის“ და „სიტის“ შეექმნებათ პრობლემები.

„არსენალის“ მძლეველი „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ინგლისურ რეგრესს სერიოზულად ჯერ არ აღიქვამს: *„იყო წლები, როცა ევროტურნირებს გერმანული კლუბებიც ძალიან მალე ეთიშებოდნენ. ახლო წარსულში კრიზისი იტალიურ კლუბებსაც ჰქონდათ. შესაბამისად, ინგლისთან მიმართებაში სერიოზულ პრობლემას ჯერ ვერ ვხედავ, რადგან ფეხბურთში ასეთი ციკლი ხშირია. დარწმუნებული ვარ, რომ გაისად ბრიტანელები ჩემპიონთა ლიგაში უკეთესად გამოვლენ.“*

ერთი წელიც მალე გავა და ვნახავთ, დროებითია თუ არა ინგლისური საკლუბო ფეხბურთის კრიზისი.

ბუნდესლიგა



წელს ბუნდესლიგის ბომბარდირობის უმთავრესი კანდიდატი რობერტ ლევანდოვსკია

მარსიო ამოროზო 11 წლის წინ, „კიკერის ზარბაზნით“

# ამოროზოდან 11 წლის შემდეგ...

## ...ლევანდოვსკი ზარბაზანს უმიზნებს

თუ ტრავმა არ მიიღო, ან დისკვალიფიკაცია არ დაიმსახურა, ეჭვი ალარავის ეპარება იმაში, რომ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი ამ სეზონში დორტმუნდის „ბორუსიას“ პოლონელი თავდამსხმელი **რობერტ ლევანდოვსკი** გახდება. 24 წლის გოლეადორი 8 ტურია, მოედანს უგოლოდ არ ტოვებს, რაც „დორტმუნდში“ რეკორდია და რობერტი გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის განკუთვნილ ჯილდოს, „კიკერის ზარბაზანსაც“ უმიზნებს.

საინტერესო ისაა, რომ „დორტმუნდის“ ფეხბურთელი ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი 11 წელია არ გამხდარა! ბოლოს ეს წოდება 2001/02 წლების სეზონში „ბორუსიას“ ბრაზილიელმა ფორვარდმა **მარსიო ამოროზომ** მოიპოვა - მაშინ დორტმუნდელები გერმანიის ჩემპიონებიც გახდნენ და დღეს 38 წლის ამოროზო იმხანად ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი იყო. აქვე ისიც ვთქვათ, რომ იმ სეზონში ამოროზომ ბომბარდირობა 18 გოლით გაიფორმა. ახლა კი, ლევანდოვსკის 26 ტურის შემდეგ უკვე 19 გოლი აქვს გატანილი.

*„გუნდის წარმატებები, რა თქმა უნდა, ყველაფერზე მაღლა დგას, მაგრამ გერმანიის ჩემპიონატის ბომბარდირობაზეც მეც ვოცნებობ. იმედია, პირველობაში ველარავინ შემეცილება,“* - აცხადებს პოლონელი გოლეადორი, რომელსაც მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. აღსანიშნავია, რომ ბომბარდირთა რეიტინგში მეორე ადგილზე მყოფი **შტეფან კისლინგი** (ლევერკუზენი) ლევანდოვსკის 3 გოლით ჩამორჩება, „ბაიერნის“ გოლეადორი **მარიო მანჯუკიჩი** კი - ოთხით.

ლევანდოვსკიმ 19 გოლის გატანა 23 მატჩში შეძლო, რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ერთ შეხვედრაში 0.83 გოლი გააქვს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წინა სეზონში 22 გოლი შეაგდო, დავინახავთ, რომ რობერტი ბოლო 30 წელიწადში „დორტმუნდის“ საუკეთესო ბომბარდირია.

მოსალოდნელი ტრანსფერები

# ნავა ელია მოსკოვში?

## ფაქტია: ჰოლანდიელი ვერდერს არაფერში არგია

ბრემენის „ვერდერი“ ამ სეზონში სამარცხვინოდ გამოიყურება: ამბიციური „მუსიკოსები“ 26 ტურის შემდეგ მე-14 ადგილზე არიან და ბუნდესლიგაში დღესდღეობით ყველაზე მეტი, 51 გოლი აქვთ გაშვებული. ბრემენელთა ფიასკოს ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ 5.5 მილიონ ევროდ შეძენილმა ჰოლანდიელმა გარემარბმა **ელჯერო ელიამ** იმედი ვერ გაამართლა. თუკი **თომას შააფი** 26 წლის ელიას სეზონის პირველ ნახევარში მაინც ჯიუტად ენდობოდა, ბოლო დროს ჰოლანდიელი სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ელიას ამ სეზონში არც ერთი გოლი არ აქვს გატანილი.



ელჯერო ელიამ ვერც „ვერდერში“ გაამართლა

მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მის სახელს (სახელის მეტი კი ამ ფეხბურთელისგან მართლა არაფერი დარჩა) რუსეთში ჯერ კიდევ პატივს სცემენ. გაზეთ „იზვესტიას“ ცნობით, ელიას გადაბირებით მოსკოვის ცსკა დაინტერესდა. ჩვენი რუსი კოლეგები წერენ, რომ ცსკა-დან 22 წლის ალან ძაგოევის წასვლა უფრო და უფრო რეალური ხდება და მოსკოველებს მის შემცვლელად სწორედ ელია ესახებათ. ჰოლანდიელი ფეხბურთელის აგენტი სიარონ ვინკი კი ამბობს, მოლაპარაკებებისთვის მზად ვართო და წესით, ელჯეროს არც ბრემენელებმა უნდა „დაახიონ კალთები“.

გაირკვა, რომ ცსკა-ს ელიას გადაბირება გასულ ზაფხულსაც სურდა, მაგრამ მაშინ ელჯერომ არჩევანი „ვერდერზე“ შეაჩერა. ჰოლანდიელს ბრემენელებთან კონტრაქტი 2016 წლამდე აქვს გაფორმებული.

# ილქაი და მარკო სიტიში?

## მანჩესტერელებმა დორტმუნდის ლიდერებს თვალი დაადგეს

„მირორის“ ინფორმაციით, „მანჩესტერ სიტი“ მზადაა, ზაფხულში დორტმუნდის „ბორუსიას“ 58 მილიონი ევრო გადაუხადოს, სანაცვლოდ კი, ინგლისური კლუბი გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონის ორ ვარსკვლავს, 23 წლის **მარკო როისს** და 22 წლის **ილქაი გიუნდოგანს** ითხოვს.

როგორც ირკვევა, „სიტის“ სკაუტები გიუნდოგანსა და როისს ბოლო თვეებში აქტიურად აკვირდებოდნენ და მანჩესტერული კლუბის ხელმძღვანელობა დაარწმუნეს იმაში, რომ ამ ფეხბურთელებში დიდი ფულის გადახდა ღირს. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი წერენ, რომ „დორტმუნდისა“ და „შახტარის“ მატჩს, რომელიც გერმანელებმა 3:0 მოიგეს, „სიტის“ სპორტული დირექტორი **ჩიკი ბეგირისტაინი** სწორედ გიუნდოგანისა და როისის გამო დაესწრო.

თუმცა ცნობილია, რომ „დორტმუნდს“ არც გიუნდოგანის გაყიდვა უნდა და მით უმეტეს არც როისისა, რომელიც „ბორუსიას“ შესანიშნავად შეეწყო და პირველივე სეზონში გუნდის ლიდერად ჩამოყალიბდა. ამასთან, „დორტმუნდიდან“ წასვლის სურვილი არც თავად ფეხბურთელებს გამოუთქვამთ. გარდა ამისა, გიუნდოგანსა და როისს „ბორუსიასთან“ ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ - ილქაის ხელშეკრულებას ვადა 2015 წლამდე აქვს და „ტრანსფერმარკტზე“ ეს ფეხბურთელი 20 მილიონ ევროდაა შეფასებული, როისს კი - 2017 წლამდე (ფასი: 30 მილიონი ევრო).

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ილქაი გიუნდოგანი (მარცხნივ) და მარკო როისი

ვარსკვლავი



მაიკლ ოუენი

# ვარსკვლავბიჭუნა ფეხბურთიდან მიდის

თუკი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან გულშემატკივარს რომელიმე მოვლენა მკვეთრ ფერებში ახსოვს, ერთ-ერთი **მაიკლ ოუენის** თამაში უნდა იყოს. მაშინ 18 წლის ინგლისელმა ბიჭუნამ მთელი მსოფლიო გააკვირვა ასაკისთვის შეუფერებლად დალვინებული თამაშით. 1/8-ფინალურ შეხვედრაში არგენტინის ნაკრებთან მაიკლის გოლი ულამაზესი სანახავი იყო. ყველა ფიქრობდა, რომ კუნძულელები მისგან დიად ფეხბურთელს გამოთლიდნენ, თუმცა ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა. „ლივერპულის" შემადგენლობაში თინეიჯერმა ვარსკვლავმა ზედიზედ 80 თამაში ჩაატარა შეუცვლელად და გადაიწვა. ამხელა დატვირთვამ მას ჯანმრთელობა შეურყია, რამაც რამდენიმე წლის შემდეგ იჩინა თავი. 2004 წელს მერსისაიდიდან წასვლის შემდეგ მან ბედი მრავალჯერ სცადა, მაგრამ ძველებურად ლაღად ფრენა ვერსად შეძლო. ოუენის კარიერის დასასრულის დასაწყისი მაშინ დადგა, როცა 29 წლისამ „მანჩესტერ იუნაიტედში" გადაწყვიტა კარიერის გაგრძელება. „ოლდ ტრეფორდზე" სამი სეზონის განმავლობაში ფეხბურთელი მუდმივად სათადარიგოთა შორის იჯდა. შარშან ზაფხულზე კი მან თავი „სტოკ სიტის" შეაფარა, მაგრამ ისევ და ისევ ტრავმების გამო ველარაფერი დაამტკიცა. მიმდინარე სეზონში მან პრემიერლიგაში 6 თამაში ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა. გუშინ ინგლისელი გულშემატკივრის საყვარელმა ფეხბურთელმა საკუთარ ვებგვერდზე განცხადება გამოაქვეყნა, რომ სეზონის დასრულებისთანავე ფეხბურთიდან წასვლას აპირებს: „სიამაყით მინდა გაუწყოთ, რომ სეზონის დასრულებისთანავე პროფესიულ კარიერას ვწყვეტ. მიმაჩნია, რომ ამ ნაბიჯის გადასადგმელად ყველაზე უფრო შესაფერისი დროა. მინდა, პირველ რიგში მადლობა ვუთხრა ჩემს ოჯახს, განსაკუთრებით ჩემს ლამაზ მეუღლე ლუიზს მისი უსაზღვრო სიყვარულისთვის კარიერის ყოველ ეტაპზე, იქნებოდა ეს აღმაფრენისა თუ დაღმასვლის წლები. მას მადლობას ვეუბნები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი საჩუქრებისთვის – ჩვენი შვილებისთვის. გამიმართლა, რომ ჩემმა კარიერამ ისეთი დაუვიწყარი თავგადასავლები მაჩუქა, რომელზეც ზოგიერთებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ. ყოველივე შეუძლებელი იქნებოდა ჩემი მწვრთნელების, თანაგუნდელების, გულშემატკივრებისა და პირადი სპონსორების გარეშე. მადლობა ყველას, ვინც დამეხმარეთ წარმატების მიღწევაში".

აქვე გეტყვით, რომ 33 წლის ფეხბურთელს ჰყავს მეუღლე **ლუიზ ბონსალი**, ვინც ჯერ კიდევ სკოლის პერიოდიდან უყვარს და ოთხი შვილი – **ჯემა როუზი, ჯეიმს მაიკლი, ემილი მეი** და **ჯესიკა**. რაც შეეხება კარიერას: ოუენს უთამაშია „ლივერპულში" (1996/2004), „რეალში" (2004/05), „ნიუკასლში" (2005/09), „მანჩესტერ იუნაიტედსა" (2009/12) და „სტოკ სიტიში" (2012/13). საკლუბო კარიერაში ჩატარებულ 480 შეხვედრაში მის ანგარიშზე 222 გოლია, ინგლისის ნაკრებში კი მან 89 მატჩში 40-ჯერ გამოიჩინა თავი. უკანასკნელად „სამი ლომის" შემადგენლობაში მან 2008 წლის 26 მარტს ითამაშა საფრანგეთის წინააღმდეგ (1:0).

**ლევან ბიბილაშვილი**

მოსაზრება

# დაივიწყეთ ბეილი და ვან პერსი
# სუარესი!

**რამდენიმე** დღის წინ „დეილი მეილის" საფეხბურთო მიმომხილველმა ჯეიმი რედნაპმა, ფეხბურთელმა ვინც, „ლივერპულის" რიგებში 1991-დან 2001 წლამდე თამაშობდა, საინტერესო სტატია შემოგვთავაზა ლუის სუარესზე. 39 წლის ექსპერტმა პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად მერსისაიდელთა ურუგვაელი თავდამსხმელი დაასახელა. რა არგუმენტებს გვთავაზობს საკუთარი მოსაზრების გასამყარებლად, ამას ქვემოთ წაიკითხავთ. მასალას შემოკლებით გთავაზობთ.

– სუარესს ერთადერთი რამ აშორებს წლის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისგან - ეს მისი კონკურენტები არიან. არ ვფიქრობ, რომ „ტოტენჰემის" ან „მანჩესტერ იუნაიტედის" ბანაკიდან მას ვინმე ხმას მისცემს. მე თუ მკითხავთ, ტიტულს მხოლოდ ერთი ღირსეული პრეტენდენტი ჰყავს. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ „ლივერპულში" 11 წელიწადი გავატარე. რეალისტი ვარ და მოვლენებს სალი თვალით ვუყურებ. მოდი, მის კონკურენტებს შევავლოთ თვალი.

დავიწყოთ ბეილით. საუკეთესო ფეხბურთელის წოდება ენიჭება მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილური და წარმატებული ასპარეზობისთვის და არა ბოლო ორი თვის გამო. ამ გარემოებამ უელსელი ფეხბურთელი ავტომატურად უნდა გამორიცხოს პრეტენდენტთა სიიდან. ბეილმა ხომ 30 იანვარს „ნორვიჩთან" თამაშის შემდეგ აგვალაპარაკა. მას მერე მან 10 თამაშში 10 გოლი გაიტანა, მაგრამ განა ეს საკმარისია?

ახლა ვან პერსიზე გადავიდეთ. ჰოლანდიელმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა უკანასკნელ 10 თამაშში, იქამდე კი 9 შეხვედრაში ამდენივე გოლი ჰქონდა ანგარიშზე. ის ინგლისის საუკეთესო გუნდში თამაშობს და აქვს წინა პირობა, რომ რეგულარულად გაიტანოს.

სუარესი კი „ლივერპულისთვის" ნამდვილი მისტერ საოცრება გახდა (მულტსერიალ The Incredibles-ის გმირი. რედ). მან 39 შეხვედრაში 29-ჯერ გამოიჩინა თავი. ლუისი თამაშობს გუნდში, რომელიც გარდაქმნის ეტაპზეა, მაგრამ მაინც ახერხებს ბრძოლას მაღალი ადგილებისთვის. ურუგვაელის როლი ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია. წარმოგიდგენიათ, სად იქნებოდა გუნდი ლუისის გარეშე? პირადად ამის გაფიქრებაც მზარავს. გაიხსენეთ მისი გოლი „ტოტენჰემთან" შეხვედრაში. ლორისი ალბათ ვერც წარმოიდგენდა, რომ სუარესი ერთი შეხებით ახლო კუთხეში დაურტყამდა და თანაც ზუსტად.



ჯეიმი რედნაპი ლუის სუარესსა და ერიკ კანტონას შორის პარალელს ავლებს

მას თავად შეუძლია არაფრისგან სახიფათო მომენტების შექმნა. ზოგიერთები ამას გამართლებას უწოდებენ, მაგრამ ყველაფერი ეს ტექნიკისა და სუარესის სათამაშო ტაქტიკის შემადგენელი ნაწილია. თავდამსხმელების უმრავლესობა ელოდება, როდის მიართმევენ ბურთს, ლუისი კი თავად ეძებს მას. „ტოტენჰემთან" ჯერ კიდევ 1:2-ის დროს მან ბურთი აუტიდან ისე ჩამოაწოდა, რომ მცველისთვის, ვისაც ეს ევალებოდა, არ დაუცდია და ამით ძვირფასი დრო მოიგო. სუარესისთვის წინა სეზონი ურთულესი გამოდგა. სკანდალებმა და დისკვალიფიკაციამ მის თამაშზე უარყოფითად იმოქმედა, თუმცა წელს კიდევ უფრო ძლიერი და უფრო მშიერი დაბრუნდა.

სუარესი ტოპფეხბურთელია, ვისაც თავისიანები აღმერთებენ, სხვებს კი ეშინიათ. ის ებრძვის ყველას: მეტოქეებს, მსაჯებს, მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს. ხანდახან მეჩვენება, რომ მასში პატარა ეშმაკი ზის, ვინც საბრძოლველად აქეზებს. მაღიზიანებს, როცა ვხედავ, რომ სუარესი ხანდახან თანაგუნდელებითაც უკმაყოფილოა. მისი ჟესტები სხვათა მიმართ ძალიან არ მომწონს. თუმცა არ შემიძლია გავკიცხო, რადგან ვხედავ, როგორ იბრძვის თავისი კლუბისა და გულშემატკივრების გამო. მსგავსი ტიპაჟი იყო ერიკ კანტონა. ის ანალოგიურ ემოციებს აღძრავდა ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებში. ფრანგი მეტისმეტად ქედმაღალი იყო. გაიხსენეთ, როგორ გამოდიოდა თამაშზე საყელოაწეული და როგორ მოძრაობდა მინდორზე. მას სიამოვნებით ამოვცხებდი ფეხს ამისთვის, ასეთი დიადი რომ არ ყოფილიყო. საკუთარი გულშემატკივრები მას ნამდვილად დიდ პატივს სცემდნენ. არასოდეს მიმიცია ხმა კანტონასთვის საუკეთესო ფეხბურთელის არჩევის დროს. თუკი ყველა ისე იმოქმედებს, როგორც თავის დროზე ამას მე ვაკეთებდი, სუარესი ამ პრიზს ვერასოდეს მოიგებს. იმედია, ეს არ მოხდება.

თუკი პროფესიონალი ფეხბურთელები მას საუკეთესოდ არ დაასახელებენ, მაშინ ასეთად ის ჩვენ, პროფესიონალმა ჟურნალისტებმა უნდა დავასახელოთ და ვალიაროთ მისი დამსახურებები.

**ლევან ბიბილაშვილი**

იტალიის ნაკრები

# პრანდელი ტოტის არ გამორიცხავს

**გუშინდელ** ნომერში იმ ფეხბურთელთა გვარები გამცნეთ, რომლებიც **ჩეზარე პრანდელიმ** უახლოესი ორი მატჩისთვის გამოიძახა. იტალიის ეროვნულ ნაკრებს 21 მარტს ბრაზილიასთან უწევს ამხანაგური პაექრობა, ოთხი დღის შემდეგ კი მალტაზე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის თამაშსაც გამართავს.

პრანდელის სიას იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა - „კორიერე დელო სპორტმა" სულაც განაცხადს მიღმა დარჩენილ მოთამაშეებს მიუძღვნა სტატია და ახალი გუნდიც შეადგინა. მაგალითად, კარში მარადჟამს ოფსაიდში მყოფი **კრისტიან აბიატი** ჩააყენა, დაცვაში **ფედერიკო ბალცარეტი, დავიდე სანტონი, დომენიკო კრიშიტო, პაოლო კანავარო** და **პაოლო დე ჩელიე** შეგვიძლია გამოვარჩიოთ, ნახევარდაცვაში **ალბერტო აკვილანი, კრისტიან ლედესმა** და **სტეფანო მაური**, შეტევაში კი **ალესანდრო მატრი, ფაბიო კვალიარელა, ანტონიო კასანო** და რაც ყველაზე საინტერესოა, **ფრანჩესკო ტოტი**. დიახ, 36 წლის ტოტი კვლავაც ნაკრების კანდიდატად განიხილება და ეს თემა ბოლო დღეებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალურია. „იმპერატორი" რეკორდს რეკორდზე ამყარებს, შესანიშნავ ფორმაშია და ეს სტატისტიკიდანაც ნათლად ჩანს. რაც მთავარია, ტოტის ნაკრებში შესაძლო დაბრუნება არც ჩეზარე პრანდელიმ გამორიცხა:



ფრანჩესკო ტოტი

„ასაკი ჩემთვის არასდროს ყოფილა გადამწყვეტი და შესაბამისად, ნაკრების კარი არც ფრანჩესკო ტოტისთვის დამიხურავს. [illegible] მას ვაკვირდები და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა ნაკრებში კიდევ გამოვიძახო. [illegible] მოხდეს, ან თუნდაც მუნდიალზე... მოკლედ, ტოტი ჯერ კიდევ ნაკრების კანდიდატია".

პრანდელის განცხადებას თავად ტოტი გამოეხმაურა: „სენიორ ჩეზარეს სიტყვები ჩემთვის ბევრს ნიშნავს და დიდ სტიმულს მაძლევს. ვიცი, რომ შესარჩევ ეტაპზე და ამხანაგურ მატჩებში არ გამომიძახებს, მაგრამ თუ მუნდიალამდე ასეთი ფორმა შევინარჩუნე, მართლაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუმცა, დღეს მხოლოდ „რომაზე" ვარ კონცენტრირებული და მსურს, გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო. მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს".

**ლაშა ნიკლაური**

ბარსელონა

# ბარსელონა ვილიას ახალ კონტრაქტს უმზადებს

„ბარსელონა" არათუ არ აპირებს შეელიოს 31 წლის ფორვარდ **დავიდ ვილიას**, არამედ ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირს ახალ კონტრაქტსაც უმზადებს - ამის შესახებ ესპანური პრესა იუწყება. „ელ გუახეს" ხელშეკრულება კატალონიურ კლუბთან 2014 წლის ზაფხულში უსრულდება, ახალი კონტრაქტი კი მას „ბარსაში" პრაქტიკულად პროფესიული კარიერის ბოლომდე დატოვებს.

შეგახსენებთ, რომ სეზონის განმავლობაში ვილიას სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა და არცთუ საუკეთესო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ჰქონდა კონფლიქტი **ლიონელ მესისთან** და **ტიტო ვილანოვასთან** დალაპარაკებაც სურდა გუნდიდან გაშვების თაობაზე, თუმცა ახლა მის ანგარიშზე უკვე 8 გოლია ლა ლიგის სეზონში.

## აბიდალმა ითამაშა!

ღვიძლის გადანერგვის შემდეგ „ბარსელონას" ფრანგმა მცველმა **ერიკ აბიდალმა** პირველად ითამაშა ფეხბურთი. მან გუნდის სარეზერვო შემადგენლობაში ფრანგულ „ისტრთან" ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ახლა „ბარსელონას" პირველი გუნდის მთელი შემადგენლობიდან მხოლოდ სამი არ არის გამოძახებული სხვადასხვა ნაკრებში. ამ სამიდან ორმა, აბიდალმა და **ჯონათან დოს სანტოსმა** ამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

„ჩვენ ჯერ ვერ გეტყვით, როდის იქნება აბიდალი მზად სათამაშოდ. ის ძალიან კარგ განწყობაზეა. ჩემი აზრით, დიდი ხანი არ დარჩა, რაც მწვრთნელს ერიკის პირველი გუნდის განაცხადში შეყვანა შეეძლება", - განაცხადა ექიმმა **რიკარდ პრუნიამ**.



ერიკ აბიდალი

შეგახსენებთ, რომ ერიკ აბიდალმა 2012 წლის 21 თებერვალს ღვიძლი გადაინერგა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ამბები

### მინუს კეპილი

**როი ჰოჯსონის** უიღბლობას ბოლო არ უჩანს. ინგლისის ნაკრების 65 წლის მთავარმა მწვრთნელმა თავდაპირველად გამოძახებული შემადგენლობიდან 4 ფეხბურთელი დაკარგა და აქედან 3 ცენტრალური მცველი. ჯერ ცნობილი გახდა, რომ ეროვნულ გუნდს **აარონ ლენონი** ვერ დაეხმარებოდა. მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ **მაიკლ დოუსონი, რიო ფერდინანდი** და აგერ უკვე **გარი კეჰილიც**. ჰოჯსონმა შეკრებაზე პირველად **ჯოლეონ ლესკოტს** უხმო, შემდეგ **სტივენ კოლკერს** და კეჰილის ტრავმის შემდეგ იძულებული გახდა, ნიუკასლელი **სტივენ ტეილორისთვისაც** დაეძახა. ვეტერანი მწვრთნელი გულს მხოლოდ იმით თუ დაიმშვიდებს, რომ „ჩელსის" უკანახაზელს სერიოზული არაფერი სჭირს და შესაძლოა, მან ჩერნოგორიასთან 26 მარტს თამაში შეძლოს კიდეც. ტრავმების ეპიდემიაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **გარი ნევილი**. 38 წლის სპეციალისტი ნაკრების მხარდამჭერებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს.

### ბლექბერნმა სეზონში მეხუთე მწვრთნელი გაუშვა

„ბლექბერნში" სეზონის დაწყებამდე აცხადებდნენ, რომ გუნდი პრემიერლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებდა, მაგრამ რეალობა განსხვავებული აღმოჩნდა. „ვარდებს" ჩემპიონშიპში ადგილის შესანარჩუნებლად უწევთ ბრძოლა. სხვაობა გასავარდნ ზონასთან მხოლოდ 4 ქულაა. ამის მიზეზი შეიძლება ისიც არის, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მიმდინარე სეზონში უკვე მეხუთე მწვრთნელს მიუთითა კარისკენ. „ივუდ პარკზე" სეზონი **სტივ კინმა** დაიწყო, მას შემდეგ კი გუნდს წვრთნიდნენ **ერიკ ბლეკი, ჰენინგ ბერგი, გარი ბოიერი** და **მაიკლ ეპლტონი**. გუნდს სეზონის ბოლომდე (ოღონდ დარწმუნებულები არ ვართ) ეპლტონის ყოფილი ასისტენტი **დარენ მური** უხელმძღვანელებს.

### პოლიციელთა ოპერატიულობა

„გარდიანის" ცნობით, ლონდონის პოლიციამ „ჩელსი"-„ვესტ ჰემის" შეხვედრის მიმდინარეობისას მასპინძელი ფეხბურთელების რასობრივი ნიშნით შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი ადამიანები დააკავა. სამართალდამცავები ჯერ კიდევ ეძებენ რკინის მონეტებისა და ბოთლების მსროლელებს.

### პულისი ფიქრობს

„სტოკ სიტის" მთავარმა მწვრთნელმა **ტონი პულისმა** განაცხადა, რომ თუკი სეზონის დასრულებამდე გუნდის თამაშში პროგრესის ნიშნებს ვერ დაინახავს, ზაფხულზე გუნდიდან წავა. 55 წლის უელსელს ხელმძღვანელობასთან ბოლო პერიოდში ურთიერთობა დაეძაბა, რადგან კლუბის მენეჯმენტი ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფულის გამოყოფაზე უარს აცხადებს. არსებული შემადგენლობით კი ამბიციური მიზნებისთვის ბრძოლა არარეალურია. პულისის გუნდი სეზონის მიმდინარეობისას უბრალოდ გადაიღალა, რადგან წამყვან ფეხბურთელებს ღირსეული შემცვლელები არ ჰყავთ.

### კომპანი ნაკრებში ითამაშებს?

„მანჩესტერ სიტის" 26 წლის კაპიტანმა **ვენსან კომპანიმ** ფეხის ტრავმა 19 იანვარს „ფულჰემთან" პრემიერლიგის XXIII ტურის შეხვედრაში მიიღო და მას მერე მოედანზე არ გამოჩენილა. ბელგიელი ვარსკვლავის დაბრუნებაზე ხმები რამდენჯერმე აგორდა. „სიტის" ექიმები კი მას ამის უფლებას დღემდე არ აძლევენ. მიუხედავად იმისა, რომ ვენსანს მთელი ორი თვეა არ უთამაშია, ბელგიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მარკ ვილმოტსმა** მას შეკრებაზე უხმო და გამორიცხული არ არის 22 და 26 მარტს მაკედონიის ნაკრებთან 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებშიც გამოიყენოს.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ლიონელ კასანო

**ანტონიო კასანოს** მეორე შვილი ეყოლა და მეორეც ბიჭი, ამ ამბავმა კი იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს დიდწილად იმ სახელით გახლავთ განპირობებული, რომელიც კასანომ თავის ვაჟს შეურჩია. ანტონიომ შვილს ლიონელი დაარქვა და თუ ვის საპატივსაცემოდ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. 30 წლის თავდამსხმელმა მოკლე კომენტარიც გააკეთა:

„ლიონელ მესის დიდი თაყვანისმცემელი ვარ და შვილს მისი სახელი ამიტომ დავარქვი. როდესაც ამის შესახებ ცოლს ვამცნე, კარგა ხანი არ იჯერებდა, შემდეგ კი შემეწინააღმდეგა. ძლივს დავითანხმე და ძალიან კმაყოფილი ვარ. ლიონელი მშვენიერი სახელია და თუ ისევე ითამაშებს ფეხბურთს, როგორც მესი, ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება".

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავმოწონება? რალა ჩვენს ხარჯზე


ვალერია ჩეპსარაკოვა (წინა პლანზე) ფინალში იანა სტადნიკს ამარცხებს

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ბლომად მაყურებელი, დილიდანვე ლამის სავსე ტრიბუნები და ერთგული ქომაგობა - ეს ყველაფერი იყო გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დაწყებულ ჭიდაობის ევროპის პირველობაზე და არც იმის თქმით გადავაჭარბებთ, რომ საჭიდაო ზეიმი შედგა. ამ ტურნირმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რაოდენ მნიშვნელოვანია ჭიდაობა საქართველოში და რამდენად აკლია ადგილობრივ ქომაგს მსგავსი ტურნირები. სამწუხაროა, რომ ამ ზეიმს ჩვენმა ფალავნებმა - **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** (66) და **ელიზბარ ოდიკაძემ** (96) მხარი ვერ აუბეს და ნაადრევად გამოეთიშნენ შეჯიბრებას.

## უცნაური ცერემონიალის სტუმრები

ეს ტურნირი მართლაც გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით - არც ევროპის ჩემპიონატებს ვატარებთ ხშირად და მით უფრო იშვიათად გვერგება პატივი, სამ ოლიმპიურ დისციპლინას ერთად ვუმასპინძლოთ. საქართველო დიდი პასუხისმგებლობითაც მიუდგა ჩემპიონატის ორგანიზებას, გუშინ კი გახსნის ცერემონიალზე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილიც** მივიდა, რომელიც მიესალმა ადგილობრივ თუ ჩამოსულ სტუმრებს და წარმატება უსურვა ჩვენს სპორტსმენებს. თუმცა მანამდე იყო ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ **ნენად ლალოვიჩის** გამოსვლა, რომელმაც პრემიერ-მინისტრი ჭიდაობისადმი და კონკრეტულად, ამ შეჯიბრებისადმი გამოჩენილი თანადგომისთვის FILA-ს ორდენით დააჯილდოვა. ლალოვიჩის გამოსვლას წინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ **ლუკა კურტანიძის** მისასალმებელი სიტყვა უსწრებდა, როცა დაიჩოქა და შენდობა ითხოვა. მოჭიდავეებმა შანსი არ გაუშვეს, შეერთებოდნენ მოძრაობას „შევინარჩუნოთ ჭიდაობა ოლიმპიადის პროგრამაში" და ამ კუთხით რამდენიმე მესიჯი გაუგზავნეს სოკ-ს. გახსნის ცერემონიალზე იუბილე მიულოცეს **ლევან თედიაშვილსა** და **გურამ სალარაძეს**, რომლებსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** მიესალმა და „სპორტის რაინდის" მედლით დააჯილდოვა. გახსნის ცერემონიალი „ერისიონის" გამოსვლამ დააგვირგვინა.

სტუმრები ვახსენეთ და, თბილისში ჭიდაობის ფედერაციის გადარჩეული პრეზიდენტი **რაფაელ მარტინეტიცაა** ჩამოსული, თუმცა ის ტრიბუნაზე ზის რიგით ქომაგად და არა საპატიო სტუმართა ლოჟაში.

## მეორე წრის დრამა

სამწუხაროდ, არასპორტული მხარისგან განსხვავებით, ტურნირის სპორტულ ნაწილზე ჯერჯერობით დადებითს ვერაფერს ვიტყვით, რადგან ჩვენები უმედლოდ დარჩნენ. ეგ კი არა, სანუგეშოშიც ვერ გადავიდნენ. თან ორივე ზუსტად ერთი და იმავე ეტაპიდან გამოვარდა და ორივემ ერთი ქვეყნის წარმომადგენელთან წააგო - მეორე წრეში რუსებთან დამარცხდნენ.

პირველი ორთაბრძოლა ჩვენებმა დამაჯერებლად მოიგეს. მოლოდინისამებრ, ხაბალაშვილი იოლად გაუსწორდა ალბანელ **ვილსონ ნდრეგონის** - ორივე პერიოდში ქულაც ბლომად აართვა, ბოლოს კი წმინდად მოუგო. ამ ეტაპზე ოდიკაძეს უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავდა - ბელარუსი ევროპის პრიზიორი **ივან იანკოუსკი**, თუმცა ადვილად სძლია ასევე ძირითად დროში. ჩვენებური ორჯერ შეეკრა წარმატებით მეტოქეს და ორივეჯერ თითო ქულიანზე გადაიყვანა, თუმცა შუალედში თვითონაც შეუშვა ფეხში საკმაოდ თავისუფლად. მომდევნო პერიოდში ორმხრივ ჯაჯგურში ისევ ოდიკაძემ იმარჯვა და ამჯერად უკვე თვითონ შეუვარდა ფეხში წარმატებით.

მეორე წრეში საჭიდაოდ ჯერ ოდიკაძე გავიდა რუსთა ოს **ვლადიმერ ბაიცაევთან**. სამწუხაროდ, ჩვენებური რატომღაც დათრგუნვილი ჩანდა, თითქოს რიდით ჭიდაობდა და შეტევას ერიდებოდა... სწორედ პასიურობა დაუდო მსაჯმა გაფრთხილებიან ქულას მიზეზად დამატებით დროში, რაც წაგებადაც დაგვიჯდა, მაგრამ მანამდე დრამატული და დაძაბული ორი პერიოდი იყო. ოსი მათთვის ტრადიციულ სტილში - შორიდან გრძელი ნახტომით ფეხში შესვლაზე ჭიდაობდა, თუმცა ჩვენებური კარგად იცავდა თავს. ამ შეხვედრაში მისი მთავარი იარაღი და მთელი მოტივაციაც დაცვა იყო, ოღონდ, ბედის ირონიით, გადამწყვეტ მომენტებში სწორედ ამ კოზირმა უმტყუნა. პირველ პერიოდში ოსმა ერთხელ მოახერხა ფეხში შესვლით ქულის აღება, თუმცა ოდიკაძემ მალევე იმავე ილეთით ანგარიში გაუთანაბრა, ანუ პერიოდიც მოიგო. მისთვის საბედისწერო მეორე პერიოდის მიწურული აღმოჩნდა, სადაც საქმე ბურთულამდე მივიდა. ოსმა თავისივე ფერი - წითელი ამოიღო და ფეხშიც ის შევიდა, თუმცა ოდიკაძე გაექცა და კარგა ხანს შედეგიანადაც იცავდა თავს. ვფიქრობთ, ამ მომენტში მას თავადაც რომ შეეტია, ქულას თუ ვერ აიღებდა, წარმატებისთვის საჭირო ძვირფას წამებს მაინც მოიგებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. შედეგად დაისაჯა - ბაიცაევი მაინც წასწვდა ფეხზე და ქულაც მოიპოვა. ჩვენებმა კი გააპროტესტეს, მაგრამ უშედეგოდ და ოსს კიდევ ერთი ქულა დაუმატეს.

დამატებითი პერიოდი კარგა ხანს იქნება განსჯის საგანი. შეხვედრის მიწურულს მსაჯმა ოდიკაძე გააფრთხილა და პასიურობისთვის ქულითაც დასაჯა, რამაც უმალ გამოიწვია მითქმა-მოთქმა. არ გვინდა, შეთქმულების თეორიების თანამონაწილედ ვიქცეთ, თუმცა არბიტრს ოდიკაძე რომ არ გაეფრთხილებინა, არავინ დასჯიდა. მართალია, მან ადრეც რამდენჯერმე მისცა შენიშვნა ჩვენებურს და აქტიურობისკენ მოუწოდა, მაგრამ მსგავს ვითარებაში იშვიათად თუ სჯიან ვინმეს. უკმაყოფილებაც ამან გამოიწვია - დაუწერელი კანონით, მსაჯები ყველგან ეხმარებიან მასპინძლებს და ჩვენთან რა დაემართათ. ესეც მართალია და იმასაც ვაღიარებთ, რომ მსაჯმა განსაზღვრა შეხვედრის შედეგი; ისიც გვესმის, რომ ახლა FILA სოკ-ს აწონებს თავს (თუმცა ესეც საკითხავია - რალა ჩვენს ხარჯზე, რადგან გუშინ ანალოგიურ ვითარებაში არავინ დასჯილა), მაგრამ მაინც შევნიშნავთ, რომ შეჯიბრებისას სხვისი შეცდომის ან გულმოწყალების იმედად არ უნდა იყო.

ოდიკაძისგან განსხვავებით, არბიტრებს ვერაფრით დავემდურებით ხაბალაშვილის წაგებაზე - რუსთა დაღესტნელმა ბეკბულატოვმა დაჩაგრა ჩვენებური, რომელმაც მხოლოდ 1 ქულა მოიპოვა და 4 დაკარგა. ეროვნებით კუმიკი დაღესტნელი ფიზიკურადაც კარგად იყო მომზადებული, ძალიან სწრაფიცაა და ტექნიკურადაც ჭიდაობდა. მან ჯერ კიდევ პირველ შეხვედრაში შესანიშნავად აატრიალა უკრაინელი **ანდრეი კვიატკოვსკი** და ჩვენებურთანაც მიითვალა ლამაზი გდებები.

ამ წაგებების შემდეგ მასპინძელთა ბედი რუსებზე ეკიდა, მაგრამ მათგან ხეირი როდის გვინახავს, ახლა რომ გვენახა - ბაიცაევმა უფრო ტაქტიკურ-ძალისმიერ ბრძოლაში დიდწილად წილისყრის დახმარებით აზერბაიჯანელთა ლიდერ **ხეტაგ გოზიუმოვს** კი აჯობა (მეორე პერიოდი 2:2-ზე მოუგო), მაგრამ, ეტყობა, გადაიღალა და ნახევარფინალში განადგურდა **კამილ სტანისლავ სკასკიევიჩთან.** ბეკბულატოვს იმავე ეტაპზე თურქმა **იაკუბ გორმა** გამოუყვანა წირვა. თურქი მომგებიანი ტაქტიკით ეჭიდავა - ახლო, მჭიდრო ჭიდაობით, რითაც ტექნიკის გამოვლენის საშუალება არ მისცა, თვითონ კი უკეთესი გამძლეობით, ძალით დაჯაბნა.

ამდენად, სანუგეშოში რუსთა ფალავნები გადავიდნენ, ჩვენები კი ჩემპიონატს გამოეთიშნენ.

## კარგად დაებედათ

სომეხ **დავით საფარიანს** (66), უკრაინელ **პავლო ოლეინიკსა** (96) და რუს **ვალერია ჩეპსარაკოვას** (48) თბილისი მთელი ცხოვრება სასიამოვნოდ მოაგონდებათ, რადგან სამივემ აქ მოიპოვა კარიერის პირველი ტიტული. ამათგან ყველაზე დამაჯერებელი ჭიდაობით უკრაინელმა დაგვამახსოვრა თავი. გუშინ აზერბაიჯანი სირცხვილისგან ქალმა იხსნა - **ფატიმათ ბაგომედოვამ** კარიერაში ასევე პირველი მედალი, ბრინჯაო მოიპოვა. სხვათა შორის, ისიც დაღესტნელია და ნაკრებში დეკრეტში გასული უკრაინიდან გადაბირებული ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **მარია სტადნიკი** შეცვალა.

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**66 კგ.** 1. დავით საფარიანი (სომხეთი); 2. იაკუბ გორი (თურქეთი); 3. ალექსანდრ კონტოევი (ბელარუსი), ილიას ბეკბულატოვი (რუსეთი).

**96 კგ.** 1. პავლო ოლეინიკი (უკრაინა); 2. კამილ სტანისლავ სკასკიევიჩი (პოლონეთი); 3. ლიუბენ ილიევი (ბულგარეთი), ვლადისლავ ბაიცაევი (რუსეთი).

#### ქალები

**48 კგ.** 1. ვალერია ჩეპსარაკოვა (რუსეთი); 2. იანა სტადნიკი (ბრიტანეთი); 3. სასკია იაგელინა შელინი (გერმანია), ფატიმათ ბაგომედოვა (აზერბაიჯანი).

**ირაკლი თავაძე**

### მწვრთნელის კომენტარი

**რევაზ მინდორაშვილი:** ცხადია, კმაყოფილი არა ვარ. ოდიკაძესთან შეიძლებოდა, მსაჯს სხვანაირი გადაწყვეტილება მიეღო. ჩვენს ქვეყანაში რატომ ხდება ასე, ვერ გეტყვით. არადა, ოდიკაძე კარგად იყო მომზადებული და ფინალში გასვლასაც ველოდით. დასანანია, რომ მეორე პერიოდში ისეთი შანსი გაუშვა ხელიდან, თუმცა იქნებ ცოტა შებოჭილიც იყო და მეტიც მართებდა. მასპინძლის სტატუსი დამატებითი ტვირთია, თუმცა მსაჯის შეცდომაც აშკარაა.

ხაბალაშვილი შეკრებაზე უკეთ გამოიყურებოდა, ახლა კი ისიც შებოჭილი იყო. ვერ მოინდომა, თუ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, წონის პრობლემაც აქვს - ბევრს იკლებს. ბუნებრივია, მისი გამოსვლით კმაყოფილი არ ვარ და ისიც აშკარაა, რომ ამ წონაში ჩავარდნა გვაქვს.

## დღეს იჭიდავებენ

### გიორგი ედიშერაშვილი (55)



**დაიბადა:** 1988-03-17, თბილისი

**მწვრთნელები:** ლერი ძაგანია, დავით ხურცია

ევროპის ჩემპიონი ჭაბუკებში (2005); კარტოზია-ბალავაძის ტურნირის გამარჯვებული (2011); „ოქროს დიდი პრიზის" მეორე (2011) და მესამე (2012) პრიზიორი; იაშარ დოგუს მემორიალის მესამე პრიზიორი (2013).

### ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (60)



**დაიბადა:** 1991-04-18, გორი

**მწვრთნელი:** ნუგზარ სხირელი

ევროპისა (2011) და ოლიმპიადის (2012) ვიცე-ჩემპიონი; ახალგაზრდებში ევროპისა (2008, 2011) და მსოფლიოს (2010, 2011) ორ-ორგზის ჩემპიონი; ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი (2008); არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

დღეს ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60) და დებიუტანტი **გიორგი ედიშერაშვილი** (55) ჭიდაობენ. გუშინდელისა არ იყოს, მასპინძლებს ახლაც ცუდი წილისყრა ერგოთ - კვლავაც ფავორიტთა ანუ აზერბაიჯანელთა და რუსთა გარემოცვაში არიან, რომლებსაც თურქი და კიდევ სხვა ძლიერი სკოლების წარმომადგენლებიც ემატებიან. ედიშერაშვილი პირველ წრეში სულაც აზერბაიჯანელ **იაშარ ალიევს** ხვდება, რომელიც წლეულს დოგუს მემორიალზე ასევე მესამე იყო. ბადის ამავე ნახევარშია რუსი **არტემ გებეკოვიც.**

ხინჩეგაშვილი მეორე წრიდან იწყებს გამოსვლას - ესტონელ **ალექსეი ბასკაკოვს** შეხვდება, მასთან მოგების შემთხვევაში კი უნგრელ **იოზეფ მოლნარსა** და აზერბაიჯანელ **გაჯი ალიევს** შორის გამარჯვებულს შეხვდება. ალიევიც დოგუს წლევანდელი მესამე პრიზიორია, შარშან კი ბაქოში „ოქროს დიდი პრიზი" მოიგო. ვფიქრობთ, ის არაა დაუძლეველი ზღუდე, ნახევარფინალში ხინჩეგაშვილის სავარაუდო მეტოქეთა შორის კი რუსთა ტუვინი ორგზის ევროპის ჩემპიონი **ოპან სატიცაა.**

---

სუმო. ჰარუ ბაშო. 10-24 მარტი

# თითო მარცხის უფლება დარჩათ

იაპონიის ქალაქ ოსაკაში გაზაფხულის ბაშოს 2/3 გავლილია. ელიტაში მონაწილე ორ ქართველ სუმოისტს ერთნაირი ბალანსი აქვს: 4-6, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს ტურნირის დარჩენილ მესამედში მხოლოდ თითო მარცხის უფლება დარჩა.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** სეკივაკე **გოიედოსთან** დათმო და ახლა კიდევ ერთ სეკივაკეს (სუმოს რანგით მესამე წოდება იოკოძუნასა და ოძეკის შემდეგ), ესტონელ **ბარუტოს** ხვდება.

**თეიმურაზ ჯუღელმა** (გაგამარუ) მძლავრი მიწოლით **შოტენრო** დაამარცხა და ახლა **ტამავაშის** ხვდება, რომელმაც უკვე გაიფორმა უარყოფითი ბალანსი.

იმპერატორის თასის მოპოვების მთავარი კანდიდატი **ჰაკუჰოა,** მონღოლმა დიდმა ჩემპიონმა ათივე ორთაბრძოლა მოიგო და უშუალო კონკურენტები დიდ მანძილზე ჩამოიტოვა.

### X დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-ბარუტო (უვატედაშინაგე), ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (იორიკირი), ტოჩიოძანი-კაკურიუ (ოშიტაოში), ტოიონოშიმა-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), კისენოსატო-იკიოი (იორიტაოში), გოეიდო-**ტოჩინოშინი** (ცუკიოტოში), მიოგირიუ-ამინიშიკი (ოშიდაში), **გაგამარუ**-შოტენრო (ოშიდაში).

### სატურნირო მდგომარეობა

**10:0:** ჰაკუჰო (იოკოძუნა).

**8-2:** ოკინოუმი (მაეგაშირა 7)... **4-6: ტოჩინოშინი** (მ 1), **გაგამარუ** (მ 6).

### XI დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰარუმაფუჯი-გოეიდო, ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ, ტოიონოშიმა-კისენოსატო, კაკურიუ-ტოკიტენკუ, **ტოჩინოშინი**-ბარუტო, ტოჩიოძანი-ტაკაიასუ, ამინიშიკი-შოჰოზანი, **გაგამარუ**-ტამავაში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)

ჭადრაკი

# ხმიადაშვილის ევროპის ბრინჯაო


თამარ ხმიადაშვილი

როგორც ვივარაუდეთ, პლოვდივში ვეტერან მოჭადრაკეთა ევროპის ჩემპიონატზე ქალთა შორის ერთპიროვნულმა ლიდერმა მარგარიტა ვოისკამ (ბულგარეთი) გუშინ ბოლო ტურში უმოტივაციო თანამემამულე რუმიანა გოჩევასთან ქულა გაიყო და 9 შესაძლებლიდან 7 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა. რუსმა გალინა სტრუტინსკაიამ ვერცხლის დასაკუთრების შანსი ხელიდან არ გაუშვა - ლუბა კუზნეცოვას სძლია და 6,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. მესამე ადგილზე გასვლის შანსი სამ მოჭადრაკეს ჰქონდა - 6,5-ქულიან სვეტლანა მედნიკოვას (რუსეთი) და 5-5-ქულიან ტატიანა ფომინას (ესტონეთი) და **თამარ ხმიადაშვილს**. ფომინამ შავი ფიგურებით მედნიკოვას აჯობა, ხმიადაშვილმა ლუდმილა ციფანსკაიას (ისრაელი) სძლია. საბოლოოდ ფომინას და ხმიადაშვილს ერთნაირი ქულები (6-6) აღმოაჩნდათ, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით ჩვენებურმა აჯობა და ბრინჯაოს მედალი გადაეცა.

ჩემპიონატის რეიტინგფავორიტი, ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ნონა გაფრინდაშვილი** გუშინ რუს ტამარა სოროკინას დაუზავდა და 5 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა. **მარგალიტა თანდაშვილს** 3,5 ქულით მე-17 ადგილი ერგო.

მამაკაცებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მარკ ცეიტლინი (ისრაელი, 7,5), 2. ევგენი სვეშნიკოვი (ლატვია, 7), 3. ნიკოლაი პუშკოვი (რუსეთი, 6,5 ქულა).

ვაჟა დანელია

# თითო ლიდერი


მარიამ ჭოლაძე

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 16-წლიანთა საქართველოს პირველობაზე ოთხი ტურის შემდეგ ვაჟებში ერთპიროვნული ლიდერი გამოიკვეთა - ნიკა ლვამბერიამ თეთრი ფიგურებით თანატოლებში ევროპის პრიზიორ გიორგი სიბაშვილს აჯობა და უდანაკარგოდ გათამაშების ცხრილის სათავეში მოექცა. 3-ქულიანი ნოე თუთისანი შავი ფიგურებით ნიკოლოზ ქუმსიაშვილს დაუზავდა და 3,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა. დაზავდნენ დავით გვენეტაძე და ირაკლი კელეპტრიშვილი.

გუშინდლამდე 11 მოჭადრაკეს 2-2 ქულა ჰქონდა. მათგან ხუთმა მე-4 ტურში წარმატებით ითამაშა. ამდენად, ქუმსიაშვილთან, სიბაშვილთან, გვენეტაძესა და კელეპტრიშვილთან ერთად 3-3 ქულა აქვთ გურამ კოკაიას, ილია ხელაძეს, ნიკოლოზ ცომაიას, გიორგი ბეჭვაიას და გიორგი თავზარაშვილს.

გოგონებსაც ერთპიროვნული ლიდერი ჰყავთ - მარიამ ჭოლაძე. გუშინ მან თეთრი ფიგურებით ნინო დახუნდარიძე დაჯაბნა და 4 ქულა მოაგროვა. 3-5-3-5 ქულით მეორე-მესამე ადგილებზე აინაცვლეს დებმა - ნინო და ქეთევან ხომერიკებმა, რომლებმაც, შესაბამისად, თამარ ფაშკურიძეს და ნინო ჯალაღონიას აჯობეს. სამ-სამი ქულა აქვთ დახუნდარიძეს და ნინო გუმბერიძეს.

მე-5 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: **გოგონები.** ნინო ხომერიკი - მარიამ ჭოლაძე, ნინო დახუნდარიძე - ქეთევან ხომერიკი, მაია მუმლაძე - ნინო გუმბერიძე, თათია კოხრეიძე - ანასტასია სიდამონიძე, ადა ქაქუთია - მარიამ წამალაშვილი. **ვაჟები.** ნოე თუთისანი - ნიკა ლვამბერია, გიორგი სიბაშვილი - გურამ კოკაია, ნიკოლოზ ცომაია - ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, ირაკლი კელეპტრიშვილი - გიორგი თავზარაშვილი, გიორგი ბეჭვაია - დავით გვენეტაძე, ილია ხელაძე - ირაკლი ახვლედიანი.

ვაჟა დანელია

ჩოგბურთი

# კალაშნიკოვა გამოეთიშა

თურქულ ანთალიაში გუშინ დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი საერთაშორისო ტურნირის ძირითადი ბადის ორთაბრძოლები. სტარტზევე ასპარეზობას გამოეთიშა მე-5 ნომრად განთესილი თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც იულია სამუშევასთან (რუსეთი) დამარცხდა - 2:6, 0:6. ერთეულთა ტურნირს დაემშვიდობა მესამე ნომერი კსენია პალკინა (ყირგიზეთი). შუააზიელს ანი ამირაგიანმა (სომხეთი) აჯობა - 6:0, 6:2. საგულისხმოა, რომ წყვილებში კალაშნიკოვას და პალკინას დუეტი რეიტინგფავორიტია.

ერთეულთა თანრიგში გუშინვე გაირკვა **სოფიო შაფათავას** (ტურნირის პირველი ნომერი) და **ეკატერინე გორგოძის** მეტოქეები. საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევის შემდეგ ჩვენებურებს, შესაბამისად, ანგელინა კალინინა (უკრაინა) და ვივიან ზლატანოვა (ბულგარეთი) დაუპირისპირდებიან.

ვაჟა დანელია

სროლა. თბილისის თასი

# სტენდსაც ეშველა


მარცხნიდან: შოთა მარგალიტაძე, გივი შენგელია, დავით ქვათაძე

საბედნიეროდ, საქართველოში სასტენდო სროლის აღორძინება იწყება. როგორც იქნა, ვარკეთილის სასროლეთის ასაშენებლად სპონსორი მოიძებნა, რომელიც უკვე შეუდგა ბაზის მშენებლობას. ამ დღეებში იქ დედაქალაქის მერიის ფინანსური მხარდაჭერით ხანგრძლივი პაუზის შემდეგ პირველი ტურნირიც გაიმართა - თბილისის თასის გათამაშება.

ტურნირი დაძაბულად წარიმართა - ჩემპიონის ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა, ვერცხლის მედლის მფლობელის გამოსავლენად გადასროლა გახდა საჭირო. პირველი ადგილი **გივი შენგელიამ** მოიპოვა, რომელმაც 125 შესაძლებლიდან 110 ქულა დააგროვა. მას თითო ქულით ჩამორჩნენ **დავით ქვათაძე** და შედარებით ახალი თაობის წარმომადგენელი **შოთა მარგალიტაძე**. დამატებით ცდაში სწორედ მარგალიტაძემ იმარჯვა და ვერცხლიც დაისაკუთრა, ქვათაძე კი ბრინჯაოს დასჯერდა.

შეჯიბრება ამჯერად მხოლოდ მრგვალ სტენდზე ჩატარდა, რადგან სასანგრისთვის საჭირო მოწყობილობები არ გვაქვს. თუმცა იმავე ინვესტორისა თუ ადგილობრივი ძალებით უკვე გადაწყვეტილია თეფშების სატყორცნი მანქანის შეძენა, რის შემდეგაც ამ სახეობაშიც მიილებენ ვარჯიშის მსურველებს. მრგვალ სტენდზე უკვე ჰყავთ ახალგაზრდები, თუმცა პირობების გაუმჯობესების შემდეგ მათი რიცხვიც გაიზრდება.

რაც შეეხება რუსეთიდან გადმობირებულ **ნატალია პანასს**, ის კვლავაც მოსკოვშია და ვარჯიშობს. აპრილის დასაწყისში კრასნოდარში რუსეთის თასზეც გამოვა, ოღონდ - საქართველოს სახელით, აპრილის ბოლოს კი ჩვენს ღირსებას არაბთა გაერთიანებულ საემიროებშიც დაიცავს მსოფლიოს თასზე.

ირაკლი თავაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

სუპერლიგა 2012-13. XVIII ტური. საუკეთესონი

# აურზაური რუსთავში



ზაურ ფაშაევს (№4) რუსთავში სამმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა

მე-18 ტურში ორი ერთმანეთზე საინტერესო შეხვედრა ვიხილეთ. ჯერ თბილისის სპორტის სასახლეში „დინამომ" და „ოლიმპმა" ოვერტაიმიანი მატჩი ჩაატარეს, შემდეგ „რუსთავმა" ბოლო წამებზე დათმო შინ, „ქუთაისთან". თბილისურ შეხვედრაში ძირითადი დროის ბოლოს ანგარიშის გამთანაბრებელი სამქულიანი **კოკა ტომარაძემ** ჩააგდო, რომელმაც „დინამოსთან" 18 ქულა მოაგროვა და სიმბოლურ ნაკრებში შევიყვანეთ.

28 ქულით დაასრულა რუსთავური შეხვედრა ქუთაისელმა **დავით ბარბაქაძემ.** მან 23 ქულა მეორე ტაიმში ჩააგდო და თანაგუნდელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა. დათომაც ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაიდო ბინა. თუ ფოტოს დააკვირდებით, შესაძლოა გაგიკვირდეთ, რატომაა ბარბაქაძე ცენტრის, ხოლო ტომარაძე მძიმე ფორვარდის პოზიციაზე. ამპლუით ორივე ფორვარდია. საქმე ისაა, რომ მე-18 ტურში ეფექტურად გაისარჯნენ უკანახაზელები და ამიტომ, სომბოლურ ნაკრებში დაბალი ხუთეული დავაყენეთ.

ბათუმელმა **ნიკა რამიშვილმა** მე-17 ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა, მოედანზე „სამედიცინოსთან" შეხვედრაში დაბრუნდა და დანაკლისი აინაზღაურა - 33 ქულას მოუყარა თავი.

რუსთავში დიდი ამბები იყო, მოვლენები ელვის სისწრაფით იცვლებოდა. ასეთ შეხვედრებში კი ყოველთვის მნიშვნელოვანი მისია ეკისრებათ გამთამაშებლებს. გადამწყვეტ მომენტში თითქმის უშეცდომოდ ირჯებოდა რუსთაველთა ამერიკელი პლეიმეიქერი **ნეით ბოუი,** რომელმაც 26 ქულა გაიფორმა. საპირისპირო მხრიდან აზერბაიჯანელი **ზაურ ფაშაევი** გამოირჩეოდა, რომელსაც სამმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა: 15 ქულა, 10 პასი, 8 მოხსნა. ზაურმა 3-დან 3 სამქულიანი და 6-დან 3 ორიანი გამოიყენა. ტურის საუკეთესო კალათბურთელადაც აზერბაიჯანელი ლეგიონერი დასახელდა, რომლისთვისაც ეს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პირველი აღიარებაა.

| | |
|---|---|
| რუსთავი-ქუთაისი | 84:85 |
| სამედიცინო-ბათუმი | 73:81 |
| ოლიმპი-დინამო | 92:82 |
| არმია-თსუ | 109:45 |
| სოხუმი-სტუ | 79:66 |

## რეკორდები

**ქულა**

49 - ნეით ბოუი (რუსთავი)
2-ქულ 17/29; 3-ქულ 5/10; საჯ 0/2
09.03.13 სოხუმი-რუსთავი

**მოხსნა**

26 - სერგო ათუაშვილი (სოხუმი)
(მეტოქ: 5; საკუთ: 21)
09.03.13 სოხუმი-რუსთავი

**პასი**

12 - დეონტა ვონი (შსს აკადემია)
03.11.12 შსს-თსუ
12 - გიორგი გაფრინდაშვილი (სამედიცინო)
15.12.12 სამედიცინო-სტუ
12 - მალხაზ აბაიშვილი (რუსთავი)
04.02.13 რუსთავი-სტუ
12 - ზაურ ფაშაევი (ქუთაისი)
06.02.13 სამედიცინო-ქუთაისი
12 - გივი ბაქრაძე (თსუ)
23.02.13 თსუ-ოლიმპი
12 - ლაშა გამყრელიძე (არმია)
23.02.13 სტუ-არმია

**ჩაჭრა**

8 - ლევან ფაცაცია (ოლიმპი)
23.02.13 თსუ-ოლიმპი

**დაფარება**

8 - მილან ოლუიჩი (დინამო)
26.10.12 ბათუმი-დინამო

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 17 | 376 | 22.12 |
| 2 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 14 | 301 | 21.5 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 353 | 20.76 |
| 4 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 14 | 275 | 19.64 |
| 5 | ლამარ კარიმი | დინამო | 15 | 254 | 16.93 |
| 6 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 17 | 283 | 16.65 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 17 | 281 | 16.53 |
| 8 | ბექა ჩიკვილაძე | დინამო | 16 | 252 | 15.75 |
| 9 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 16 | 249 | 15.56 |
| 10 | ფლინ კლიმენი | დინამო | 16 | 247 | 15.44 |
| 11 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 15 | 223 | 14.87 |
| 12 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 12 | 167 | 13.92 |
| 13 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 153 | 13.91 |
| 14 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 15 | 206 | 13.73 |
| 15 | დამეინ ვილსონი | არმია | 9 | 119 | 13.22 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 14 | 187 | 13.36 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 220 | 12.94 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 12 | 146 | 12.17 |
| 4 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 16 | 191 | 11.94 |
| 5 | სერჟი ასელაინი | თსუ | 16 | 168 | 10.5 |
| 6 | კაელ ნელსონი | რუსთავი | 17 | 155 | 9.12 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 17 | 152 | 8.94 |
| 8 | მილან ოლუიჩი | დინამო | 10 | 89 | 8.9 |
| 9 | ჩად პრევიტი | შსს აკადემია | 10 | 79 | 7.9 |
| 10 | გიორგი რევაზაშვილი | თსსუ | 11 | 86 | 7.82 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 15 | 107 | 7.13 |
| 2 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 15 | 99 | 6.6 |
| 3 | სტენ სოკი | ოლიმპი | 16 | 99 | 6.19 |
| 4 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 17 | 100 | 5.88 |
| 5 | გივი ბაქრაძე | თსუ | 17 | 93 | 5.47 |
| 6 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 15 | 79 | 5.27 |
| 7 | ლამარ კარიმი | დინამო | 15 | 77 | 5.13 |
| 8 | ნეით ბოუი | რუსთავი | 17 | 83 | 4.88 |
| 9 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 36 | 4 |
| 10 | ბუბა კვიმსაძე | ქუთაისი | 15 | 57 | 3.8 |
| 11 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 15 | 57 | 3.8 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ნეით ბოუი | რუსთავი | 17 | 51 | 3 |
| 2 | დეონტა ვონი | შსს აკადემია | 15 | 36 | 2.4 |
| 3 | კურტის მილიჯი | არმია | 9 | 21 | 2.33 |
| 4 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 15 | 30 | 2 |
| 5 | მიხეილ ჭოჭუა | რუსთავი | 10 | 20 | 2 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 11 | 20 | 1.82 |
| 7 | ზურა მაჩალაძე | სტუ | 16 | 28 | 1.75 |
| 8 | ლევან ფაცაცია | ოლიმპი | 16 | 27 | 1.69 |
| 9 | აკაკი დვალიშვილი | ოლიმპი | 16 | 26 | 1.63 |
| 10 | გიორგი გამყრელიძე | არმია | 15 | 24 | 1.6 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მილან ოლუიჩი | დინამო | 10 | 23 | 2.3 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 27 | 1.59 |
| 3 | სტეფან მილოშევიჩი | ოლიმპი | 12 | 16 | 1.33 |
| 4 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 16 | 21 | 1.31 |
| 5 | იოაკიმ შელბომი | არმია | 10 | 13 | 1.3 |
| 6 | კირკ არჩიბეძი | შსს აკადემია | 14 | 17 | 1.21 |
| 7 | სერჟი ასელაინი | თსუ | 16 | 17 | 1.06 |
| 8 | ავთანდილ ელიაშვილი | ბათუმი | 17 | 17 | 1 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გაფრინდაშვილი | თსსუ | 15 | 55 | 3.67 |
| 2 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 17 | 56 | 3.29 |
| 3 | გიორგი ნანიტაშვილი | ბათუმი | 13 | 42 | 3.23 |
| 4 | ირაკლი ჩლაიძე | სოხუმი | 14 | 44 | 3.14 |
| 5 | ზაურ ფაშაევი | ქუთაისი | 17 | 53 | 3.12 |
| 6 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 15 | 46 | 3.07 |
| 7 | გივი ბაქრაძე | თსუ | 17 | 51 | 3 |
| 8 | ვახტანგ ძადარია | სოხუმი | 16 | 47 | 2.94 |
| 9 | გიორგი ხანიაშვილი | თსუ | 16 | 47 | 2.94 |




საქართველოს ჩემპიონატი ქალებს შორის

# ქალები ქუთაისიდან იწყებენ

## I დღე

**ქუთაისი-ვეჯინი (რუსთავი) 68:78**

ქუთაისი: **გაბიძაშვილი** - 23 ქულა, **მანაგაძე** - 15 ქულა, **მურღულია** - 10 ქულა, 9 მოხსნა, **ნ. ყორყოლიანი** - 9 ქულა, 11 მოხსნა, **მ. ყორყოლიანი** - 9 ქულა...

ვეჯინი: **საჯაია** - 22 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი, **მაისურაძე** - 21 ქულა, 16 მოხსნა, **წიქორიძე** - 13 ქულა, 17 მოხსნა...

**ზესტაფონი-ახმეტა 65:62**

ზესტაფონი: **მანჩხაშვილი** - 25 ქულა, **კუპატაძე** - 16 ქულა, **მოდებაძე** - 13 ქულა, 14 მოხსნა, **ჭიჭინაძე** - 9 ქულა, 11 მოხსნა...

ახმეტა: **ზარავანდაშვილი** - 14 ქულა, **თ. ხოხობაშვილი** - 13 ქულა, **მამუკელაშვილი** - 12 ქულა...

## II დღე

**ვეჯინი-ახმეტა 98:81**

ვეჯინი: **ციკორიძე** - 22 ქულა, 15 მოხსნა, **მაისურაძე** - 20 ქულა, 11 მოხსნა, **ურუშაძე** - 19 ქულა, **საჯაია** - 19 ქულა...

ახმეტა: **მ. ხოხობაშვილი** - 22 ქულა, 16 მოხსნა, **თ. ხოხობაშვილი** - 16 ქულა, 16 მოხსნა, 8 პასი, **ზარავანდაშვილი** - 13 ქულა, **მარუკაშვილი** - 11 ქულა, **მამუკელაშვილი** - 11 ქულა...

**ქუთაისი-ზესტაფონი 84:61**

ქუთაისი: **ნ. ყორყოლიანი** - 42 ქულა, 19 მოხსნა, **გაბიძაშვილი** - 13 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი, **მანაგაძე** - 12 ქულა...

ზესტაფონი: **მანჩხაშვილი** - 23 ქულა, **მოდებაძე** - 16 ქულა, 8 მოხსნა, **ჭიჭინაძე** - 12 ქულა, 16 მოხსნა...

## III დღე

**ქუთაისი-ახმეტა 111:54**

ქუთაისი: **ნ. ყორყოლიანი** - 48 ქულა, 35 მოხსნა, 4 დაფარება, **მანაგაძე** - 28 ქულა, 9 პასი, 7 ჩაჭრა, **გაბიძაშვილი** - 15 ქულა, 11 მოხსნა, 9 პასი, **მურღულია** - 10 ქულა, 17 მოხსნა...

ახმეტა: **მამუკელაშვილი** - 25 ქულა...

**ზესტაფონი-ვეჯინი 46:90**

ზესტაფონი: **მესხიშვილი** - 15 ქულა, 12 მოხსნა, **ჭიჭინაძე** - 12 ქულა, 17 მოხსნა...

ვეჯინი: **საჯაია** - 31 ქულა, **ურუშაძე** - 13 ქულა, 9 პასი, 8 ჩაჭრა, **წიქორიძე** - 10 ქულა 19 მოხსნა, **ფუტკარაძე** - 12 ქულა, 8 პასი...

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ვეჯინი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ქუთაისი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. ზესტაფონი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. ახმეტა | 3 | 0 | 3 | 3 |

14-16 მარტს ქუთაისში საქართველოს ქალთა პირველობა დაიწყო. შეჯიბრებაში შარშანდელივით ოთხი გუნდი მონაწილეობს. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ გასულ სეზონში ჩემპიონატში „ოლიმპი" მონაწილეობდა, წლეულს იგი რუსთავის „ვეჯინმა" ჩაანაცვლა.

პირველი ეტაპის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფავორიტი სწორედ რუსთავური გუნდია, რომელიც ქალთა ლიგაში ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა.

შეჯიბრების რეგულარული ეტაპი ტურობრივი სისტემით იმართება. პირველ ტურს ქუთაისმა უმასპინძლა და სამი დღის განმავლობაში გუნდებმა სამ-სამი შეხვედრა ჩაატარეს. ტურები ასევე გაიმართება თერჯოლაში, თელავში, რუსთავსა და თბილისში.

რეგულარულში პირველ ადგილზე გასული გუნდი ნახევარფინალში მეოთხეს დაუპირისპირდება, მეორე - მესამეს. ნახევარფინალები და ფინალი თითომატჩიანია.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე რაგბი

# დაუმარცხებელი ბრამბიზი, ანუ გაუხედნავი ცხენები

ზე რაგბის გათამაშების მე-5 ტური ყველასაგან გამორჩეული გამოდგა. ექვსი მატჩიდან ხუთში სტუმრებმა მოიგეს. დაუმარცხებელი კი, ყველასთვის მოულოდნელად კანბერას „ბრამბიზია“, რომელიც ავსტრალიის კონფერენციას და მთლიანად გათამაშებას ჩაუდგა სათავეში.



## ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში ორივე მასპინძელმა წააგო. სიდნეიში „ვორათაზი“ ვერას გახდა ბოლო ჟამს საგრძნობლად მოლონიერებულ ბლუმფონტეინის „ჩიტაზთან“ - 26:27. სტუმრები მატჩის დასაწყისიდანვე დაწინაურდნენ, თუმცა ტაიმი მაინც მასპინძლების სასარგებლოდ დასრულდა 20:17. ბლუმფონტეინელებმა მეორე ნახევარში დაცვაში უკეთ ითამაშეს და მინიმალური სხვაობით მოიგეს.

სამხრეთაფრიკელთა შორის კვლავ გამორჩეული იყო 21 წლის გარემარბი **რაიმონდ რულე**, რომელმაც სიდნეელებს ორი ლელო გაუტანა.

მოულოდნელად დამარცხდა საკუთარ მოედანზე პერთის „ფორსთან“ ბრსიბენის „რედსი“ - 12:19. „წითლებისთვის“ მიმდინარე გათამაშებაში ეს პირველი წაგება იყო. საგულისხმოა, რომ მასპინძლებმა 12 ქულის მოგროვება 37-ე წუთისთვის შეძლეს. იმ დროისთვის „რედსი“ 12:13 აგებდა და თამაშის ბოლომდე მონაგარს ველარაფერი შემატა. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ პერთელებისთვის ტურნირში ეს პირველი გამარჯვება იყო.

### V ტური

**ვორათაზი-ჩიტაზი 26:27, რედსი-ფორსი 12:19**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბრამბიზი - 23 ქულა, 2. რედსი - 13, 3. ფორსი - 9, 4. ვორათაზი - 9, 5. მელბურნ რებლზი - 5.**

### VI ტური

**რედსი-ბლუ ბულზი, ფორსი-ჩიტაზი, ვორათაზი-ბლუზი**

## ახალი ზელანდია

ზედიზედ მეორედ დამარცხდა შინ დანიდინის „ჰაილენდერზი“. ამჯერად „მთიელებმა“ ველინგტონის „ჰარიკენზთან“ წააგეს 19:23. დედაქალაქელები მატჩის დასაწყისში კი დაწინაურდნენ, მაგრამ პირველი ტაიმი მაინც მინიმალური სხვაობით დათმეს - 12:13. „ჰარიკენზმა“ გარდატეხა თამაშში შეხვედრის დასკვნით 15 წუთში შეიტანა და გათამაშებაში მორე გამარჯვება მოიპოვა.

პირველი მატჩი მოიგო ზე რაგბის გათამაშების ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზმა“. „ჯვაროსნებმა“ პირველი მარცხი აგემეს ოქლენდის „ბლუზს“ 41:19. რომ არა ეს წაგება, **ჯონ ქირვანის** სამწყსოს წლეულს იდეალური სტარტი ექნებოდა.

ქრაისთჩერჩელებმა, რომლებიც ლიდერის, **რიჩი მაქოას** გარეშე ასპარეზობენ, მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს. მგეზავმა **დენ კარტერმა** აქედან ოთხი გარდასახა და ერთიც საჯარიმო მიაყოლა (11 ქულა).

### V ტური

**ჰაილენდერზი-ჰარიკენზი 19:23, კრუსეიდერზი-ბლუზი 41:19**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ჩიფსი - 17 ქულა, 2. ბლუზი - 11, 3. კრუსეიდერზი - 11, 4. ჰარიკენზი - 9, 5. ჰაილენდერზი - 5.**

### VI ტური

**ჩიფსი-ჰაილენდერზი, კრუსეიდერზი-საუთერნ კინგზი**

## სამხრეთ აფრიკა

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში ორივე მასპინძელმა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის კონფერენციების ლიდერებთან წააგო. დებიუტანტი „საუთერნ კინგზი“ ვერას გახდა შარშანდელ გამარჯვებულთან, ჰემილთონის „ჩიფსთან“ - 24:35. მატჩის გმირი გარემარბი **ლელია მასაგა** გახდა, რომელმაც მასპინძლებს სამი ლელო გაუტანა (15 ქულა). ამდენივე ქულა მოუტანა გუნდს ფულბეკმა **გარეთ ანსკომბმა** (სამი საჯარიმო და სამი გარდასახვა).

კვლავ განაგრძობს სპეციალისტებისა და ქომაგების გაოცებას კანბერას „ბრამბიზი“, რომელიც ერთადერთი გუნდია, რომელსაც წაგებების გრაფაში ნული უწერია. ბრამბიზელებმა სტუმრად დურბანის „ნატალ შარქსს“ მიმდინარე გათამაშებაში პირველი მარცხი აგემეს - 29:10.

ავსტრალიურმა გუნდმა მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. „ბრამბიზი“ მე-11 წუთისთვის უკვე 12:0 იგებდა და შესვენებაზე 23-ქულიანი უპირატესობით წავიდა - 26:3. „ზვიგენებმა“ მეორე ტაიმში მდგომარეობის გამოსწორება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ.

### V ტური

**საუთერნ კინგზი-ჩიფსი 24:35, ნატალ შარქსი-ბრამბიზი 10:29**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბლუ ბულზი - 13 ქულა, 2. ნატალ შარქსი - 12, 3. ჩიტაზი - 9, 4. საუთერნ კინზგი - 8, 5. სტორმერზი - 5.**

### VI ტური

**ნატალ შარქსი-მელბურნ რებლზი, სტორმერზი-ბრამბიზი.**

ექვსი ერი

# ჩვენი ხმა ლეიგ ჰალპფენის

ექვსი ერის წლევანდელი გათამაშება ისტორიაში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს. თავად განსაჯეთ, ფავორიტი საფრანგეთი ბოლო ადგილზე გავიდა და „ხის კოვზის“ მფლობელი შეიქნა. იტალიის ეროვნულმა გუნდმა კი, პირველად თავის ისტორიაში, ორი მატჩი მოიგო და მეოთხე ადგილზე გავიდა.

ცხადია, შეჯიბრების გათამაშების შემდეგ, სიმბოლური ნაკრებიც დასახელდა. ფრანგთაგან მასში მხოლოდ შუამარბი **ვესლი ფოფანა** მოხვდა, რომელიც მართლაც მსოფლიო დონის მორაგბეა. საუკეთესოთა შორის ყველაზე მეტი, ხუთი მორაგბე ტურნირის გამარჯვებულის უელსის ნაკრების შემადგენლობიდან მოხვდა. თითოეულ მათგანს, ცხადია, გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიიძღვის, თუმცა ჩვენ მაინც ფულბეკ **ლეიგ ჰალპფენის** გამოვარჩევთ. მან ტურნირზე ყველაზე მეტი, 74 ქულა მოაგროვა. ჰალპფენიმ კარში დარტყმების 82 პროცენტი ზუსტად შეასრულა. მიუხედავად იმისა, რომ ის სიმაღლეში სულ რალაც 178 სანტიმეტრია, ყველა მაღალი დაკიდებული ბურთი მოიგო. მიგვაჩნია, რომ ის წლევანდელი გათამაშების საუკეთესო მორაგბეა.



ოთხი მორაგბე მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში ინგლისის ეროვნული გუნდიდან, ორ-ორი შოტლანდიისა და იტალიის ნაკრებებიდან. ერთი მორაგბე საუკეთესო თხუთმეტეულში ირლანდიის ნაკრებმაც მიავლინა.

### სიმბოლური ნაკრები

**15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი (ორივე-უელსი), 13. ვესლი ფოფანა (საფანგეთი), 12. ჯიმი რობერტსი (უელსი), 11. ტიმ ვიზერი (შოტლანდია), 10. ოუენ ფარელი, 9. ბენ იანგზი (ორივე-ინგლისი). 1. კიან ჰილი (ირლანდია), 2. ლეონარდო ჯილარდინი (იტალია), 3. ადამ ჯოუნზი (უელსი), 4. ჯო პერლინგი (ინგლისი), 5. ჯიმი ჰამილტონი (შოტლანდია), 6. კრის რობშო (ინგლისი), 7. ჯასტინ ტიპურიჩი (უელსი), 8. სერჯო პარისე (იტალია).**

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ლიგა განაგრძობს, ჭაბუკები იწყებენ

საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში რეგულარული გათამაშება დასრულდა. გაირკვაის ფინალური ოთხეული, რომელიც უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად განაგრძობს ბრძოლას. ესენია: თბილისის „თიბისი“, ფოთის „რაინდები“, პატარძეულის „ვეფხვები“ და ქუთაისის „ბაგრატი“. ეს გუნდები ერთმანეთს ორ წრედ დაუპირისპირდებიან და პირველ-მეორე ადგილზე გასულები, უმაღლესი ლიგის ორ ხელმოცარულთან გადასასვლელ მატჩებს ითამაშებენ.

ბოლო ტურის მატჩები გასამართი ალმოსავლეთ ზონაში იყო, სადაც მომდევნო ეტაპზე გამსვლელი კიდევ ერთი გუნდის ვინაობა იყო გასარკვევი. აქ პირველობა არავის დაუთმო „თიბისიმ“. მეორე ადგილისთვის კი, ბოლომდე იბრძოდნენ პატარძეულის „ვეფხვები“ და თბილისის „ივერია“.

პატარძეულელებმა ბოლო ტურში სტუმრად დაამარცხეს სამოყვარულო გუნდი თბილისის „დევები“ - 29:7 და მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ. „ივერიამ“, მართალია, დიდი ანგარიშით სძლია აუტსაიდერ „უნივერსიტეტს“ 76:11, მაგრამ ეს საკმარისი არ ალმოჩნდა საიმისოდ, რომ პლეი ოფში თამაშის უფლება მოეპოვებინა. „ვეფხვებმა“ „ივერიას“ ოთხი ქულით გაუსწრეს.

წაუგებლად დაასრულა რეგულარული გათამაშება „თიბისიმ“, რომელმაც ბოლო ტურში მშრალი ანგარიშით დაამარცხა „უნივერსიტეტი“ - 49:0. ალმოსავლეთი ზონის გამარჯვებული პლეი ოფში უმთავრესი ფავორიტია. მას რეალურად კონკურენცია, შესაძლოა, მხოლოდ ქუთაისის „ბაგრატმა“ გაუწიოს. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით უმაღლეს ლიგაში ალზევების შანსი ორ პირველლიგელს მიეცემა და, სავარაუდოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძოლები მათ სწორედ უმაღლესლიგელებთან ელით.

### ალმოსავლეთი ზონა

### I ლიგა

### XVIII ტური

**დევები-ვეფხვები 7:29, ივერია-მგლები 76:11, თიბისი-უნივერსიტეტი 49, დინამო-ტორნადო 43:0.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. თიბისი - 74 ქულა, 2. ვეფხვები - 54, 3. ივერია - 50, 4. ხულიგანა - 47, 5. დინამო - 46, 6. დევები - 24, 7. მგლები - 23, 8. ტორნადო - 15, 9. უნივერსიტეტი - 11.**

### დასავლეთი ზონა

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ბაგრატი - 49 ქულა, 2. რაინდები - 35, 3. დელფინები - 22, 4. არწივები - 22, 5. ჯრუჭი - 13, 6. მარტვილი - 1.**

### პლეი ოფი

### I ტური

**ბაგრატი-ვეფხვები**
**თიბისი-რაინდები**

ხვალ სტარტს აილებს გათამაშება ჭაბუკთა B ლიგაში, ერთი წლით უფროსების შეჯიბრება კი, A ლიგაში 9 აპრილს დაიწყება. ჭაბუკთა B ლიგაში რამდენიმე ცვლილებაა. იქამდე მოასპარეზე გუნდებს აქ ექვსი ახალი კლუბი დაემატა: ესენია: თბილისის „დავითიანი“, კიკეთის „იუნკრები“, ხაშურის „ლეგიონი“, ახალციხის „ტაო“, ასპინძის „ლომები“ და ლანჩხუთის „გურია“.

სულ B ლიგაში 36 გუნდი იასპარეზებს. აქედან ალმოსავლეთ ზონაში 20 გუნდი გაარკვევს ერთმანეთთან ურთიერთობას, დასავლეთში კი - 16. შეიცვალა გათამაშების ფორმატი. ალმოსავლეთ ზონაში გუნდები ოთხ ჯგუფში გაანაწილეს, თითოში ხუთ-ხუთი. ამდენივე ჯგუფად დაიყო დასავლეთ ზონის გუნდებიც, თუმცა იქ თითოეულ ჯგუფს ოთხი ბინადარი ჰყავს.

ორწრიანი შეჯიბრების მერე, ჯგუფებში ორ-ორი საუკეთესო შექმნის ოთხგუნდიან ჯგუფს. გათამაშება აქაც ორ წრედ ჩატარდება. ორ-ორი საუკეთესო, ანუ რვა გუნდი, ჩემპიონობისთვის . განაგრძობს ბრძოლას და ორ ჯგუფში განაწილდება. საჩემპიონო პლეიოფის ნახევარფინალში ორ-ორი საუკეთესო გავა.

უწინდებური ფორმატით ჩატარდება გათამაშება A ლიგაში. აქ A ჯგუფში ცხრა, ხოლო B ჯგუფში ათი გუნდი იასპარეზებს. ორწრიანი რეგულარული გათამაშების შემდეგ ჩემპიონობისთვის ბრძოლას ორ-ორი საუკეთესო განაგრძობს.

### ჭაბუკთა A ლიგა

### A ჯგუფი

**ხარები (რუსთავი), აკადემია (თბილისი), არმია (თბილისი), არწივები (ოზურგეთი), ყოჩები (თბილისი), იმერეთი (ჭიათურა), ხულიგანა (თბილისი), აია 2 (ქუთაისი), ვეფხვები (პატარძეული).**

### I ტური

იმერეთი-არწივები, ხულიგანა-არმია, აია 2-აკადემია, ვეფხვები-ხარები.

### B ჯგუფი

აია 1 (ქუთაისი), ლელო (თბილისი), ჯიქები (თბილისი), ლოკომოტივი (თბილისი), ჯვაროსნები (თბილისი), წიქარა (თბილისი), ივერია (თბილისი), მგლები (გარდაბანი), არმაზი (თბილისი), ტაო (ადიგენი).

აია 1-ტაო, ლელო-არმაზი, ჯიქები-მგლები, ლოკომოტივი-ივერია.

### ჭაბუკთა B ლიგა

### ალმოსავლეთი ზონა

### A ჯგუფი

ხულიგანა (თბილისი), ლელო (თბილისი), ჯვაროსნები (თბილისი), მუტრუკები (თელავი), წიქარა (თბილისი)

### I ტური

ლელო-წიქარა, ჯვაროსნები-მუტრუკები.

### B ჯგუფი

აკადემია (თბილისი), ყოჩები (თბილისი), მიმინო (დედოფლისწყარო), ლოკომოტივი 2 (თბილისი), დავითიანი (თბილისი).

### I ტური

ყოჩები-დავითიანი, მიმინო-ლოკომოტივი 2.

### C ჯგუფი

ხარები (რუსთავი), ლოკომოტივი 1 (თბილისი), ტორნადო (თბილისი), ვეფხვები (პატარძეული), იუნკრები (კიკეთი).

### I ტური

ლოკომოტივი 1-იუნკრები, ტორნადო-ვეფხვები.

### D ჯგუფი

ჯიქები (თბილისი), არმაზი (თბილისი), ივერია (თბილისი), ჩოხოსნები (თბილისი), არმია (თბილისი).

### I ტური

არმაზი-არმია, ივერია-ჩოხოსნები.

### დასავლეთი ზონა

### A ჯგუფი

აია 1 (ქუთაისი), თორი (ბორჯომი), აია 5 (ქუთაისი), ლეგიონი (ხაშური).

### I ტური

აია 1-ლეგიონი, თორი-აია 5

### B ჯგუფი

რაინდები (ფოთი), იმერეთი (ჭიათურა), ჯრუჭი (საჩხერე), ბათუმი (ბათუმი).

### I ტური

რაინდები-ბათუმი, იმერეთი-ჯრუჭი

### C ჯგუფი

აია 2 (ქუთაისი), არწივები (ოზურგეთი), ლომები (ასპინძა), ტაო (ახალციხე).

### I ტური

აია 2-ტაო, არწივები-ლომები

### D ჯგუფი

აია 3 (ქუთაისი), აია 4 (ქუთაისი), გურია (ლანჩხუთი), ჯიხა (სენაკი).

### I ტური

აია 3-ჯიხა, აია 4-გურია.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი. რეიტინგი

# რა შეიცვალა და რას ველოდებით

გასულ კვირას დასრულდა სეზონში მასტერსის სერიის პირველი ტურნირი და ინდიან უელსში **როჯერ ფედერერმა** ვერ შეძლო შარშანდელი გამარჯვებისთვის მოპოვებული ქულების დაცვა.

სხვათა შორის, შვეიცარიელი ზედიზედ შვიდი ტურნირია ვერ ახერხებს ტიტულის დაცვას. ამჯერად, მან მეოთხედფინალიდან დატოვა ტურნირი, როცა **რაფაელ ნადალთან** წააგო უშანსოდ. ამით **ენდი მარეიმ** მიიღო ფედერერის გასწრების შანსი – ბრიტანელს ამისთვის ფინალში გასვლა სჭირდებოდა, მაგრამ მანაც მეოთხედფინალში წააგო **ხუან მარტინ დელ პოტროსთან.** ამ უკანასკნელმა ნახევარფინალში პირველი ნომრის **ნოვაკ ჯოკოვიჩის** შეჩერება შეძლო. საბოლოოდ, სერბმა გაიმეორა შარშანდელი შედეგი და გაიმყარა ლიდერობა რეიტინგში. ამ მომენტისთვის ის ფედერერს 4565 ქულით უსწრებს.

რაც შეეხება ნადალს, რომელმაც შეძლო მასტერსის მოგება, ის საუკეთესო ოთხეულში დაბრუნდა, რაშიც **დავიდ ფერერიც** დაეხმარა, რომელმაც პირველი წრე წააგო ინდიან უელსში. თუმცა "დიდი ოთხეულის" აღდგენა ხანგრძლივი დროით არ მოხდა, რადგან ნადალი არ ჩავიდა მაიამიში სათამაშოდ და ამის გამო, ისევ მეხუთე ადგილამდე ჩამოქვეითდება.

ინდიან უელსის ფინალისტმა დელ პოტრომ შეინარჩუნა მეშვიდე ადგილი. არგენტინელი აგრძელებს **ტომაშ ბერდიხის** დევნას, რომელიც თავად გამოვიდა წარმატებით ინდიან უელსში – ის აქ პირველად გავიდა ნახევარფინალში.

შარშანდელი ფინალისტი **ჯონ ისნერი** პირველივე მატჩში დამარცხდა და რეიტინგში 23-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. ამერიკელმა 2011 წლის ნოემბრის შემდეგ პირველად დატოვა TOP20. გარდა ამისა, ჯონმა დაკარგა აშშ-ის პირველი ჩოგანის სტატუსი. ეს საპატიო მისია **სემ კუერიმ** ჩაიბარა - კარიერაში პირველად. ის ამერიკის რიგით მე-13 პირველი ჩოგანი გახდა. არადა, კუერი ამერიკელ ლიდერთა შორის ერთადერთია, რომელიც არასოდეს ყოფილა ATP-ის კლასიფიკაციის TOP10-ში.

დაბოლოს იმის შესახებ, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩმა რეიტინგში პირველ საფეხურზე ყოფნით გაუსწრო ლეგენდარულ **სტეფან ედბერგს** და ამ მაჩვენებლით მეათე ადგილზე გადავიდა.

1. ფედერერი (შვეიცარია) - 302 კვირა
2. სამპრასი (აშშ) - 286
3. ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) - 270
4. კონორსი (აშშ) - 268
5. მაკინროი (აშშ) - 170
6. ბორგი (შვედეთი) - 109
7. ნადალი (ესპანეთი) - 102
8. აგასი (აშშ) - 101
9. ჰიუიტი (ავსტრალია) - 80
10. ჯოკოვიჩი (სერბეთი) - 73
11. ედბერგი (შვედეთი) - 72

■ ■ ■

ინდიან უელსში ქალებიც თამაშობდნენ უმაღლესი კატეგორიის ტურნირში, რომელსაც, ტრადიციულად პირადი მოსაზრებების გამო ტოვებდა **სერენა უილიამსი.** თუმცა მის პირველობას კლასიფიკაციაში არაფერი ემუქრებოდა, რადგან კონკურენტებს ბევრი ქულა ჰქონდათ დასაცავი - **აზარენკას** 1000 ქულა ტიტულისთვის და **შარაპოვას** - 700 ქულა ფინალისთვის.

ვიქტორიამ მეოთხედფინალამდე მიაღწია, სადაც **კაროლინ ვოზნიაცკის** უნდა შეხვედროდა, მაგრამ მატჩიდან მოიხსნა. ფორმალურად, აზარენკა მიმდინარე სეზონში დაუმარცხებელია. ბელარუსმა ინდიან უელსში მხოლოდ 250 ქულა დააგროვა და შესაბამისად, 750 დაკარგა.

აზარენკას გასასწრებად, შარაპოვას შარშანდელი შედეგის გამეორება სჭირდებოდა. ოფიციალურად, მარიამ მეორე ადგილი ნახევარფინალში **მარია კირილენკოს** დამარცხებით გაინაღდა, თუმცა ამით არ დაკმაყოფილდა და ფინალში დამაჯერებლად მოუგო კაროლინ ვოზნიაცკის. კალიფორნიაში გამარჯვებით შარაპოვა 10000-ქულიან ზღვარს გადაცდა და ახლა, სერენას მხოლოდ 350 ქულით ჩამორჩება.

შარაპოვას ალზევების გარდა, პირველ ათეულში რამდენიმე ცვლილება მოხდა. **პეტრა კვიტოვამ** მეშვიდე ადგილი დაუთმო **სერა ერანის**, გარდა ამისა, ფინალში გასვლით ვოზნიაცკიმ **სამანტა სტოსურს** გაუსწრო. ავსტრალიელი TOP10-ის ზღვარზეა, მაგრამ იქიდან გაძევება არ ემუქრება, რადგან მე-11 ადგილზე მყოფ **ბარტოლის** ათასზე მეტი ქულით უსწრებს.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ **მონა ბარტელი** გადავიდა 23-ე ადგილზე, რაც მისი პირადი რეკორდი გახლავთ. **კირსტენ ფლიპკენსი** 28-ე ნომერია და პირველად შევიდა საუკეთესო 30-ს შორის, ხოლო ახალგაზრდა ფრანგი **კრისტინა მლადენოვიჩი** პირველად მოხვდა TOP50-ში.

■ ■ ■

დღეს, მაიამიში იწყება ზედიზედ მეორე მასტერსი მამაკაცებს შორის და ქალების უმაღლესი კატეგორიის ტურნირი. ამჯერად, გამორიცხული არ არის WTA-ის კლასიფიკაციაში ლიდერის ცვლილება. პირველი ნომერი სერენა უილიამსი ფლორიდაში შარშანდელ მეოთხედფინალს იცავს - მაშინ მან ამ სტადიაზე კაროლინ ვოზნიაცკისთან წააგო. პირველი ადგილის შესანარჩუნებლად, უმცროს ამერიკელს შარშანდელი შედეგის გამეორება სჭირდება. ასეთ შემთხვევაში, მარია შარაპოვასა და ვიქტორია აზარენკას ტიტულიც არ ეყოფათ პირველ ადგილზე გასასვლელად - ისინი, შესაბამისად, 50 და 40 ქულამდე მიუახლოვდებიან ამერიკელს. თუ უმცროსი უილიამსი ნაადრევ სტადიაზე დატოვებს ტურნირს, მაშინ ვიქტორიასა და მარიას მოგება დასჭირდებათ ამერიკელის დასაქვეითებლად. გარდა ამისა, ბელარუსი და რუსი ერთმანეთში მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ. შეგახსენებთ, რუსი შარშანდელ ფინალს იცავს, ბელარუსი - მეოთხედფინალს. შარშანდელი ქულების გამორიცხვის შემდეგ, აზარენკა ვირტუალურად ჯერჯერობით უსწრებს შარაპოვას 10 ქულით.

მაიამიში ტიტულს იცავს **აგნიეშკა რადვანსკა.** პოლონელი დიდი ხანია დამაჯერებლად ინარჩუნებდა ადგილს პირველ ოთხეულში, მაგრამ ახლა, წარუმატებლობის შემთხვევაში, შესაძლოა, შემდეგ კვირას გამოვარდეს TOP4-დან.

მამაკაცებს შორის პირველი ადგილისთვის ბრძოლა მოსალოდნელი არ არის. ჯოკოვიჩი ფლორიდაში იცავს ტიტულს, მარეი - ფინალს. შარშანდელი ფინალის გამეორების ალბათობა დიდია, რადგან ფედერერმა და ნადალმა უარი განაცხადეს მაიამიში გამოსვლაზე. ამიტომაც, ესპანელი დაკარგავს ქულებს შარშანდელი ნახევარფინალისთვის და ისევ დაუთმობს მეოთხე პოზიციას ფერერს.



| ATP | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 13 280 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8 715 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 350 |
| 4(5). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 745 |
| 5(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 630 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 5 010 |
| 7(7). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 830 |
| 8(8). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 750 |
| 9(9). იანკო ტიფსარევიჩი (სერ) | 3 090 |
| 10(10). რიშარ გასკე (საფ) | 2 960 |
| 11(12). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 570 |
| 12(11). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 435 |
| 13(13). ჟილ სიმონი (საფ) | 2 300 |
| 14(14). ხუან მონაკო (არგ) | 2 185 |
| 15(16). კეი ნიშიკორი (იაპ) | 2 135 |
| 16(17). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 095 |
| 17(18). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 960 |
| 18(19). ტომი ჰაასი (გერ) | 1 925 |
| 19(20). ანდრეას სეპი (იტა) | 1 785 |
| 20(23). სემ კუერი (აშშ) | 1 760 |

| WTA | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 10 365 |
| 2(3). მარია შარაპოვა (რუს) | 10 015 |
| 3(2). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 9 575 |
| 4(4). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 7 395 |
| 5(5). ნა ლი (ჩინ) | 5 880 |
| 6(6). ანჟელიკ კერბერი (გერ) | 5 400 |
| 7(8). სარა ერანი (იტა) | 5 160 |
| 8(7). პეტრა კვიტოვა (ჩეხ) | 5 150 |
| 9(10). კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 4 130 |
| 10(9). სამანტა სტოსური (ავსტრა) | 4 005 |
| 11(11). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 155 |
| 12(12). ნადია პეტროვა (რუს) | 3 050 |
| 13(15). მარია კირილენკო (რუს) | 2 871 |
| 14(14). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 695 |
| 15(16). რობერტა ვინჩი (იტა) | 2 545 |
| 16(17). სლოან სტივენსი (აშშ) | 2 490 |
| 17(13). ანა ივანოვიჩი (სერ) | 2 466 |
| 18(20). ვენუს უილიამსი (აშშ) | 1 940 |
| 19(18). ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 1 930 |
| 20(19). ეკატერინა მაკაროვა (რუს) | 1 905 |

მაიამი. კაცების ბადე



## 1/16 ფინალის სავარაუდო წყვილები

(თუ განთესილები პირველ ორ წრეს გაივლიან)

ჯოკოვიჩი (სერ, 1)-ფ. ლოპესი (ესპ, 30)
დოლგოპოლოვი (უკრ, 19)-ჰაასი (გერ, 15)
სიმონი (საფ, 11)-ფ. მაიერი (გერ, 23)
ანდერსონი (ს. აფ, 26)-ტიფსარევიჩი (სერ, 7)
ფერერი (ესპ, 3)-ფონინი (იტა, 32)
შარდი (საფ, 23)-ნიშიკორი (იაპ, 13)
მონაკო (არგ, 12)-ბენეტო (საფ, 24)
გრანოლერსი (ესპ, 31)-დელ პოტრო (არგ, 5)
გასკე (საფ, 8)-იუჟნი (რუს, 28)
კოლშრაიბერი (გერ, 18)-ალმაგრო (ესპ, 10)
რაონიჩი (კან, 14)-კუერი (აშშ, 17)
ვერდასკო (ესპ, 25)-ბერდიხი (ჩეხ, 4)
ცონგა (საფ, 6)-კლიჟანი (სლოვაკ, 27)
ისნერი (აშშ, 20)-ჩილიჩი (ხორ, 9)
სეპი (იტა, 16)-იანოვიჩი (პოლ, 21)
დიმიტროვი (ბულ, 29)-მარეი (ბრიტ, 2)

## მაიამის ტურნირის გამარჯვებულები

1985 - ტიმ მაიოტი
1986, 1989 - ივან ლენდლი
1987 - მიროსლავ მეჩირჟი
1988 - მატს ვილანდერი
1990, 1995, 1996, 2001, 2002, 2003 - ანდრე აგასი
1991 - ჯიმ კურიე
1992 - მაიკლ ჩანგი
1993, 1994, 2000 - პიტ სამპრასი
1997 - ტომას მუსტერი
1998 - მარსელო რიოსი
1999 - რიხარდ კრაიჩეკი
2004, 2010 - ენდი როდიკი
2005, 2006 - როჯერ ფედერერი
2007, 2011, 2012 - ნოვაკ ჯოკოვიჩი
2008 - ნიკოლაი დავიდენკო
2009 - ენდი მარეი







კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები

„ვაშინგტონ უიზარდსის" გამთამაშებელი **ჯონ უოლი** და „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ფორვარდი **ლამარკუს ოლდრიჯი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი უოლი თავის გუნდს ოთხიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა, თავად კი საშუალოდ მატჩში 24.0 ქულას (მეოთხე ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში), 5.5 მოხსნას, 11.0 შედეგიან პასსა (მეორე კონფერენციაში) და 2.5 ჩაჭრას (მესამე კონფერენციაში) აგროვებდა. თან უოლი თამაშიდან 61.7 პროცენტის სიზუსტით ისროდა და სამ მატჩში შეასრულა ორმაგი დუბლი.

ოლდრიჯის კარგი თამაშის წყალობით, "პორტლენდმა" გასულ კვირას სამიდან ორი მატჩი მოიგო. ლამარკუსი პირველი იყო ლიგაში ქულების საშუალო რაოდენობით - 27.0, რასაც 10.7 მოხსნა (მეშვიდე კონფერენციაში), 3.0 შედეგიანი პასი და 3.0 დაფარება დაუმატა. გასულ კვირას, ოლდრიჯმა ყველა შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა.

### უოლის კვირა

**12 მარტი.** კლივლენდი-ვაშინგტონი 95:90. 27 ქულა, 14 პასი.
**13 მარტი.** ვაშინგტონი-მილუოკი 106:93. 23 ქულა, 6 მოხსნა, 10 პასი, 4 ჩაჭრა.
**15 მარტი.** ვაშინგტონი-ნიუ ორლეანი 96:87. 29 ქულა, 9 პასი, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა.

### ბრაიანტის კვირა

**12 მარტი.** პორტლენდი-მემფისი 97:102. 28 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება.
**14 მარტი.** პორტლენდი-ნიუ იორკი 105:90. 22 ქულა, 10 მოხსნა, 5 დაფარება.
**16 მარტი.** პორტლენდი-დეტროიტი 112:101. 31 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ელ ჰორფორდი** („ატლანტა"), **კოსტას კუფოსი** („დენვერი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **რიკი რუბიო** („მინესოტა"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა") და **ტიმ დანკანი** („სან ანტონიო").

**ფილადელ.-პორტლენდი 101:100**
32:28, 26:22, 20:22, 23:28
ფ: ჰოლიდეი (27+8 მოხსნა+6 პასი), ტ. იანგი (19+5 პასი+4 ჩაჭრა), ჰოიესი (18+13 მოხსნა+4 პასი); რაიტი (16+8 მოხსნა+3 დაფარება), უილკინსი (12+6 პასი).
პ: ოლდრიჯი (32+14 მოხსნა), ლილარდი (27+7 მოხსნა+7 პასი).

**შარლოტი-ვაშინგტონი 119:114**
32:29, 31:30, 31:30, 25:25
შ: ჰენდერსონი (27+8 პასი), გორდონი (19), უოკერი (18+7 პასი+3 ჩაჭრა), მაკრობერტსი (17+7 მოხსნა), მალენსი (12), კიდ-გილკრისტი (11+7 მოხსნა), პარგო (11+6 პასი).
ვ: უოლი (25), ნენე (21+7 მოხსნა+7 პასი), ოკაფორი (17+9 მოხსნა), ტემპლი (17), უებსტერი (12).

**კლივლენდი-ინდიანა 90:111**
24:27, 21:33, 17:27, 28:24
კ: მაილზი (21), ტომპსონი (20+11 მოხსნა).
ი: გრინი (20+6 მოხსნა), ჰენსბრო (18+11 მოხსნა), ჯორჯი (14), ჰიბერტი (12+9 მოხსნა+5 დაფარება), პენდერგრაფი (11+7 მოხსნა).

**ატლანტა-დალასი 113:127**
25:34, 30:34, 30:30, 28:29
ა: ტიგი (19+7 პასი), ჰორფორდი (16+11 მოხსნა), სმიტი (13+6 პასი), ტოლივერი (12), კორვერი (11), ჰარისი (10), ჯონსონი (10), ჯენკინსი (10).
დ: კოლისონი (24), ნოვიცკი (22+6 მოხსნა), მაიო (17), კამანი (14+7 მოხსნა), კარტერი (13), რაიტი (12+8 მოხსნა).

**დეტროიტი-ბრუკლინი 82:119**
23:36, 22:23, 14:31, 23:29
დ: ბაინუმი (18+6 პასი), მონრო (17+7 მოხსნა), ინგლიში (10), სტაკი (10).
ბ: უილიამსი (31), ლოპესი (18+7 მოხსნა), ბლეტჩი (15+8 მოხსნა), ჯონსონი (13), სტეკჰაუსი (10), ბრუქსი (10), ევანსი (6+11 მოხსნა).

**ბოსტონი-მაიამი 103:105**
31:19, 28:34, 23:25, 21:27
ბ: გრინი (43+7 მოხსნა+4 დაფარება), პირსი (17+8 მოხსნა+8 პასი), ლი (13).
მ: ჯეიმსი (37+7 მოხსნა+12 პასი), ჩელმერსი (21), უეიდი (16+7 მოხსნა+6 პასი), ბოში (13).

**ჩიკაგო-დენვერი 118:119 (ო)**
20:21, 25:32, 28:26, 32:26, 13:14
ჩ: რობინსონი (34+7 პასი), დენგი (21), ბელინელი (18+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), ბატლერი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), ნოა (14+12 მოხსნა+6 პასი+7 დაფარება), ბუზერი (14+9 მოხსნა).
დ: ჩენდლერი (35+9 მოხსნა), ბრიუერი (16+3 ჩაჭრა), ლოუსონი (13), იგუოდალა (12+10 მოხსნა+3 დაფარება), მაკგი (12), გალინარი (11+7 მოხსნა).

**მემფისი-მინესოტა 92:77**
22:20, 23:19, 29:14, 18:24
მემ: კონლი (20+6 პასი), გასოლი (16+8 მოხსნა+4 დაფარება), ბეილესი (15), რენდოლფი (14+10 მოხსნა), პრინსი (12+14 მოხსნა).
მინ: შვედი (12), ჟელაბალი (11+7 მოხსნა), ბარეა (11).

**ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი 72:93**
22:19, 14:26, 25:24, 11:24
ნ-ო: ანდერსონი (21+9 მოხსნა), დევისი (16+7 მოხსნა), ვასკესი (14+9 პასი).
გ-ს: კარი (30+7 მოხსნა), ლი (20+11 მოხსნა), ტომპსონი (13).

**ფინიქსი-ლეიკერსი 99:76**
21:25, 26:19, 24:22, 28:10
ფ: ჯონსონი (14+9 მოხსნა), სკოლა (14+9 მოხსნა), დადლი (13+6 მოხსნა), დრაგიჩი (12+10 პასი), მარშალი (11), ბიზლი (10+6 მოხსნა).
ლ: ნეში (19), ჰოვარდი (16+11 მოხსნა), ბლეიკი (13), უორლდ პისი (12+6 მოხსნა+5 ჩაჭრა), კლარკი (4+10 მოხსნა).

**იუტა-ნიუ იორკი 83:90**
21:23, 23:19, 19:24, 20:24
ი: ჰეივორდი (17+4 დაფარება), მილსეპი (12), ჯეფერსონი (10+11 მოხსნა), მარვ. უილიამსი (10+6 მოხსნა), ფეივორსი (7+13 მოხსნა).
ნ-ი: სმიტი (20), ფელტონი (19+3 ჩაჭრა), კოუპლენდი (14+6 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბერი-სტივენეიჯი | 2:0 |
| ქრიუ-მილტონი | 2:1 |
| ოლდჰემი-ჰარტლპული | 3:0 |
| იეოვილი-სუინდონი | 0:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| აკრინგტონი-უიმბლდონი | 4:0 |
| ბრედფორდი-უიკომბი | 1:0 |
| როჩდეილი-ჯილინგემი | 1:1 |
| საუთენდი-პლიმუტი | 0:2 |
| ტორკი-ჩესტერფილდი | 2:1 |
| ბარნეტი-ფლიტვუდი | 2:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბრენტრი-უოკინგი | 1:1 |
| კემბრიჯი-ებსფლიტი | 1:1 |
| დარტფორდი-ბაროუ | 0:1 |
| გეიტსჰედი-ჰერეფორდი | 3:2 |
| ლუტონი-სტოკპორტი | 1:0 |
| მაკლსფილდი-ტელფორდი | 2:1 |
| ნიუპორტი-კიდერმინსტერი | 1:2 |
| ნანიტონი-გრიმსბი | 1:0 |
| ტამუორტი-საუთპორტი | 2:1 |
| რედსჰემი-მენსფილდი | გადაიდო |

#### იტალია

**სერია B**

| | |
|---|---|
| ასკოლი-რეჯინა | 0:3 |
| ბარი-პადოვა | 3:0 |
| ჩეზენა-ლივორნო | 0:0 |
| ჩიტადელა-სპეცია | 0:0 |
| კროტონე-ვიჩენცა | 1:0 |
| იუვე სტაბია-სასუოლო | 1:1 |
| მოდენა-ემპოლი | 2:3 |
| პრო ვერჩელი-ბრეშა | 2:3 |
| ტერნანა-გროსეტო | 0:0 |
| ლანჩანო-ვერონა | 1:2 |

#### გერმანია

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ფერლი-ობერჰაუზენი | 0:2 |
| ბოხუმი II-ლევერკუზენი II | 0:0 |
| ვიდენბრუკი-დუისბურგი II | 4:0 |
| ბერგიში-ვუპერტალერი | 2:2 |
| გლადბახი II-კრაი | 6:0 |

**რეგიონალლიგა (ს-დ)**

| | |
|---|---|
| ბაიერნი (ა)-ელვერსბერგი | 1:0 |
| კობლენცი-მანჰაიმი | 1:0 |
| პფიულენდორფი-ეშბორნი | 1:0 |

**რეგიონალლიგა (ბაიერნი)**

| | |
|---|---|
| ბაიერნ ჰოფი-ინგოლშტადტი II | გადაიდო |

#### საფრანგეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| გფკო აიაჩო-შატორუ | 1:1 |

**ნასიონალი**

| | |
|---|---|
| ამიენი-მეცი | 1:1 |
| ბულონი-კევილი | 2:2 |
| კოლმარი-ბურჟ პერონა | 1:2 |

#### შოტლანდია

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ალბიონი-ისტ ფაიფი | 1:1 |

#### ირლანდია

| | |
|---|---|
| ბრეი-კორკი | გადაიდო |
| დერი-დროგედა | 1:1 |
| დანდალკი-ლიმერიკი | 1:3 |
| ლონგფორდი-უნივერსიტი | 3:1 |
| სენტ-პატრიკი-შელბურნი | გადაიდო |

#### ჩეხეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ჩასლავი-ბოჰემიანსი | გადაიდო |

#### რუსეთი

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ტორპედო-მეტალურგი | 1:1 |
| სალუტი-ურალი | 0:1 |
| ვოლგარი-ენისეი | 1:1 |
| ხიმკი-უფა | 0:1 |

#### სერბეთი

| | |
|---|---|
| ვოევოდინა-დონი სრემი | 3:0 |

#### ჩრ. ირლანდია

| | |
|---|---|
| გლენტორანი-დუნგანონი | 2:3 |

### კალათბურთი

#### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| პინარი-პარიზი | 85:69 |
| ოლდენბურგი-ხიმკი | 100:78 |

#### საფრანგეთის თასი

| | |
|---|---|
| ბულონი-სტრასბური | 88:86 |

### ჰოკეი

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ლინცი | 4:2 |
| ზალცბურგი-ვენა | 1:2 |

#### დანია

| | |
|---|---|
| სონდერიისკი-ოდენსე | 3:2 |
| ფრედრიკშავნი-როდოვრე | 4:1 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| პიესტანი-სკალიცა | 4:1 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-ზლინი | 0:1 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ბერნი-ცუგი | 4:3 |
| რაპერსვილი-ლანგნაუ | 5:6 (ბ) |
| ფრიბურგი-ციურიხი | 3:2 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ფრიოლუნდა-ლულეო | 4:3 (ო) |
| ლინჩოპინგი-ჰვ71 | 5:4 (ო) |

### ჩოგბურთი

#### WTA. მაიამი

| | |
|---|---|
| ერაკოვიჩი-ბეგუ | 1:6, 6:4, 4:6 |
| მლადენოვიჩი-ვოზნიაკი | 7:5, 6:2 |
| პენეტა-ლარსონი | 6:4, 6:1 |
| არვიდსონი-პენგი | 3:6, 2:6 |

ამბები

კალათბურთი

## ბაინუმს თამაში არ დასცალდა

უიღბლო გამოდგა 2012-13 წლების სეზონი „ფილადელფია სიქსერზის" ცენტრ **ენდრიუ ბაინუმისთვის.** კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **ტონი დილეომ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კალათბურთელი ორივე მუხლზე ართროსკოპიულ ოპერაციას გადაიტანს, რის გამოც „ლეიკერსის" ყოფილი ცენტრი სეზონის დარჩენილ ნაწილს გამოტოვებს.

*„მრავალთვიანი რეაბილიტაციისა და ექიმებთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ოპერაცია შექმნილ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი იქნება"*, - განაცხადა დილეომ.

შეგახსენებთ, რომ მუხლების ტრავმის გამო, ბაინუმს წლევანდელ სეზონში არც ერთი მატჩი არ უთამაშია.

ჰოკეი

## 8-წლიანი კონტრაქტი პერისთვის

„ანაჰაიმ დაქსის" ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ კლუბმა ახალი კონტრაქტი გააფორმა ფორვარდ **კორი პერისთან.** TSN-ის ინფორმაციით, ხელშეკრულება რვაწლიანია და ჯამში ფორვარდი 69 მილიონ დოლარს (წელიწადში 8.625 მილიონი დოლარი) გამოიმუშავებს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნით ადრე, „ანაჰაიმმა" ასევე რვა წლით გაიფორმა კაპიტანი **რაიან გეტცლაფი.** მისმა ჯამურმა ხელფასმა 66 მილიონი დოლარი შეადგინა.

მიმდინარე სეზონში პერიმ 25 მატჩში 24 ქულა (9+15) დააგროვა და 41 საჯარიმო წუთი გამოიმუშავა. 2003 წლის დრაფტის 28-ე ნომერი 2010-11 წლების სეზონის საუკეთესო სნაიპერი იყო 50 გოლით.

ველოსპორტი

## დოპინგი აღიარა

1996 წლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, დანიელმა **რალფ სორენსენმა** დოპინგის გამოყენება აღიარა.

სკანდინაველმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მთელი თავისი კარიერის (1986-2002) განმავლობაში იყენებდა აკრძალულ პრეპარატებს - ერითროპროტეინსა და კორტიზონს.

სორენსენმა უარი თქვა თავისი ყოფილი პარტნიორების დასახელებაზე, რომლებიც ასევე იყენებდნენ დოპინგს, თუმცა დანიელმა განაცხადა, რომ ის არ არის ერთადერთი, რომელიც აკრძალულ პრეპარატებს იღებდა.

ოლიმპიადის ვერცხლის მედლის გარდა, სორენსენს მოგებული აქვს კლასიკური რბოლები - ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი (1993) და ფლანდრიის ტური (1997). ასევე მან იმარჯვა ტურ დე ფრანსის ორ და ჯირო დ'იტალიას ერთ ეტაპზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფორმულა 1



სება და კიმი

# სებასტიან ფეტელი: ფავორიტი არ არსებობს

**ავსტრალიის გრანპრიზე მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის სებასტიან ფეტელის მესამე ადგილს წარუმატებლობა არ ეთქმის, თუმცა დამაჯერებლად მოგებული კვალიფიკაციის შემდეგ, გერმანელი მელბურნის რბოლის აშკარა ფავორიტად მიიჩნეოდა, ამიტომაც, სებასთვის პოდიუმის მესამე საფეხური დიდ მიღწევად არ ჩაითვლება. ფინიშის შემდეგ, „რედ ბულის“ პილოტმა ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.**

**- დავიწყოთ თქვენთვის სასიამოვნო მომენტით: კარიერაში 37-ე პოული მოიპოვეთ. რამდენად მოულოდნელი იყო მანქანის სიჩქარე კვალიფიკაციაში?**

- ვფიქრობ, მთელი უქმეები ერთგვარი სიურპრიზი იყო ყველასთვის, რადგან არავინ იცოდა ძალთა რეალური თანაფარდობის შესახებ. ამიტომაც, კვალიფიკაციის შემდეგ ყველანი კარგ ხასიათზე ვიყავით. რაც შეეხება რბოლას, თავიდანვე ვიცოდით თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საბურავებს. ასეც მოხდა. სიტუაცია ჩვენს სასარგებლოდ არ იყო, მაგრამ ხელების ჩამოშვებას არ ვაპირებთ, რადგან დავამტკიცეთ, რომ სიჩქარე გვაქვს. ახლა, საბურავების საკითხში უნდა გავერკვეთ.

**- გავაგრძელოთ სიურპრიზების თემა. გაკვირვებული დარჩით, რომ პოულის მოგების შემდეგ, მხოლოდ მესამე მიხვედით ფინიშთან?**

- ხანდახან გამოგდის უკეთესი შედეგის ჩვენება, ხან საბოლოო შედეგი უარესია. რა თქმა უნდა, როცა პოულიდან ილებ სტარტს, გინდა პირველი მოხვიდე ფინიშთან, მაგრამ ეს ამჯერად არ გამოგვივიდა. თუმცა იმედგაცრუების მიზეზი არ არსებობს.

უკვე პირველივე წრეებზე დავინახეთ, რომ საბურავების დაზოგვა ძალიან რთული იყო და "ფერარი" გვეწეოდა. მეორე ნაწილში სუტილის უკან შევყოვნდით, რომელმაც შესანიშნავი გამოსვლა აჩვენა. ვერაფრით მოვახერხეთ მისი გასწრება, რადგან იმ მომენტში ჩემი მანქანა მოსახვევებში ტრასაზე ცურავდა. თუმცა ვიცოდი, რომ ვინც უკან მოძრაობდა, ზუსტად ასეთივე სიტუაციაში იყო, ამიტომაც დიდად არ ვჩქარობდი.

ყველაფერი კარდინალურად იცვლება, როცა ვილაც ნაადრევი პიტსტოპის გადაწყვეტილებას ილებს და ასეთი მანევრის ხარჯზე ცდილობს შენს გასწრებას. სწორედ ეს გააკეთა ფერნანდო ალონსომ. მან შეძლო ჩემი გასწრება. ჩვენ კი გვინდოდა უფრო დიდხანს დავრჩენილიყავით ტრასაზე, რათა ამით საკუთარი ტაქტიკური სქემა გაგვეხორციელებინა.

შესამჩნევი იყო, რომ ფერნანდო ტრასის ყველა მონაკვეთზე ჩვენზე სწრაფად მოძრაობდა, ამიტომაც არ შეგვეძლო მისი არათუ გასწრება, არამედ სიახლოვეს ყოფნა. და, რა თქმა უნდა, კიმი რაიკონენი, რომელიც საერთოდ არ დამინახავს რბოლის მსვლელობისას, მან კი მოულოდნელად მოიგო.

**- კიმიმ ყველა მოატყუა. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ეს იყოს პირველი ნიშანი იმისა, რომ ის სერიოზულად აცხადებს პრეტენზიას ტიტულზე?**

- ეს მხოლოდ პირველი რბოლა იყო, წინ კიდევ 18 ეტაპია, ასე რომ, ნაადრევია ვილაცის ფავორიტად გამოცხადება.

**- მაგრამ ელოდით, რომ "ლოტუსის" ბოლიდი ასეთი სწრაფი იქნებოდა?**

- როგორც უკვე გითხარით, ყველას ჰქონდა გაკვირვების საბაბი, რადგან არავინ იცოდა, რა მოლოდინი შეიძლებოდა ყოფილიყო პირველი რბოლისგან. კვალიფიკაციამ შესანიშნავად ჩაიარა, მაგრამ რბოლაში საბურავებთან დაკავშირებული პრობლემები შეგვექმნა. რა თქმა უნდა, კიმიმ ყველაზე კარგად იმუშავა საბურავების დაზოგვის მხრივ და ამიტომაც დასჭირდა მხოლოდ ორი პიტსტოპი. უკვე პარასკევს ვიცოდით, რომ ბოქსებში ორზე მეტი გაჩერება დაგვჭირდებოდა.

**- რას უნდა ველოდოთ მალაიზიის ეტაპისგან?**

- ის, რაც ავსტრალიის გრანპრიზე ვნახეთ, მხოლოდ პირველი შთაბეჭდილებაა. ძალთა რეალური თანაფარდობის დადგენამდე ჯერ დიდი დროა. მალაიზიაში სრულიად განსხვავებული ტრასაა და იმის გათვალისწინებით, თუ როგორ განვითარდა მელბურნში მოვლენები, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ გადაწყვეტენ გუნდები საბურავების პრობლემას. გარდა ამისა, სეპანგში სრულიად განსხვავებული მეტეოროლოგიური პირობები იქნება, მივიღებთ საბურავების განსხვავებულ კომპლექტს... ასე რომ განსხვავებები იქნება.

ალბათ, ყველას ახსოვს, რომ ბოლო წლებში მელბურნში ნანახი სურათი არ ხდება ხოლმე მთელი სეზონის ტენდენცია. ასე რომ, ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

# ჰონდას ძრავები მაკლარენისთვის?

იაპონური კონცერნი „ჰონდა“ ფორმულა 1-ში დაბრუნების გეგმებს განიხილავს - იაპონელები 2015 წლისთვის აპირებენ რომელიმე წამყვანი საჯინიბოს ძრავებით მომარაგებას.

„ჰონდას“ ქარხნულმა გუნდმა ოთხი წლის წინ დატოვა ფორმულა 1, რისი მიზეზიც გლობალური ეკონომიკური კრიზისი გახდა. მაგრამ, გასული წლის თებერვალში კონცერნის პრეზიდენტმა **ტაკანობუ იტომ** ასე უპასუხა კითხვას ფორმულა 1-ში სავარაუდო დაბრუნების შესახებ: *„ჩვენ მთელი სერიოზულობით განვიხილავთ ამ ვარიანტს“.*

როგორც იაპონური პრესა წერს, ლაპარაკია ბრიტანული „მაკლარენისთვის“ ძრავების მიწოდებაზე. ცნობილია, რომ 2014 წლიდან, ფორმულა 1-ში იცვლება ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიხედვითაც, იქაური ბოლიდები 1.6 ლიტრი მოცულობის V6 ძრავებს გამოიყენებენ. სწორედ ამის გამო გადაწყვიტა კომპანიამ „დიდ ცირკში“ დაბრუნება.

როგორც იტყობინებიან, „ჰონდამ“ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს ერთ-ერთ ევროპელ სპეციალისტთან, რომელიც იაპონელებს კონსულტაციას გაუწევს ახალი ძრავის დამზადებასთან დაკავშირებით, თუმცა ეს პროცესი 2015 წლამდე არ დაიწყება.



● კრივი

# ჰეიმ ბრძოლა დანიშნა

ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსანი **დევიდ ჰეი** თავის მომდევნო ბრძოლას 6 ივლისს ჩაატარებს, - ამის შესახებ წერს გამოცემა „დეილი მეილი“. 32 წლის მოკრივის მორიგი მეტოქისა და ორთაბრძოლის ჩატარების ადგილის შესახებ მოგვიანებით გამოაცხადებენ.



დევიდ ჰეი

დღეისთვის, ჰეი ბრიტანეთის საკრივო ლიცენზიის დაბრუნებისთვის ზრუნავს, რომელიც მან 2011 წლის ოქტომბერში დაკარგა. ბრიტანეთის საკრივო საბჭოს გენერალურმა მდივანმა **რობერტ სმიტმა** განაცხადა, რომ ორგანიზაცია მზად არის დევიდს ლიცენზია დაუბრუნოს მას შემდეგ, რაც მოკრივე სამედიცინო შემოწმებას გაივლის.

როგორც „დეილი მეილი“ წერს, მომავალში ჰეის **ვლადიმერ** ან **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლის გამართვა სურს. მანამდე ბრიტანელი რამდენიმე შეხვედრას ჩაატარებს უკრაინელებთან საბრძოლველად პრეტენდენტის სტატუსის მოსაპოვებლად.

ბოლოს ჰეი რინგზე 2012 წლის ივლისში გავიდა თანამემამულე **დერეკ ჩისორას** წინააღმდეგ. ის შეხვედრა ჰეის გამარჯვებით დასრულდა - მან ტექნიკური ნოკაუტით სძლია მეტოქეს. მაშინ, ორივე ბრიტანელს საკრივო ლიცენზია ლუქსემბურის კრივის ფედერაციამ მისცა.

სულ ჰეიმ პროფესიულ რინგზე 28 ბრძოლა ჩაატარა, აქედან მოიგო 26 (24 - ნოკაუტით) და ორჯერ დამარცხდა.

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად „სენტ ლუისის“ მარჯვენა ფრთა **კრის სტიუარტი** დაასახელა. ფორვარდმა სამ მატჩში შვიდი ქულა დააგროვა და ლიგის თანალიდერი იყო ხუთი გატანილი გოლით. აქედან ორი გამარჯვების შაიბა იყო. სტიუარტმა ბოლო შვიდ მატჩში 14 ქულა (7+7) დააგროვა და „სენტ ლუისის“ ლიდერია 28 ქულით (14+14).

მეორე ვარსკვლავი გახდა „ოტავა სენატორზის“ ცენტრფორვარდი **კაილ ტარისი.** ის ოთხივე მატჩში აგროვებდა ქულას და საბოლოოდ, ექვსი ქულა (მეორე შედეგი ლიგაში) და ოთხი გოლი (მესამე ლიგაში) მიითვალა. ტარისმა მიმდინარე რეგულარულში 29 მატჩი ჩაატარა და „ოტავას“ ლიდერია გოლებისა და ქულების რაოდენობით.

მესამე ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსის“ გოლკიპერმა **სერგეი ბობროვსკიმ.** რუსმა საშუალოდ მატჩში 0.62 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 98.3 პროცენტი მოიგერია. სწორედ მისი დიდი წვლილია იმაში, რომ „კოლამბუსმა“ საკლუბო რეკორდი დაამყარა - ზედიზედ ათ მატჩში დააგროვა მინიმუმ ერთი ქულა. ბობროვსკის კი ბოლო რვა შეხვედრაში ექვსი მოგება აქვს. ამ მატჩებში მან 0.74 გოლი გაუშვა და დარტყმების 97.6 პროცენტი მოიგერია.

**რეინჯერსი-კაროლინა 2:1 (ბ)**

**0:1, 1:0, 0:0, 0:0**

**გოლები:** 0:1 ე. სტაალი-14 (პიტკანენი-6, სიომინი-22), 1:1 სტეპანი-8 (ჰაგელინი-9, კელეჰანი-5).

**ბულიტები გაიტანეს:** ნეში (რეინჯერსი), ჯ-ტ. მილერი (რეინჯერსი).

**ტამპა ბეი-ფილადელფია 4:2**

**2:1, 0:1, 2:0**

**გოლები:** 1:0 პალატი-2 (ტირელი-2, სალო-10), 1:1 ტელბოტი-4 (მეზაროში-1), 2:1 პიატი-6 (ტ. ჯონსონი-2, ჰედმანი-10), 2:2 ჟირუ-9, 3:2 პურსელი-6 (ოლი-2, სტემკოსი-19), 4:2 სტემკოსი-21 (კილორნი-8, სან ლუი-31).

**დალასი-კალგარი 4:3**

**3:0, 0:2, 1:1**

**გოლები:** 1:0 კოული-5 (ჯეიმი ბენი-5, ოლესიაკი-2), 2:0 ნისტრიომი-3 (რასელი-5, ლეპტონენი-2), 3:0 ლ. ერიქსონი-8 (უიტნი-6, როი-13), 3:1 ჰუდლერი-6 (ბროუდი-6, კამალერი-12), 3:2 ბოუმისტერი-6 (გლენკროსი-7, სტემპნიაკი-14), 4:2 ლ. ერიქსონი-9 (ბენი-12, უიტნი-7), 4:3 ტანგეი-9 (კამალერი-13, იგინლა-13).

**კოლორადო-ჩიკაგო 2:5**

**1:2, 1:2, 0:1**

**გოლები:** 0:1 ჰეიესი-1 (პ. კეინი-20), 0:2 შოუ-7 (სტალბერგი-11, ბიკელი-11), 1:2 ლანდესკოგი-5 (დუშენი-19), 1:3 პ. კეინი-16 (ტეივზი-14, კიტი-14), 1:4 სიბრუკი-5 (პ. კეინი-21, ტეივზი-15), 2:4 ჰეიდუკი-4 (ჯ. მიტჩელი-6, ვარლამოვი-1), 2:5 ტეივზი-14 (საადი-10, სიბრუკი-9).

**ვანკუვერი-მინესოტა 1:3**

**0:0, 1:1, 0:2**

**გოლები:** 1:0 ჰ. სედინი-8 (დ. სედინი-17, გარისონი-3), 1:1 ბროდინი-2 (ჰიტლი-8, ბუშარი-6), 1:2 კოილი-3 (სტოუნერი-5, მ. კოივუ-17), 1:3 კულენი-4 (სეტოგუჩი-9, ბუშარი-7).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 5:3**

**1:1, 3:1, 1:1**

**გოლები:** 1:0 ბოშემენი-3 (შტეკელი-2, პალმიერი-4), 1:1 დემერსი-1 (გალიარდი-3, გომესი-7), 2:1 ჰოლანდი-2 (კოლიანო-8, რაიანი-14), 3:1 ეტემი-1 (ვინიკი-9, ალენი-4), 4:1 გეტცლაფი-11 (ეტემი-6), 4:2 მარლო-15 (ჰავლატი-4, მარეი-3), 4:3 ირვინი-5 (ბერნსი-4), 5:3 ბოშემენი-4 (გეტცლაფი-22, ვინიკი-10).

**ლოს ანჯელესი-ფინიქსი 4:0**

**1:0, 1:0, 2:0**

**გოლები:** 1:0 მუზინი-6 (კოპიტარი-18, ჯასტინ უილიამსი-15), 2:0 ტოფოლი-1 (ჯ. კარტერი-3, სტოლი-7), 3:0 კოპიტარი-9 (ჯასტინ უილიამსი-16, დაუტი-11), 4:0 ჯ. კარტერი-18 (ტოფოლი-1, სკუდერი-8).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



კრის სტიუარტი

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ირაკლი თავაძე***

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**